

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შორენა ქურდაძე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი
გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება,

შიფრი 02

წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2018

საავტორო უფლება © 2018 წელი, „შორენა ქურდაძე“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბიზნესის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით შორენა ქურდაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე“ და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„.....“ 2018 წელი

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი,

თეა კასრაძე _____

თანახელმძღვანელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

დავით სიხარულიძე _____

რეცენზენტი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი, ვახტანგ ჭარაია _____

რეცენზენტი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი, გიორგი ლლონტი _____

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2018 წელი

ავტორი: შორენა ქურდაძე

თემის დასახელება: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე“

ფაკულტეტი: ბიზნესი

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „.....“ 2018 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოტივაციების გავლენის კვლევა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს მაგალითზე ჩატარებულია ემპირიული კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოვლენილია საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მოტივაციები, მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მულტინაციონალური კომპანიების ადგილობრივ დარგებთან ინტეგრაციის ხარისხი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან სარგებლის შთანთქმის შესაძლებლობები დარგის და ქვეყნის მახასიათებლების გათვალისწინებით.

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის, თხუთმეტი ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

პირველ თავში მოცემულია ნაშრომის თეორიული საფუძვლები - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები, ჯონ დანინგის ეკლექტიკური (OLI) პარადიგმა და ადგილობრივი დარგების განახლების/განვითარების პროცესი სკოტ კენელის მოდელის მიხედვით.

განალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები (ბუნებრივი რესურსების მაძიებელი, ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული, ეფექტიანობაზე ორიენტირებული და სტრატეგიული აქტივების მაძიებელი) და თითოეული მათგანის როლი ადგილობრივი დარგების განახლების პროცესში - ეკლექტიკურ პარადიგმასთან ურთიერთკავშირში, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკურ განვითარებას შორის კავშირების შესაფასებლად გამოიყენება.

ეკლექტიკური პარადიგმის მიხედვით ქვეყნის საინვესტიციო განვითარება დამოკიდებულია მულტინაციონალური კომპანიების საკუთრების უპირატესობებზე, მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობებზე და ინტერნალიზაციაზე. პარადიგმა მიუთითებს, რომ ქვეყნის

საინვესტიციო განვითარება დამოკიდებულია ადგილობრივი ორგანიზაციების საკუთრების უპირატესობებზე (O) და უცხოური კომპანიების მიერ ამ უპირატესობის გავრცელებაზე. აქედან გამომდინარე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვთ ირიბი გავლენა ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობების გაუმჯობესებაზე, რისი მეშვეობითაც ქვეყანაში ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობა. თუმცა, სკოტ კენელის მიხედვით, ამ პოტენციალის გამოყენება დამოკიდებულია ქვეყანაში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტიპებზე, ადგილმდებარეობასა და სამთავრობო პოლიტიკაზე. თავის მხრივ, სკოტ კენელის მოდელი ჯონ დანინგის OLI პარადიგმიდან გამომდინარეობს.

კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი - ანკეტა-კითხვარი სკოტ კენელის მოდელის მიხედვით არის ფორმულირებული, რომლის საფუძველზეც საქართველოში მოღვაწე 97 ორგანიზაცია გამოიკითხა (გენერალური ერთობლიობა - 2500). ამ მოდელის მიხედვით ადგილობრივი დარგების განვითარების პროცესი ოთხი ეტაპისგან შედგება: პირველი ეტაპია ბაზარზე შესვლა, მეორე ეტაპია კავშირების დამყარება ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მესამე ეტაპია საკუთრების უპირატესობების გავრცელება ხოლო მეოთხე ეტაპია საკუთრების უპირატესობების გაზრდა, რომელიც გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირს ანკლავურიდან სრული ინტეგრაციის ჩათვლით. დისერტაციაში საქართველოში მოღვაწე მულტინაციონალური კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით, სწორედ ეს პროცესია ახსნილი, რომლის საფუძველზეც გაანგარიშებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა ადგილობრივი დარგების მოდერნიზაციაზე კავშირების რაოდენობისა და სიხშირის მიხედვით.

მეორე თავში გაანალიზებულია საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, პუი-ს სამომავლო ნაკადებზე მოქმედი ფაქტორები გლობალურ

დონეზე ინვესტორების გამოკითხვის მიხედვით (UNCTAD) და სხვ. ასევე, განხილულია საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონებისა და სექტორების მიხედვით, პუი-ს ტენდენციები საქართველოში და სხვ. განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ტენდენციები - შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტის მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი (KOF), ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ 2017 წლის ანგარიში (World Bank – Doing business 2017) და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) პუბლიკაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ვაჭრობის შესახებ.

მესამე თავში წარმოდგენილია ნაშრომის კვლევითი ნაწილი, აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია - კითხვარის შინაარსი და გაზომვის სკალები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, მონაცემთა სიხშირული, probit რეგრესიული და ორდინალური probit რეგრესიული ანალიზი.

კვლევის შედეგად გამოვლენილია საქართველოში განხორციელებული პუი-ს ძირითადი მოტივაციები (ბუნებრივი რესურსების მაძიებელი და ბაზრის მაძიებელი პუი). გაანგარიშებულია ბუნებრივი რესურსების, ეფექტიანობის და ბაზრის მაძიებელი პუი-ს გავლენა ადგილობრივი დარგების მოდერნიზაციაზე კავშირების რაოდენობისა და სიხშირის მიხედვით.

ქვეყნის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე გამოვლენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორები, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის და სარგებლის მიღების შესაძლებლობები დარგების მიხედვით, რომლებსაც ეკონომიკაზე პოზოტიური ან/და ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლიათ. გამოვლენილია ქვეყნის ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს პუი-ს შესაძლებლობას მოახდინოს ინტეგრირება ადგილობრივ ეკონომიკაში.

ეკლექტიკური პარადიგმის საფუძველზე შემუშავებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის მოდელი ქვეყნის ეკონომიკაზე,

რომელშიც განსაზღვრულია მულტინაციონალური კომპანიების მიერ ადგილობრივ დარგებთან ინტეგრაციის ხარისხი ანკლავურიდან სრული ინტეგრაციის ჩათვლით.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები. ასევე გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი.

დანართში მოცემულია ანკეტა-კითხვარი, სტატისტიკური პროგრამის stata-ს მეშვეობით გამოთვლილი probit/ორდინალური probit რეგრესიული ანალიზის ცხრილში მოცემული აბრევიატურების და კოეფიციენტების აღწერა, სტატისტიკური პროგრამის stata-სთვის ადაპტირებული მონაცემთა ბაზა და მისი განმარტებები.

ნაშრომში მოცემული დასკვნები და რეკომენდაციები გამომდინარეობს გაანგარიშებული კვლევის შედეგებიდან, საქართველოში შემომავალი პუი-ს მოტივაციების და მილტინაციონალური კომპანიების ბაზარზე ქცევის ტენდენციებიდან. განხილული საკითხები მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და მისი ადგილობრივ ბაზართან ინტეგრაციის სტრატეგიის განსაზღვრისთვის. ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენს როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაინტერესებული სამეცნიერო წრის, ასევე ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიის განმსაზღვრელი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთათვის. ნაშრომს ღირსებას მატებს მისი გამარჯვება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში. საპროექტო წინადადებამ მაღალი შეფასება მიიღო როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ექსპერტებისგან. საგრანტო პროექტის აკადემიური და ფინანსური ნაწილი შესრულებულია წარმატებით.

Abstract

The paper reviews foreign direct investment (FDI) motivations and their impact on recipient country's economy (example of Georgia). The main motivations for foreign direct investments in Georgia and their impact on the economy, the degree of linkages with the local and multinational companies and the possibilities of absorption the benefit from foreign direct investments - taken into account the sector and country's characteristics - are revealed on the basis of empirical research.

The first chapter provides the theoretical framework of a dissertation- motivations of foreign direct investments, John Dunning's Eclectic (OLI) Paradigm and the local industry upgrading process according to Scott-Kennel's model.

It also analyzes the motivations of foreign direct investments (natural resource-seeking, market-seeking, efficiency-seeking and strategic asset-seeking) and the role of each of them in the process of local industry upgrading with the eclectic paradigm, which is used for assessment linkages between foreign direct investments and economic development.

According to the OLI paradigm, the country's investment development depends on the Ownership advantages of multinational companies, the Location advantage of a recipient country and Internalization. The paradigm indicates that the investment development of the country depends on the ownership advantages of local firms (O) and the spread of this advantage by foreign companies. Consequently, foreign direct investments have an indirect effect on the improvement of ownership advantages of local firms through which international trade is developing in the country. However, according to Scott-Kennel, the usage of this potential depends on types of foreign direct investments incoming into the country, location and government policy. On the other hand, Scott-Kennel's model derives from John Dunning's OLI paradigm.

One of the most important part of the survey - the questionnaire – is developed according to Scott Kennel's model; on the basis of this questionnaire 97

organizations operating in Georgia were surveyed (Sample Size 2500). According to this model, the process of development of the local sector consists of four stages: the first stage is entering the market; the second stage is the establishment of linkages with local organizations; the third stage is the extend of ownership advantages and the fourth stage is to increase ownership advantages, showing foreign direct investments and interrelations among local organizations, starting from enclave through full integration. Based on the data from multinational companies operating in Georgia, this thesis explains specifically this process, on the basis of which there are calculated impacts of FDI motivations on the process of local industry upgrading according to degree of linkages between foreign and local firms.

The second chapter analyzes Georgia's positions in international ratings, foreign direct investments' trends in developed countries, developing countries and transition economies, the factors influencing the FDI's future flows - result of investor surveys (UNCTAD) and others. Also, it reviews the foreign direct investments incoming into Georgia according to the regions and sectors, the FDI's trends in Georgia and others. It reviews the global trends of foreign direct investments, the World Globalization Index (KOF) of the Swiss Institute of Economics, the 2017 report on the Doing Business (World Bank - Doing business 2017) and the publication of the United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD) on Foreign Direct Investment and Trade.

The third chapter provides a research part of the paper; it describes research methodology - questionnaire content and measuring scales, data collection methods, data frequency, probit regression and ordered probit regression models.

As a result of the research, the main motivations of the FDI are revealed in Georgia (natural resources seeking and market-seeking FDI); also, it is calculated the impact of the natural resource seeking, efficiency seeking and market-seeking FDI on modernization of local industries according to the degree of linkages.

Due to the specific characteristics of the country, several issues have been revealed: hindering factors that may have a negative influence on FDI, investment attractiveness by the sectors and the possibilities to gain benefits from FDI, which are able to have positive and/or negative impact on the economy. It has been also revealed the key features of the country, which determine the FDI's ability to integrate into the local economy.

Based on the eclectic paradigm, a model for the influence of foreign direct investments on the economy of the country has been developed; the model determines the degree of integration of the multinational companies into local branches, starting from enclave through full integration.

At the end of the Work there are conclusions and recommendations, References and Annex.

The Annex provides with a questionnaire, a database adapted for stata and its definitions.

Positive and negative aspects provided for in the work are derived from the results of the calculations in the survey, the trends of operation of multinational companies on local market and the motivations of the FDI incoming into the country; the discussed issues are important for developing the strategy of attracting foreign direct investments and deepening the formation of linkages (degree of linkages) between multinational companies and local organizations.

Conclusions and recommendations are valuable information for the scientists interested in the foreign direct investments as well as the representatives of the state structures who are in charge of determination of the country's investment strategy.

An important and positive side of this dissertation is that it is a winner of Doctoral Programs Grant Competition of Shota Rustaveli National Science foundation. Project proposal was highly rated by both international and local experts. The academic and financial part of the project is successfully implemented.

სარჩევი

ცხრილების და დიაგრამების ნუსხა.....	12
გამოყენებული აბრევიატურები	14
მადლიერების გვერდი	15
შესავალი	16
თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და ეკლექტიკური პარადიგმა	23
ლიტერატურის ანალიზი.....	23
საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები.....	24
ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები	25
ინტერნალიზაცია	37
ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზა	42
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები	48
ადგილობრივი დარგის განახლების პროცესი, სკოტ კენელის მოდელი	54
თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ტენდენციები და საქართველო.....	59
პუი რეგიონების და სექტორების მიხედვით	66
გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	70
პუის სამომავლო ნაკადებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები	73
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში.....	79
თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენის კვლევა ეკონომიკაზე, საქართველოს მაგალითზე.....	90
კვლევის მეთოდოლოგია	90
სიხშირული და საშუალო მაჩვენებლების ანალიზი.....	93
კვლევის შედეგები და ანალიზი	98
Probit მოდელი ბინარული და ორდინალური ცვლადებისთვის	104
ადგილობრივ კომპანიების „ჩათრევის“ და „გამოდენის“ ეფექტი.....	118
დასკვნა და რეკომენდაციები	124
გამოყენებული წყაროები	132
დანართი 1 - ანკეტა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების შესასწავლად საქართველოში	
დანართი 2 - მონაცემთა ბაზის განმარტებები (stata)	
დანართი 3 - მონაცემთა ბაზა (stata)	
დანართი 4 - მაჩვენებლები, რომლებიც მიიღება probit რეგრესული ანალიზის დროს stata-ს გათვლებით	
დანართი 5 - სტატია - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ადგილობრივ ინვესტიციებზე (საქართველოს მაგალითზე)	

ცხრილების და დიაგრამების ნუსხა

ცხრილები

ცხრილი 1	ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზის (IDP) ეტაპები	46
ცხრილი 2	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და OLI პარადიგმა	51
ცხრილი 3	ბიზნესის კეთების სიმარტივის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს პოზიცია 10 კრიტერიუმის მიხედვით	62
ცხრილი 4	ეკონომიკის გლობალიზაცია სხვადასხვა ქვეყნებში 2006-2014 წლებში	64
ცხრილი 5	მშპ-ს რეალური ზრდა და ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (GFCF)* 2014-2017 წლები (პროცენტული მაჩვენებლები)	73
ცხრილი 6	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით	82
ცხრილი 7	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით	85
ცხრილი 8	გამოკითხული კომპანიების განაწილება სექტორების მიხედვით	93
ცხრილი 9	გამოკითხული კომპანიების საქართველოში მოღვაწეობის წლების საშუალო მაჩვენებელი სექტორების მიხედვით	94
ცხრილი 10	გამოკითხულ კომპანიებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა სექტორების მიხედვით	95
ცხრილი 11	ადგილობრივ ეკონომიკასთან კავშირების ფორმირება რაოდენობისა და სიხშირის მიხედვით	100
ცხრილი 12	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების საშუალო მაჩვენებლები, ინვესტორების შეფასებების მიხედვით	102
ცხრილი 13	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა ექსპორტზე	105
ცხრილი 14	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა იმპორტზე	107
ცხრილი 15	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა ინოვაციებზე	108
ცხრილი 16	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა მომწოდებლებთან კავშირების რაოდენობაზე	110
ცხრილი 17	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა დისტრიბუტორებთან კავშირების რაოდენობაზე	111
ცხრილი 18	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა ფინანსურ შუამავლებთან კავშირების რაოდენობაზე	113
ცხრილი 19	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა კვლევით ცენტრებთან კავშირების რაოდენობაზე	114
ცხრილი 20	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა უნივერსიტეტებთან კავშირების რაოდენობაზე	116
ცხრილი 21	პუი-ს გავლენა ადგილობრივ ინვესტიციებზე	122
ცხრილი 22	პუი-ს ეფექტი ადგილობრივ ინვესტიციებზე	123

დიაგრამები

დიაგრამა 1	ზრდის სხვადასხვა ეტაპი ეკლექტიკური პარადიგმის თანახმად	47
დიაგრამა 2	ადგილობრივი დარგის განახლება, კავშირების ხარისხი და სახეობები (სკოტ კენელის მოდელი)	58
დიაგრამა 3	ეკონომიკის გლობალიზაცია საქართველოში 1997-2014 წლებში	61
დიაგრამა 4	პუი-ს ნაკადები სხვადასხვა ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფებისთვის 2005-2015 წწ, პროგნოზი 2016-2018 წწ (მლრდ აშშ დოლარი)	65
დიაგრამა 5	გლობალური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სექტორების მიხედვით 2014 წ (ტრილიონი დოლარი და პროცენტები)	66
დიაგრამა 6	გლობალური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა პროცენტულად, სექტორების და რეგიონების მიხედვით 2014 წ	67
დიაგრამა 7	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტოპ 20 მიმღები ქვეყნის მიხედვით 2014 და 2015 წლების მიხედვით (მლრდ დოლარი)	69
დიაგრამა 8	გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტოპ 20 ქვეყნის მიხედვით 2014 და 2015 წლებში (მლრდ დოლარი)	72
დიაგრამა 9	მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები (ინვესტორების გამოკითხვის შედეგები)	75
დიაგრამა 10	მნიშვნელოვანი კორპორატიული და სხვა გარე ფაქტორები (ინვესტორების გამოკითხვის შედეგები)	76
დიაგრამა 11	პუი-ს მოზიდვის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები რეგიონების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები, ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტოების გამოკითხვა)	77
დიაგრამა 12	მნკ-ების ხელმძღვანელების აზრით, პუი-ს ყველაზე პერსპექტიული მიმღები ქვეყნები	78
დიაგრამა 13	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა საქართველოში 1997-2017 წლებში	81
დიაგრამა 14	ტოპ 20 ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდის მიხედვით საქართველოში, 2015 წელს	84
დიაგრამა 15	პრობლემები, რომლებსაც ინვესტორები ხვდებიან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში*	88
დიაგრამა 16	გამოკითხული კომპანიები ქვეყნების მიხედვით	97
დიაგრამა 17	ინვესტორების მიერ დასახელებული ძირითადი პრობლემები	102

გამოყენებული აბრევიატურები

Foreign Direct Investment (FDI) - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი)

Multinational enterprise (MNE) - მულტინაციონალური კომპანია (მნკ)

Investment Development Path (IDP) - საინვესტიციო განვითარების გზა

Net Outward Investment (NOI) - წმინდა გარე (გამავალი) ინვესტიცია

OLI პარადიგმა

O - Ownership advantages- საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები

L - Location advantages - ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები

I - Internalization advantages - ინტერნალიზაციასთან დაკავშირებული უპირატესობები

Oa: Asset-based ownership advantages - აქტივებთან დაკავშირებული საკუთრების უპირატესობები

Ot: Transaction-based ownership advantages - ქვეყნებს შორის ტრანზაქციებთან დაკავშირებული (საერთო მმართველობის) საკუთრების უპირატესობები

Oh - მიმღები ქვეყნის საკუთრების უპირატესობები (Ownership-specific advantages of host county firms)

Of - უცხოური ფილიალების საკუთრების უპირატესობები (Ownership-specific advantages of foreign affiliates)

Lh - მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობები (Location-specific advantages of host country)

If - უცხოური ფილიალების ინტერნალიზაციის უპირატესობები (Internalization-specific advantages of foreign affiliates)

Ih - მიმღები ქვეყნის ინტერნალიზაციის უპირატესობები (Internalization-specific advantages of host country firms)

DOL - კავშირების ხარისხი (degree of linkage)

KOF - შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტის გლობალიზაციის ინდექსი

UNCTAD - გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (United Nations Conference on Trade and Development - UNCTAD)

მადლიერების გვერდი

აღნიშნული დისერტაცია ვერ განხორციელდებოდა, რომ არა უამრავი ადამიანის თუ ორგანიზაციის მხარდაჭერა. განსაკუთრებული მადლობა მსურს გადავუხადო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერს, ბატონ ვახტანგ წივწივაძეს, კვლევის პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის; შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს კვლევის დაფინანსებისთვის (გრანტი # RNSF/DO387/2-230-14) და ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში, დაგვიტმეს დრო და შეავსეს კითხვარი.

ასევე, განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ ჩემს ხელმძღვანელებს, ქალბატონ თეა კასრაძეს და ბატონ დავით სიხარულიძეს, მათი რჩევებისთვის, კვლევის პროცესში ჩართულობისთვის და ხელმძღვანელობისთვის.

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) უდიდეს როლს თამაშობენ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. პუი ასოცირდება ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების, დარგთან დაკავშირებული ცოდნის, ინოვაციების, მმართველობითი უნარების და სხვა აქტივების შემოდინებასთან. თუმცა, მრავალი კვლევა მოწმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა არ არის ცალსახად პოზიტიური მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც, პუი-სგან სარგებლის შთანთქმის განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი პერიოდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით საკმაოდ რთული იყო საქართველოსთვის. დაძაბული პოლიტიკური გარემო, კრიმინალური ვითარება, დაკარგული ტერიტორიები, სამოქალაქო ომები, ეკონომიკური კავშირების დაკარგვა, ჰიპერინფლაცია და სხვა მრავალი ფაქტორი პუი-სთვის არამომზიდველს ხდიდა ქვეყანას. ბოლო 25 წლის განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმებმა საგრძნობლად დააჩქარა ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი, რამაც საქართველო, ერთი შეხედვით, ინვესტირებისათვის პერსპექტიულ ქვეყნად აქცია. ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა 2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელისმოწერამ, რომელიც ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებულ ანგარიშებზე დაყრდნობით¹ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ

¹ Doing Business Comparing Business Regulation for Domestic Firms in 190 Economies 2017, A World Bank Group Flagship Report. 2016 KOF Index of Globalization, method 2016. UNCTAD – World Investment Report

საქართველო ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის დაწინაურება სხვადასხვა რეიტინგებში ძირითადად ბიუროკრატიული ბარიერების შემსუბუქებამ და საკანონმდებლო ცვლილებებმა განაპირობა. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება გადახდისუუნარობასთან, სასამართლო დავებთან და საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. 2005 წლიდან ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (თუ არ ჩავთვლით 2008-2010 წლების ვარდნას), თუმცა მათ ვერ უზრუნველყვეს ქვეყანაში ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, როგორებიცაა დასაქმების მაჩვენებლის და საექსპორტო პოტენციალის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელება და სხვა.

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ საკმაოდ საინტერესო კვლევებია ჩატარებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის შეფასების მიზნით, საქართველოს მაგალითზე. თუმცა ნიშანდობლივია, რომ მიკრო დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენები ნაკლებად არის შესწავლილი. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული საკითხით და გადაწყვეტიტეთ, რომ კვლევა ჩაგვეტარებინა მიკრო დონეზე - შეგვესწავლა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების **მოტივაციები** და შეგვეფასებინა მათი გავლენა ქვეყნის დარგობრივ განვითარებაზე.

კვლევა აგებულია ჯონ დანიინგის ეკლექტიკურ (OLI) პარადიგმასა (O - Ownership advantages; L - Location advantages; I - Internalization advantages) და ვაიკატოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ჯოანა სკოტ კენელის საინვესტიციო მოდელზე დაყრდნობით, რომელიც გამოყენებული აქვს ამავე უნივერსიტეტის დოქტორს კაროლინა კლარამუნტს თავის სადისერტაციო ნაშრომში. თავის მხრივ, სკოტ კენელის მოდელი აგებულია ჯონ დანიინგის OLI პარადიგმაზე დაყრდნობით.

OLI პარადიგმის თანახმად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, რომელიც დამოკიდებულია: ინვესტორის საკუთრების უპირატესობებზე (O); ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობებზე (L); ინტერნალიზაციის უპირატესობებზე (I) (ბაზარზე შესვლის ფორმა პირდაპირი ინვესტიციების გზით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას (მაღალტექნოლოგიური ბიზნესი და სხვა)). OLI პარადიგმის მეშვეობით კარგად ჩანს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, ამასთან იგი ასახავს საკუთრების, ადგილმდებარეობისა და ინტერნალიზების ურთიერთქმედებას უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის.

პარადიგმა მიუთითებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო განვითარება დამოკიდებულია ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობებზე (O) და უცხოური კომპანიების მიერ ამ უპირატესობის გავრცელებაზე. აქედან გამომდინარე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვთ ირიბი გავლენა ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობების გაუმჯობესებაზე, რისი მეშვეობითაც ქვეყანაში ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობა. თუმცა, სკოტ კენელის მიხედვით, ამ პოტენციალის გამოყენება დამოკიდებულია ქვეყანაში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტიპებზე, ადგილმდებარეობასა და სამთავრობო პოლიტიკაზე².

დანინგის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ადგილობრივი ბაზრის დარგობრივ განვითარებაზე დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ინვესტიციების მოტივაციები; ინვესტიციების მოცულობა; უცხოური ფირმის წარმომავლობა და მულტინაციონალურობა; მიმღები ქვეყნის ბაზრის სტრუქტურა, ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები; ბაზარზე შესვლის ფორმა; პროდუქტის ან/და სერვისის

² Carolina Del Pilar Salcedo Claramunt, The impact of foreign direct investment on the local Chilean industry, The University of Waikato, 2010..

მახასიათებლები; მსგავს დარგში მოღვაწე ფირმების მახასიათებლები; უცხოური და ადგილობრივი ფირმების სამეწარმეო უნარები და სტრატეგია მიმღებ ქვეყანაში. გარდა ზემოხსენებული ფაქტორებისა, მნიშვნელოვანია მულტინაციონალური კომპანიები ადგილობრივ ბაზართან ინტეგრირების ხარისხიც.

წარმოდგენილი სადისერტაციო კვლევის მიზანია: საქართველოში პუი-ს მოტივაციების გამოვლენა და ქვეყნის ეკონომიკაზე მათი გავლენის შესწავლა დარგისა და ქვეყნის მახასიათებლების გათვალისწინებით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციებისა და პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შესახებ ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-გაანალიზება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილობრივი და გლობალური ტენდენციების შესწავლა- გაანალიზება;
- საკვლევი კითხვების ჩამოყალიბება;
- კვლევის დიზაინის შემუშავება და კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევისათვის აუცილებელი პირველადი მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა;
- მონაცემთა ანალიზი, კვლევის შედეგების შეჯამება, დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება;

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე კვლევის საგანს საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები, ხოლო კვლევის ობიექტს მულტინაციონალური კომპანიების, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი შემომტანების, საქმიანობა წარმოადგენს.

კვლევის მეთოდოლოგია

დისერტაციაში გამოყენებულია რაოდენობრივი (ანკეტური გამოკითხვა) კვლევის მეთოდები. საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2500-მდე კომპანიაში განხორციელდა. 95%-იანი ნდობის ინტერვალი შეადგენს 10%-ს, რომლის თანახმადაც უნდა გამოკითხულიყო არანაკლებ 94 ორგანიზაცია. კვლევაში გამოყენებულია 97 ორგანიზაციის მიერ შევსებული კითხვარი, სადაც სავარაუდო პასუხების ძირითადი ნაწილი დახურულია და წარმოდგენილია ორდინალური ან ბინარული გაზომვის სკალით. ძირითადად, დამოუკიდებელი ცვლადებად აღებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები, რომელთა გავლენაც შეისწავლება სხვადასხვა დამოკიდებულ ცვლადებზე (ექსპორტი, იმპორტი, დასაქმება, კავშირების რაოდენობა ადგილობრივ ფირმებთან და სხვ.) probit რეგრესიული ან ორდინალური probit რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. კვლევის ეტაპები და მეთოდები უფრო დაწვრილებით მოცემულია მეოთხე თავში.

კვლევის შედეგად მიღებული სამეცნიერო სიახლე შეიძლება შემდეგნაირად ფორმულირდეს:

1. OLI პარადიგმის საფუძველზე შემუშავებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის მოდელი ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელშიც განსაზღვრულია მულტინაციონალური კომპანიების მიერ ადგილობრივ დარგებთან ინტეგრაციის ხარისხი ანკლავურიდან სრული ინტეგრაციის ჩათვლით.
2. გამოვლენილია საქართველოში განხორციელებული პუი-ს ძირითადი მოტივაციები. გაანგარიშებულია მათი გავლენა ადგილობრივი დარგების მოდერნიზაციაზე კავშირების რაოდენობისა და სიხშირის მიხედვით.

3. ქვეყნის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე გამოვლენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან სარგებლის მიღების და საინვესტიციო მიმზიდველობის პოტენციური შესაძლებლობები.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება - აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დარგის სპეციალისტების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკითხებით დაინტერესებული მკვლევრების მიერ; საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის დროს; ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს; კვლევის შედეგები შესაძლოა ასევე განზოგადდეს ყოფილ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებზე.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია - სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები წარმატებითაა დაცული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში თეორიულ-ემპირიული კვლევების და თემატური სემინარების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტმა სადისერტაციო თემით გამარჯვება მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში. საგრანტო ხელშეკრულების პირობები - პროექტის პროგრამული და ფინანსური ნაწილი შესრულდა წარმატებით და დადებითად შეფასდა ფონდის მონიტორინგის სამსახურის მიერ. გრანტის ფარგლებში, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები და ცალკეული კომპონენტები წარდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე: სექციის მოხსენება სათაურით: „ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი და მისი გავლენა განვითარებად ქვეყნებზე“, ორგანიზატორი - ჩეხეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ჩეხეთის აკადემიური განათლების ინსტიტუტი - “საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია მენეჯმენტის, ეკონომიკის, ბიზნესის და მარკეტინგის შესახებ“ (ვენა, ავსტრია). სასტენდო მოხსენება სათაურით: “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები

და მათი გავლენა ყოფილ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებზე“, ორგანიზატორი - საერთაშორისო აკადემიური ფორუმი - „ევროპის მესამე კონფერენცია ბიზნესის და მენეჯმენტის შესახებ“ (ბრაიტონი, დიდი ბრიტანეთი).

პუბლიკაციები დაბეჭდილია რეფერირებად ჟურნალებში საზღვარგარეთ, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში: Index Copernicus; Central and Eastern European online Library (CEEOL); EBSCO Publishing, Inc. - Business Source Complete; EconBiz; Google Scholar; Google books.

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და ეკლექტიკური პარადიგმა

ლიტერატურის ანალიზი

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტების და მულტინაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებული აქტივობების (პირდაპირი ინვესტიციების გავლენა მიმღებ ქვეყანაზე) შესასწავლად, ბევრი მეცნიერი ეკლექტიკურ (OLI - O - Ownership advantages; L - Location advantages; I - Internalization advantages)) პარადიგმას იყენებს,³ რომელიც თავის მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა (პუი) და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირის შესაფასებლად გამოიყენება⁴. ამ პარადიგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია სხვა კონცეფციებიც, მაგალითად ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზა (Investment Development Path (IDP)), რომელიც პირველად 1980-იანი წლების დასაწყისში დანიშნა წამოაყენა. ამ კონცეფციის განვითარებასა და სრულყოფაში დანიშნა ერთად სხვა ავტორებმაც შეიტანეს წვლილი (ნარულა, ლალი, დურანი, უბედა და სხვ)⁵. OLI პარადიგმის მიხედვით, ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზა (IDP) სამი ფაქტორით არის განსაზღვრული: მულტინაციონალური კომპანიების (მნკ) (Multinational Enterprises (MNE)) საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობებით (O - Ownership advantages), მასპინძელი და მშობლიური ქვეყნის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობებით (L - Location advantages) და მათი მიდრეკილებით, რომ აითვისონ ახალი ბაზარი (I - Internalization advantages). აქედან გამომდინარე, OLI პარადიგმის თეორიული და პრაქტიკული ანალიზი საინტერესოა პუი-ს გავლენის

³ John H. Dunning, (2000) The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, *International Business Review* 9, 163-190

⁴ Carolina Del Pilar Salcedo Claramunt (2010), The impact of foreign direct investment on the local Chilean industry, The University of Waikato.

⁵ Carolina Del Pilar Salcedo Claramunt (2010), The impact of foreign direct investment on the local Chilean industry, The University of Waikato.

შესასწავლად მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, რადგან იგი ასახავს ურთიერთკავშირს საკუთრებას, ადგილმდებარეობასა და ინტერნალიზაციას შორის, როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ფირმების აქტივობების გათვალისწინებით (Claramunt, 2010) (Dunning & Narula, 1996).

საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები

საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები არის იმ დადებითი მხარეების ერთობლიობა, რომელთაც ექსკლუზიურად ფლობს მნკ. უმრავლესობა გარკვეული არამატერიალური აქტივების ფლობის შედეგად წარმოიქმნება. საკუთრების უფლება და არამატერიალური აქტივები საშუალებას აძლევს მნკ-ებს, რომ მიიღონ ეფექტიანობასთან დაკავშირებული უპირატესობები მრავალ ბაზარზე. სკოტ-კენელის მიხედვით⁶ საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები უცხო ქვეყანაში განხორციელებული ინვესტირების დროს, ძირითადად მომსახურების სექტორში გვხვდება. ფირმის საკუთრებასთან დაკავშირებულ აქტივებში მოიაზრება ადამიანური რესურსები, პატენტები და ექსკლუზიური ტექნიკური ცოდნა, საავტორო უფლებები თუ სავაჭრო მარკები ან სხვა არამატერიალური აქტივები, როგორცაა მმართველობის/მენეჯმენტის „ნოუ-ჰაუ“ ან ფირმის რეპუტაცია (მარკუსენი, 1989; ფერნანდესი, 2001; რუგმანი და ვერბეკი, 2008).

ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ საკუთრების უპირატესობასთან დაკავშირებულ პუი-ს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი ეფექტის მოხდენა საკმაოდ მოკლე დროში შეუძლია. შვილობილ კომპანიაზე კაპიტალთან ერთად ძალიან დიდი გავლენა აქვს დარგის სპეციფიკასთან დაკავშირებულ ცოდნასა და ტექნოლოგიებს. ამ შემთხვევაში, ფირმებს პოტენციურად აქვთ წვდომა ისეთ რესურსებზე, როგორცაა ტექნოლოგია,

⁶ Scott-Kennel, J. (2001). The impact of foreign direct investment on New Zealand industry. Unpublished PhD Thesis, New Zealand: University of Waikato.

ცოდნა და მენეჯერული უნარები, რომლებსაც მათი კონკურენტები მოკლე დროში ვერ მიზაძავენ. ხოლო ეს ყოველივე საშუალებას აძლევს მათ, მოიპოვონ ან შეინარჩუნონ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა ადგილობრივ ბაზარზე⁷.

ემპირიული მონაცემების მიხედვით, როდესაც ადგილობრივი ფირმა შექმნილია მწკ-ს მიერ, დამატებითი კაპიტალის შემოსვლა გაცილებით უფრო ეფექტიანად აუმჯობესებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს.⁸ უცხოური კვლევების დიდი ნაწილის მიხედვით (ჰუ და ჯეფერსონი, 2002, ალვარესი, 2003; კატურია, 2002; ჩაილდი, ფოლკნერი და პიტკეტლი, 2000, ჰული და სხვ., გირმა, გრინვეი და ვაკელინი, 2001) საშუალოდ, უცხოური ფილიალები უფრო მეტად პროდუქტიულები არიან, ვიდრე ადგილობრივი ფირმები. ბევრი ავტორის აზრით, უცხოური შვილობილი კომპანიები/ფილიალები ადგილობრივებზე მეტად არიან ექსპორტზე ორიენტირებულნი და კვალიფიციურ კადრებს უფრო აქტიურად იყენებენ⁹.

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები

ეკლექტური პარადიგმის მიხედვით, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები განისაზღვრება ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე და ყველა უცხო ქვეყნის ფირმისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია. აქედან გამომდინარე, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები ასოცირდება ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწკ კონკრეტული ქვეყნის

⁷ Hooley, G., Cox, T., Shipley, D. & Fahy, J. (1996) Foreign direct investment in Hungary: Resource acquisition and domestic competitive advantage. *Journal of International Business Studies*, 27(4), pg. s683-709.,

⁸ Cantwell, J. A. (1991). "The technological competence theory of international production and its implications". In D. McFetridge (Ed.), *Foreign investment, technology and economic growth*. Toronto, Canada: University of Toronto Press.

⁹ Carolina Del Pilar Salcedo Claramunt (2010). *The impact of foreign direct investment on the local Chilean industry*, The University of Waikato.

Vernon, R. (1966). International investment and international trade in the product cycle. *Quarterly Journal of Economics*, 80, 190-207 და

Vernon, R. (1974). The location of economic activity. In J. H. Dunning (Ed.), *Economic analysis and multinational enterprise* (pp. 89-114). London: Allen and Unwin

ბაზარზე შედის, რადგან საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები შეუძლია იქ უკეთ გამოიყენოს.

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები მშობლიურ ქვეყანაში გავლენას ახდენს მნკ-ს საქმიანობაზე და საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობების განვითარებას უწყობს ხელს. ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად კლარამუნტი (2010) მიიჩნევს ვერნონის ნაშრომებს, რომელმაც განაცხადა, რომ უცხოური პროდუქციის ადგილმდებარეობის არჩევას ჩრდილო ამერიკული დიდი მნკ-ების მიერ, აღმასვლისა და დაღმასვლის სტადიები მოჰყვა. პოზნერის¹⁰ ადრეული ნაშრომების განხილვის საფუძველზე, ვერნონი ამბობდა, რომ აშშ-ის ფირმების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები განისაზღვრებოდა აშშ-ის ფულადი რესურსებისა და ბაზრების ფორმა-სტრუქტურით. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის (PLC) თეორია მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის წარმოადგენდა სხვადასხვა ფაქტორების, საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური პროდუქციის ურთიერთკავშირს. ასე რომ, მან დაადგინა, თუ როგორ თამაშობდა ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები მნიშვნელოვან როლს პროდუქციის გასაღების ბაზრის განსაზღვრაში. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია აღწერს იმას, თუ როგორ სთავაზობდნენ სხვადასხვა ქვეყნები ციკლის ყოველ სტადიაზე სასურველ უპირატესობებს. შესაბამისად, ვერნონმა (1974) დაასკვნა, რომ მნკ-ს სათაო კომპანია აღარ არის საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობების ერთადერთი წყარო და რომ შვილობილ კომპანიებსაც შეუძლიათ, განავითარონ საკუთრებასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები და შემდეგ ისინი სხვა შვილობილ კომპანიებს ან თავად სათავო კომპანიას აათვისებინონ.

ხშირად კამათობენ, რომ განვითარებად ქვეყნებში პუი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი ბაზრის დარგობრივ განვითარებას. ასეთ ქვეყნებში პუი-ს

¹⁰ Posner, M. V. (1961). International trade and technical change. Oxford Economic Papers, 13(October), 323-341.

ეკისრება ტექნოლოგიების გადაცემის როლი და ამავე დროს არ წარმოადგენს ყველაზე ეფექტიან საშუალებას დარგობრივი განვითარების ხელშესაწყობისთვის¹¹. მაგალითად, მნკ-ებმა შესაძლოა ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება არჩიონ, რომლებიც შეესაბამება მათ კონკრეტულ საჭიროებებს და მიზნებს¹². მნკ-ები თავის საინვესტიციო გადაწყვეტილებებს აკავშირებენ მათ საჭიროებებსა და ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობებს. მაშასადამე, პუი-ის როლი დარგობრივი ცვლილებებისთვის დამოკიდებულია ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობებზე და იმაზე, თუ როგორ განვითარდებიან ისინი დროთა განმავლობაში. ადგილმდებარეობის უპირატესობის განვითარების პროცესი განსაზღვრავს საკუთრების უპირატესობების ფორმირებას, რომლებიც დარგობრივ და ტექნოლოგიურ განვითარებას უკავშირდება (ნარულა და დანინგი, 2000). მაშასადამე, ზემოთხსენებულ შემთხვევაში, მასპინძელ ქვეყანაში შესაძლებელია არ გვექნდეს პუი-სგან გამოწვეული არსებითი და დარგობრივი ცვლილებები¹³.

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები მოიცავს ბუნებრივ რესურსებს (მიწას, ძირითად რესურსებს), მატერიალურ და შრომით ღირებულებას (მაგალითად, დაბალ შრომით ხარჯებს), ადგილობრივი ბაზრის მასშტაბებს და შექმნილ აქტივებს. ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობებს კულტურული, პოლიტიკური და ბიზნეს გარემოც აყალიბებს. მოზიდული ინვესტიციის ტიპსა და დონეზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. მაგალითად, ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებები, რომლებიც მოთხოვნითა და მიწოდებითაა განპირობებული, ხშირად ზრდის მომსახურების ბაზარს. მომსახურება თავისი ბუნებით ითხოვს, რომ ფირმებმა მომსახურების

¹¹ Narula, R., & Dunning, J. (2000). Industrial development, globalization and multinational enterprises: New realities for developing countries. *Oxford Development Studies*, 28(2), 141-167.

¹² Lall, S., & Streeten, P. (1977). *Foreign investment, transnationals, and developing countries*. London: Macmillan

¹³ Portelli, B. (2002). Coordination failures and the role of foreign direct investment in least developed countries: Exploring the dynamics of a virtuous process for industrial upgrading. Centre for Technology, Innovation and Culture, September 2002. Oslo, Norway: University of Oslo.

დაწესებულებები დააარსონ მასპინძელ ეკონომიკაში, განავრცონ ეროვნული მომსახურების ბაზარი მსოფლიოში, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მთავარ პროგრესს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობათა მხრივ, რომლებიც პუი-ს სტიმულირებას ახდენენ¹⁴. ამ დასკვნის მიხედვით, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ცვლადი ფაქტორები უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირების ჩამოყალიბებაში მთავარ როლს თამაშობს. ზემოთ განხილულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მთავრობის პოლიტიკას, ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიურ განსხვავებას უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს. პუი-სგან დამოუკიდებელ გავლენათა ილუსტრირებისთვის, კლარამუნტს გამოყენებული¹⁵ აქვს ESP პარადიგმა¹⁶, რომელიც ქვეყნების კლასიფიცირებას ახდენს მათი ეკონომიკური გარემოს (E), ეკონომიკური სისტემების (S) და სამთავრობო პოლიტიკის მიხედვით (P)

17 .

ეკონომიკური გარემო, ეკონომიკური სისტემები და სამთავრობო პოლიტიკა
ეკონომიკური გარემო (E) – მოიცავს ქვეყნის რესურსებსა და შესაძლებლობებს (ადამიანური რესურსები, ბუნებრივი რესურსები) ისევე როგორც ადგილობრივი ფირმების უნარებს, გამოიყენონ ეს ყოველივე ადგილობრივი და უცხოური ბაზრების გასაუმჯობესებლად. კონკრეტულ ეკონომიკურ გარემოს შედეგად მოაქვს განვითარების კონკრეტული დონე და სტრუქტურა (პირველადი სექტორი, ცოდნა). შესაბამისად, ეკონომიკური გარემოს კომპონენტები შეიძლება ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობებს შევადაროთ და განვსაზღვროთ მასპინძელი ქვეყნის უნარი,

¹⁴ Mallampally, P., & Zimny, Z. (2000). Foreign direct investment in services: Trends and patterns. In Y. Aharoni, & L. Nachum (Eds.), *Globalization of services: Some implications for theory and practice* (pp. 25-51). London: Routledge.

¹⁵ Carolina Del Pilar Salcedo Claramunt (2010). *The impact of foreign direct investment on the local Chilean industry*, The University of Waikato.

¹⁶ Koopman, K. & Montias, J. M. (1971). On the description and comparison of economic systems. In A. Eckstein (Ed.), *Comparison of economic systems*. Berkeley, CA: University of California

17 Dunning, J. (1993). *Multinational enterprises and the global economy*. Wokingham, England: Addison-Wesley Publishing Company.

ათვისოს ის აქტივები, რომლებიც პუი-ს ახლავს. ტექნოლოგიური განსხვავების ჰიპოთეზა განაპირობებს იმას, რომ შედეგები იზრდება ეტაპობრივად, ადგილობრივ და უცხოურ ფირმებს შორის ტექნოლოგიური განსხვავებების დონესთან ერთად. ამის მიუხედავად, ემპირიული მონაცემები არ ემხრობა ტექნოლოგიური განსხვავების ტრადიციულ, სწორხაზოვან ჰიპოთეზას. მაგალითად, ზოგიერთი თეორიის მიხედვით, პუი უფრო პროდუქტიულია, როდესაც მცირეა განსხვავება უცხოურ და ადგილობრივ ეკონომიკას შორის (ჰადადი და ჰარისონი, 1993, მაროკო; კოკო, 1994; კოკო, ტანსინი და ზეჯანი, 1996).

ბევრი მეცნიერის აზრით ადგილობრივ ფირმებს ადგილობრივი ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდებათ, რათა შეძლონ სარგებლის მიღება და დარგთან დაკავშირებული ცოდნის ათვისება მნკ-ებისგან^{18 19}. ზემოხსენებულის თანახმად, განვითარებულ ქვეყნებს ადამიანური რესურსების უფრო მაღალი დონე უნდა ჰქონდეთ და შესაბამისად, პუი-სგან უფრო მეტ სარგებელსაც უნდა იღებდნენ, ვიდრე განვითარებადი ქვეყნები. ამ თვალსაზრისს ამყარებს ქსუ²⁰, რომლის მთავარი დებულებაც გვეუბნება, რომ აშშ-ის მნკ-ების მიერ ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას წვლილი შეაქვს განვითარებული ქვეყნების პროდუქტიულობის ზრდაში, თუმცა განვითარებად ქვეყნებში ეს არ ხდება. ვინაიდან ამ უკანასკნელთაგან ბევრი ვერ აკმაყოფილებს საბაზისო მოთხოვნებს, მათ გაუჭირდებათ პუი-ისგან სარგებლის მიღება.

კოკო და სხვ., (1996) განმარტავენ, რომ რაც უფრო მეტ ინვესტიციას ჩადებენ ადგილობრივი ფირმები კვლევებსა და განვითარებაში, მით მეტი ცოდნის მიღებას შეძლებენ. ლიუ, სილერი, ვანგი და ვეი²¹ აცხადებენ, რომ

¹⁸ Lall, S. (1996). The investment development path: Some conclusions. In J. Dunning & R. Narula (Eds.), Foreign direct investment and governments: Catalysts for economic restructuring (pp. 423-441). London: Routledge.

¹⁹ Borensztein, E., De Gregorio, J., & Lee, J-W (1998). How does foreign investment affect economic growth?. Journal of International Economics, 45(1), 115-135.

²⁰ Xu, B. (2000). Multinational enterprises, technology diffusion, and host country productivity growth. Journal of Development Economics, 62(2), 477-493.

²¹ Liu, X., Siler, P., Wang, C., & Wei, Y. (2000). Productivity spillovers from foreign direct investment: Evidence from UK industry level panel data. Journal of International Business

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში უცხოური კომპანიების ყოფნა რომელიმე სექტორში დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივი ფირმების შრომის ნაყოფიერებაზე. კატურიას²² დასკვნით, ინდოეთში შედეგები დიდწილად დამოკიდებულია იმ ინვესტიციაზე, რომელსაც ადგილობრივი ფირმები კვლევისა და განვითარებაში ახორციელებენ. მრავალი კვლევის მიხედვით ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობები მიმდები ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაზეა დამოკიდებული²³. მიმდებთა მიერ მისი გამოყენების უნარი იკლებს, როდესაც ქვეყანაში ტექნოლოგიები ნაკლებად განვითარებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მეტი შანსი ეძლევა ქვეყანას უცხოური ინვესტიციების შედეგად დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები ადგილობრივ დარგებში, მით ნაკლები უნარი აქვს რომ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა (ლიუ და სხვ., 2000).

ბაკლის და კასონის²⁴ მიხედვით ადგილობრივი ფირმების დაბალი კომპეტენცია ტექნოლოგიური ტრანსფერის ღირებულებას და ინტერნალიზაციის სარგებელს ზრდის, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენს უცხოურ ფილიალებსა და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირების ჩამოყალიბებაზე. ტექნოლოგიისა და მასალა/ნედლეულის ხელმიუწვდომლობა მიიჩნევა მთავარ ფაქტორებად, რომლებიც აფერხებენ უფრო დიდ კავშირების დამყარებას (ბრაუნი, 1998; ბაკლი და მაკნამარა, 1994). გარდა ამისა, ბატარა და ტანი²⁵ აღნიშნავენ, რომ გარკვეული ფაქტორები, ზღუდავენ ადგილობრივი ფირმების მომწოდებლის რანგში ფუნქციონირებას. მათ მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, დროულად მიწოდების ცუდი პრაქტიკა (JIT), ხარისხის კონტროლის ნაკლებობა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ნაკლებობა ადგილობრივი

²² Kathuria, V. (2002). Liberalization, FDI, and productivity spillovers: An analysis of Indian manufacturing firms. *Oxford Economic Papers*, 54, 688-718.

²³ Blomstrom, M., & Sjöholm, F. (1999). Technology transfer and spillovers: Does local participation with multinationals matter? *European Economic Review*, 43(4-6), 915-923.

²⁴ Buckley, P. J., & Casson, M. C. (1985). *The economic theory of the multinational enterprise*. London: Macmillan.

²⁵ Batra, G., & Tan, H. W. (2002). Inter-firm linkages and productivity growth in Malaysian manufacturing. In *Malaysia: Technology development, inter-firm linkages and Productivity growth*. Washington, DC: World Bank.

მომწოდებლებისთვის მთავარი პრობლემაა. გარდა ამისა, გამოხატავენ რა უფრო მოწინავე ტექნოლოგიურ საჭიროებებს, უცხოური ფირმები უფრო ხშირად ასახელებენ სერიოზულ დაბრკოლებად ტექნოლოგიის დაბალ დონეს ადგილობრივ ფირმებში.

უცხოური ფილიალები ამყარებენ თუ არა კავშირებს ადგილობრივ კომპანიებთან, ეს დამოკიდებულია ამ უკანასკნელთა მიერ უცხოური ფირმების საჭიროებების ეფექტიანად დაკმაყოფილების უნარზე (Dunning, 1993).

მასპინძელი ქვეყნის შესაძლებლობებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომ ინსტიტუტების ხარისხი შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდეს პუი-ს საქმიანობას, განვითარებად ქვეყნებში²⁶. მათი დაბალი ხარისხი იწვევს ბიზნესის საქმიანობის ხარჯების მატებას და ამიტომაც შესაძლოა, პუი-ს აქტივობა შეამციროს. ოლოფსდოთერი განიხილავს პუი-ს მიმღები ქვეყნების ათვისების უნარს და აცხადებს, რომ პუი-ის პოზიტიური შედეგები იმ ქვეყნებში უფრო მძლავრია, რომელთაც ინსტიტუციური შესაძლებლობების გაცილებით მაღალი დონე აქვთ²⁷. ვეის ნაშრომები (2000a, 2000b) გვიჩვენებს, რომ კორუფციის მაჩვენებლის ნაირსახეობა მჭიდროდ და უარყოფით თანაფარდობაშია პუი-სთან.

ეკონომიკური სისტემები (S) - ნიშნავს მაკროორგანიზაციულ მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყოფა-გადანაწილება ხდება. ქვეყნის ეკონომიკური სისტემა განაპირობებს მის სურვილს, ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში და მნიშვნელობა არა აქვს, მისი რესურსები და შესაძლებლობები მთავრობის მიერაა გამოყოფილი, ბაზრის მიერ თუ ამ ორის კომბინაციაა.

²⁶ Bloningen, B. (2005). A review of the empirical literature on FDI determinants. University of Oregon and NBER. ASSA Conference, Philadelphia, April 2005

²⁷ Olofsdotter, K. (1998). Foreign direct investment, country capabilities and economic growth. *Weltwirtschaftliches Archive*, 134(3), 534-547.

ბაგვატი²⁸ აღნიშნავს, რომ შემოსული პუი-ის მოცულობა და ეფექტიანობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი სტრატეგიით ხელმძღვანელობს ქვეყანა: ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგიით (EP) თუ იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიით (IS). ბაგვატის მსგავსად, ოზავა²⁹ ვაჭრობისა და საინვესტიციო რეჟიმის ორ ტიპს განასხვავებს: გარეთ მიმართული, ექსპორტზე ორიენტირებული (OL-EO) ტიპი და შიგნით მიმართული, იმპორტის ჩანაცვლებელი (IL-IS) ტიპი. ის უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში ქვეყნები ორივე რეჟიმის (სტრატეგიების) ელემენტებს იყენებენ. თუმცა, რომელიმე რეჟიმი ერთი და იმავე მიდგომის მიერ შეიძლება უფრო ძლიერად ან სუსტად დახასიათდეს. OL-EO სტრატეგიის მთავარი თვისება მისი ნეიტრალურობაა და OL-EO სავაჭრო რეჟიმიც არ წარმოშობს ხელოვნურ და დროებით სტიმულს პუი-სთვის. ამისგან განსხვავებით, IL-IS რეჟიმი სრულად პოლიტიკაზეა გადართული. ის მიზნად ისახავს ადგილობრივი ბაზრის დაცვას და მშობლიურზე დაფუძნებული ინვესტიციების მოზიდვას.

ბალასუბრამანიამი და სხვები³⁰ ამბობდნენ, რომ განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, მაშინ, როცა პუი მამოძრავებელი ძალაა OL-EO ქვეყნებში, მასზე განსაკუთრებული დატვირთვა და გავლენა არ ხდება IL-IS ქვეყნებში. ამ თვალსაზრისის მიხედვით, პუი-ის გავლენა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და სავაჭრო პოლიტიკამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს პუი-ს როლზე ეკონომიკურ განვითარებაში.

ემპირიული რეალობა ბაგვატის თავდაპირველ ვერსიას ემხრობა. მისი მიხედვით, ღიაობა ვაჭრობის მხრივ პოზიტიურად არის დაკავშირებული პუი-სთან (სინგი და ჯუნი, 1995; ბასუ და სხვ., 2003; მარინო, 2000). რაც უფრო გახსნილია დარგი უცხოური ბაზრებისთვის და საერთაშორისო

²⁸ Bhagwati, J. N. (1978). Anatomy and consequences of exchange control regimes. *Studies in International Economic Relations*, 1(10). New York: National Bureau of Economic Research.

²⁹ Ozawa, T. (1992). Foreign direct investment and economic development. *Transnational Corporations*, 1(1), 27-54.

³⁰ Balasubramanyam, V. N., Salisu, M., & Sapsford, D. (1996). Foreign direct investment and growth in EP and IS countries. *The Economic Journal*, 106(434), 92-105.

კონკურენციისთვის, მით უფრო მაღალია ადგილობრივი კომპანიების პროდუქტიულობა (რომლებიც კონკურენციის მიუხედავად გააგრძელებენ საქმიანობას). უფრო მეტიც, საერთაშორისო ბაზრებისთვის დარგის გახსნილობა ასოცირდება ცოდნის ხელმისაწვდომობასთან ადგილობრივი ფირმებისთვის, ისევე როგორც ახალ ტექნოლოგიებთან წვდომასთან, რაც თავის მხრივ, ადგილობრივი ტექნოლოგიების გადაცემასა და შედეგებს უწყობს ხელს³¹.

მთავრობის პოლიტიკა (P) - ქვეყნის ეკონომიკური სისტემა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს მაშინ, როდესაც სამთავრობო პოლიტიკა შეიცვლება. ეს ნიშნავს, რომ სამთავრობო პოლიტიკა, სავარაუდოდ, ამ პარადიგმის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია პუი-ზე მისი გავლენის თვალსაზრისით³². მთავრობის პოლიტიკა მოიცავს მთავრობის სტრატეგიულ მიზნებსა და მის მიერ მიღებულ მაკრო (ფისკალური, მონეტარული და სავალუტო პოლიტიკა) და მიკრო (დარგობრივი, სავაჭრო, საინვესტიციო და კონკურენციის პოლიტიკა) ზომებს. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მკვების საქმიანობაზე მასპინძელ ეკონომიკაში³³, ისევე როგორც ამ ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე. მაგალითად, განსხვავებული სამთავრობო პოლიტიკის მეშვეობით, მთავრობებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორცაა ვიწრო სპეციალობაზე ორიენტირებული ცოდნის (განათლება და სასწავლო პოლიტიკა) ხელმისაწვდომობა და ხარისხი; ინოვაციის დონე და მოდელი (საპატენტო და სავაჭრო მარკის კანონმდებლობა); მათი საკუთარი კვლევების და განვითარების პროგრამა; ზრდა, მასშტაბი და განსხვავებები ფირმებს შორის (კონკურენციის პოლიტიკა) და დარგობრივი კლიმატი, რომელშიც ფირმები ფუნქციონირებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ადგილმდებარეობასთან

³¹ Chuang, Y-C., & Lin, C-M. (1999). FDI, R&D and spillover efficiency: Evidence from Taiwan's manufacturing firms. *Journal of Development Studies*, 35(4), 117-137.

³² Scott-Kennel, J. (2001). The impact of foreign direct investment on New Zealand industry. Unpublished PhD Thesis, New Zealand: University of Waikato.

³³ Dunning, J. (1993). *Multinational enterprises and the global economy*. Wokingham, England: Addison-Wesley Publishing Company.

დაკავშირებული უპირატესობები ან თავს იჩენს ეკონომიკაში ან დიდად არ არის დამოკიდებული სამთავრობო პოლიტიკაზე (სკოტ კენელი, 2001). აქედან გამომდინარე, სამთავრობო პოლიტიკა ეკონომიკის განვითარების ტრაექტორიის მხრივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, ხელშემწყობ როლს თამაშობს. მაგალითად, მნკ-ების მომსახურების შემთხვევაში, მათ იზიდავს მნიშვნელოვანი საქონლის სექტორის არსებობა, კვალიფიცირებული შრომითო ბაზარი, ხელსაყრელი დარგობრივი პოლიტიკა, რომელიც წახალისებს თანამშრომლობას მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის და ატმოსფერო, რომელიც ხელსაყრელია აკადემიური/დარგობრივი თანამშრომლობისთვის³⁴.

რაც უფრო კონკურენტუნარიანი და [ქვეყნის საზღვრებს] გარეთ მიმართულია ეკონომიკა, მით მეტი კავშირების საფუძველს ქმნის ის (UNCTAD, 1999). იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენს კავშირების დონეზე სინგაპურში, გვეუბნება, რომ მომავალ მოვლენათა პროგნოზის საფუძველზე მოქმედი სამთავრობო პოლიტიკა ამ პროცესის ფორმირებაში წამყვან როლს ასრულებს³⁵. ეს თვალსაზრისი ამტკიცებს ადრეულ ემპირიულ კვლევას, რომლის მიხედვითაც, კავშირების ჩამოყალიბების მხრივ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მასპინძელი მთავრობის პოლიტიკაა³⁶.

მთავრობის პოლიტიკის მნიშვნელობას ხაზი ესმევა მომსახურების სექტორის განვითარების პროცესში. ოცდაათი-ორმოცი წლის წინ, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები მკაცრად აკონტროლებდნენ უცხოური ინვესტიციების დონესა და ფორმას მომსახურების იმ მთავარ სფეროებში, როგორცაა ტელეკომუნიკაციები, საბანკო და სარეკლამო სფერო, განათლება, ჯანდაცვა და კომუნალური მომსახურება. პუი

³⁴ Enderwick, P. (1989). Multinational service firms. London: Routledge.

³⁵ Brown, R. (1998). Electronics foreign direct investment in Singapore: A study of local linkages in "Winchester City". European Business Review, 98(4), 196-210.

³⁶ Lall, S. (1980). Vertical interfirm linkages: An empirical study. Oxford Bulletin of Economics and Statistics, 42, 203-206.

პოლიტიკის ლიბერალიზაცია დაიწყო 1980-იან წლებში და გაძლიერდა 1990-იანებში^{37 38} (UNCTAD, 2004). მაგალითად, ლათინურ ამერიკაში პუი-ისტან მიმართებაში პოლიტიკათა არსებითი ლიბერალიზაცია მოხდა, რაც ნაწილობრივ გამოიწვია პრივატიზაციის პროგრამამ, რომელმაც პუი მომსახურებათა მხრივ შთამბეჭდავად გაზარდა (UNCTAD, 2004; Mallampally, P., & Zimny, Z. 2000). მთავრობას აქვს დიდი შესაძლებლობა უშუალო გავლენა მოახდინოს უცხოურ და ადგილობრივ კომპანიებს შორის კავშირების დამყარებაზე. მიუხედავად ამისა, პოლიტიკის ინსტრუმენტების ზოგიერთი სახეობა, რომელთაც განვითარებადი ქვეყნები მნიშვნელოვნად წასახალისებლად იყენებენ, რათა ამ უკანასკნელებმა თავისი უნარ-ჩვევები/ცოდნა და ტექნოლოგია სხვებს გაუზიარონ/გადასცენ, ან გარკვეული ტიპის შეზღუდვებს მოიცავს ინვესტორებისთვის, ან რთულად განსახორციელებელია³⁹. ადგილობრივი შინაარსის რეგულაცია ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხს წარმოადგენს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც დარგების განვითარება სურთ, აცხადებენ, რომ გარკვეული შეზღუდვები აუცილებელია, მაშინ, როდესაც შედარებით თავისუფალი საინვესტიციო გარემოს დამცველი განვითარებული ქვეყნები ამგვარი შეზღუდვის გაუქმებას უჭერენ მხარს. ზემოთხსენებული შეზღუდვები ნეგატიურ გავლენას ახდენენ კავშირების ჩამოყალიბებაზე და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარებაზე⁴⁰.

საბოლოოდ, მთავრობის პოლიტიკა ირიბად ახდენს გავლენას კავშირების ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე და მთავარ როლს ასრულებს ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობების ფორმირებაში. დარგობრივი და

³⁷ Mallampally, P., & Zimny, Z. (2000). Foreign direct investment in services: Trends and patterns. In Y. Aharoni, & L. Nachum (Eds.), *Globalization of services: Some implications for theory and practice* (pp. 25-51). London: Routledge

³⁸ Kundu, S. K., & Merchant, H. (2008). Service multinationals: Their past, present and future. *Management International Review*, 48(4), 371-377.

³⁹ Narula, R., & Dunning, J. (2000). Industrial development, globalization and multinational enterprises: New realities for developing countries. *Oxford Development Studies*, 28(2), 141-167.

⁴⁰ Belderbos, R., Capannelli, G., & Fukao, K. (2001). Backward vertical linkages of foreign manufacturing affiliates: Evidence from Japanese multinationals. *World Development*, 2

საგანმანათლებლო პოლიტიკის მეშვეობით, მთავრობა გავლენას ახდენს ადგილობრივი კომპანიების შესაძლებლობების ზრდაზე (სკოტ კენელი, 2001).

დანინგის და ნარულას კვლევების მიხედვით, მთავრობის როლი მინიმუმამდე კი არ უნდა იყოს დაყვანილი, მისი გამოყენება ფრთხილად უნდა მოხდეს⁴¹⁴². ამისათვის დანინგს მოყვანილი ჰყავს ლათინური ამერიკის მაგალითი, რომელთა მთავარი მიზანი ბოლო ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში ადგილობრივი ბაზრის დარგობრივი განვითარების მხარდაჭერის ნაცვლად, იმ პოლიტიკათა მხარდაჭერა გახდა, რომლებიც ბაზრის როლის გაზრდას ემხრობიან. ყველაზე დიდი ცვლილება სახელმწიფო საკუთრების შემცირება და შესაბამისად, აქტივების პრივატიზაცია იყო მაშინ, როცა პოლიტიკის ორიენტაციის ცვლილებამ და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმატებულმა პრივატიზაციამ მთავრობის დანიშნულება შეასუსტა, მათი როგორც ბაზრის ხელშემწყობისა და დამატებითი, აქტივებზე დამყარებული ადგილმდებარეობის უპირატესობის მიმწოდებლის როლი, უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აქედან გამომდინარე, მთავრობის როლი კი არ უნდა იქნას მინიმუმამდე დაყვანილი, როგორც ეს ლათინური ამერიკის ეკონომიკათა უმრავლესობაში მოხდა, არამედ - მისი გამოყენება ფრთხილად და დაკვირვებით უნდა მოხდეს (Narula, 2002).

დარგობრივი/სამეწარმეო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ცალკეულ დარგთა ზრდას შექმნილ აქტივებში ინტენსიური ინვესტირების გზით, - როგორცაა განათლება და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი - აჩქარებს ქვეყნების განვითარების ტემპს IDP-ს მეშვეობით (Narula and Dunning, 2000). სპეციალიზებული პუი-ის მოზიდვა რომელიმე კონკრეტულ სექტორში

⁴¹ Narula, R. (2002). The implications of growing cross-border interdependence for systems of innovation. Research Memoranda 019, Maastricht: MERIT, Maastricht Economic Research Institute on Innovation and Technology.

⁴² Dunning, J. (1995). Reappraising the eclectic paradigm in an age of alliance capitalism. Journal of International Business Studies, 26(3), 461-491.

შესაძლოა, უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს დარგის განვითარებისთვის. უფრო მეტიც, შექმნილმა აქტივებმა ერთსა და იმავე სექტორში შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცოდნა შექმნას, რომელიც თავის მხრივ, შესაძლოა, მნიშვნელოვან, ღირებულ საშუალებას/პროდუქტს წარმოადგენდეს სხვა სექტორისთვის.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობანი - და თავის მხრივ, მისი ESP კონფიგურაცია - ფორმირებულია ქვეყნების მთავრობების მიერ და განსაზღვრავს ინვესტიციის ბუნებასა და გავლენას, თუ რამდენად ახერხებენ ადგილობრივი ფირმები საკუთარ კომპეტენციათა ამაღლებას და გარე ინვესტიციების განხორციელებას (სკოტ-კენელი, 2001; კლარამუნტი, 2010).

ინტერნალიზაცია

ინტერნალიზაცია ხსნის ბაზარზე შესვლის მოტივაციას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით⁴³. იგი გვიჩვენებს სხვაობას ბაზარზე შესვლის ალტერნატიულ ფორმებსა და პუი-ს შორის, რაც ძირითადად ხარჯების ეკონომიით ან/და დარგის სპეციფიკურობით არის განპირობებული⁴⁴.

ბაკლის და კასონის მიხედვით⁴⁵, საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები არ ნიშნავს უნიკალური აქტივის ფლობას, რომელიც ფირმას უპირატესობას ანიჭებს. ის არის აქტივის ათვისების პროცესი, რადგანაც უპირისპირდება მის მიყიდვას უცხოელი მწარმოებლისთვის, რომელიც მწკ-ს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს. ამ თვალსაზრისის

⁴³ John H. Dunning, The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, *International Business Review* 9 (2000) 163-190

⁴⁴ Buckley, P. J., & Casson, M. C. (1985). *The economic theory of the multinational enterprise*. London: Macmillan

⁴⁵ Buckley, P. J., & Casson, M. C. (1976). *The future of the multinational enterprise*. London: Mcmillan.

მთავარი აზრი ისაა, რომ ინტერნალიზაციის უპირატესობა მოიცავს ფირმის ჩამოყალიბების და განვითარების ძირითად მიდგომებს და ეტაპებს⁴⁶.

ეკლექტური პარადიგმა ინტერნალიზაციის თეორიისგან იმით განსხვავდება, რომ მნკ-ების საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობანი უფრო ენდოგენურ, ვიდრე - ეგზოგენურ მოვლენებად მიიჩნევა, თუ არ ჩავთვლით იმ უპირატესობებს, რომლებიც საზღვრებს შორის ინტერნალიზაციის შედეგად წარმოიქმნება. ინტერნალიზაციის თეორიის მიხედვით, საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობანი ბაზრის სტრუქტურული ნაკლოვანებების შედეგს წარმოადგენს და მანამდე გვხვდება, ვიდრე უცხოური ინვესტიცია განხორციელდება; შესაბამისად, ეს უპირატესობა ეგზოგენურია. მისგან განსხვავებით, ეკლექტური პარადიგმა აღიარებს, რომ მნკ-ების საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები ფირმის საქმიანობის შედეგია, რომლებიც იმ დროისთვის ენდოგენური იყო ფირმისთვის. ასე რომ, ფირმის აქტივები (Oa) მხოლოდ კონკურენციის ზღვარს არ ადგენს, არამედ, შესაძლებლობას, რომ ამ უპირატესობებთან სხვა რესურსებთან შერწყმის სარგებელი დადგინდეს და საერთაშორისო ბაზრებზე მყარი ეკონომიკა და გარიგების დაბალი ღირებულება იქნას მიღწეული⁴⁷. თუ კომპანია აცნობიერებს, რომ მეტ სარგებელს მიიღებს საკუთრებასთან დაკავშირებულ უპირატესობებზე ღირებულების დამატებით, ვიდრე მათი გამოყენების უფლების გადაცემით სხვა ფირმებისთვის, მაშინ ეს ინტერნალიზაციის (I) დადებითი მხარეა. აქედან გამომდინარე, ინტერნალიზაციის თეორია გვაწვდის განმარტებას, თუ „როგორ“ მოახერხა მნკ-მ სხვა ქვეყნის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაცია.

ინტერნალიზაციის დადებითი მხარეა ფირმის დაცვა წარუმატებლობისას. ამ თეორიის მიხედვით, საქმიანობაში არსებული პრობლემების დროს, მნკ

⁴⁶ Buckley, P. J., & Casson, M. C. (2009). The internalisation theory of the multinational enterprise: A review of the progress of a research agenda after 30 years. *Journal of International Business Studies*, 40(1), 1-18.

⁴⁷ Dunning, J. (1995). Reappraising the eclectic paradigm in an age of alliance capitalism. *Journal of International Business Studies*, 26(3), 461-491.

ირჩევს მისი უპირატესობების ინტერნალიზაციას⁴⁸ . რაც უფრო მეტ საკუთრებასთან დაკავშირებულ უპირატესობას ფლობს უცხოური ფირმა პოტენციურ მიმღებ ქვეყანაში, ბაზარი მით უფრო არასრულყოფილია და აქედან გამომდინარე, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მნკ მასპინძელ ქვეყანაში ინვესტირებას პუი-ის ფორმით მოახდენს (Dunning, 1986).

როდესაც ბაზარს არ ძალუძს გარიგებების ოპტიმალურად ორგანიზება ადგილი აქვს საბაზრო ჩავარდნებს ისინი თავს იჩენს მაშინ, როცა კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების გარიგებას მოჰყვება სარგებელი, რომელიც ამ გარიგებასთან არაა კავშირში და არ აისახება იმ პირობებზე, რომლებზეც მხარეები არიან შეთანხმებულნი (Dunning, 1993). ასეთი შემთხვევა, შესაძლოა, განპირობებული იყოს არასრულყოფილი ინფორმაციით, ან გაუგებრობით, რომლებიც წარმოიქმნება პოლიტიკური რისკით, შესაბამისი ცოდნის ნაკლებობით, ან სხვა სირთულეებით, რამაც შესაძლოა თავი იჩინოს აქტივისა თუ გარიგების შეფასების დროს⁴⁹.

პუი გულისხმობს, რომ ფირმები, რომელთაც საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობანი გააჩნიათ, არჩევენ შიდა გაფართოებას/ექსპანსიას საზღვარგარეთ, ვიდრე ლიცენზიის მოპოვების ან სხვა სახის მოლაპარაკებებს ადგილობრივ ფირმებთან⁵⁰. ეს საკითხი განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს მომსახურების სექტორში, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა ინფორმაციის დაცვას (მაგალითად, საბანკო და ფინანსური მომსახურება, მაღალი ტექნოლოგიები, საინფორმაციო და პროფესიული მომსახურების სფეროები) პროდუქტის/მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად (მაგალითად, სარეკლამო სფერო, საკონსულტაციო სფერო, სამომხმარებლო სერვისები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარიგების ღირებულება, რაც ასოცირებულია საკუთრების

⁴⁸ Hennart, J.-F. (1989). Can the new forms of investment substitute for the old forms?: a transaction costs perspective. *Journal of International Business Studies*, 20(2), 211-234.

⁴⁹ Magee, S. P. (1977). Information and the multinational corporation. An appropriability theory of foreign direct investment. In J. N. Bhagwati (Ed.), *The new international economic order*. Cambridge, MA: MIT Press.

⁵⁰ UNCTAD (2004). *World investment report 2004: The shift towards services*. New York: United Nations.

უფლებების დაცვასთან, ძიებისა და მოლაპარაკებების ღირებულების თავიდან აცილებასთან, გეოგრაფიული განსხვავების მიხედვით თანამშრომლობასთან (ფინანსური მომსახურებანი) საშუალებათა შექმნისა ან ახალი ბაზრის განვითარებისგან (სავაჭრო ფირმები) (Dunning, 1993). მეორე მხრივ, არასააქციო საზოგადოებებს, საწარმოებს ან მცირე საწარმოებს ენიჭება უპირატესობა. ასეთ შემთხვევებში, ხარისხის კონტროლი, საქმიანობის შესახებ ვალდებულებები და გარიგების ღირებულებათა მინიმუმამდე დაყვანა უნდა იქნას ჩასმული მენეჯმენტის შესახებ კონტრაქტსა ან ფრანჩაიზინგის ხელშეკრულებებში (სასტუმროები, რესტორნები, მანქანის გაქირავების სერვისი) (UNCTAD, 2004). აქედან გამომდინარე, ინტერნალიზაციისა და ექსტერნალიზაციის ძალებს შორის ბალანსი დარგებსა და ფირმებს შორის მერყეობს. თუმცა, მომსახურების⁵¹ კომპანიების საკუთრების უპირატესობათა უმრავლესობა იმის ცოდნას ემყარება, თუ რა სარგებელს მოიტანს ყველაზე მეტად ინტერნალიზაცია⁵².

ინტერნალიზაციის თეორია საყოველთაო თეორიად შეიძლება მივიჩნიოთ იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით შესაძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ ის სიტუაციები, რომლის დროსაც ფირმები უცხოურ ბაზრებზე შესვლას გადაწყვეტენ. თუმცა, მრავალი თვალსაზრისით, როგორც ბაკლი გვეუბნება⁵³ იგი პარადიგმის სახით უკეთესად აღიწერება, ვიდრე - თეორიის სახით, რამდენადაც ერთ ქვეყანაში მიღწეული წარმატება არ ნიშნავს იმას, რომ სხვაგანაც მსგავსს უნდა ველოდოთ. ინტერნალიზაციის თეორიისა და OLI პარადიგმის ერთ-ერთი მთავარი შეზღუდვა არის გარიგებების ორგანიზების (უცხო ქვეყნის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული ხარჯები) ნაკლებად გათვალისწინება (სკოტ კენელი, 2001).

⁵¹ Aharoni, Y. & Nachum, L. (2000). Globalization of services: Some implications for theory and practice. London: Routledge.

⁵² Enderwick, P. (1989). Multinational service firms. London: Routledge.

⁵³ Buckley, P. J. (1990). Problems and developments in the core theory of international business. Journal of International Business Studies, 21(4), 657-665.

მულტინაციონალური კომპანიების ქცევები ადგილობრივ ბაზარზე

მნკ-ების მხრიდან შესაძლებელია გამოვარჩიოთ ადგილობრივ ბაზარზე ქცევის სამი ძირითადი სახე (სკოტ კენელი, 2001; კლარამუნტი, 2010). პირველია, როდესაც მნკ თავის უცხოელ პარტნიორს აკავშირებს სათავო კომპანიასთან და სანაცვლოდ, პარტნიორი ძალიან ცოტა ადგილობრივად წარმოებულ პროდუქტს იყენებს. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი წყაროებისა და შესაძლებლობების დონე შეზღუდულია და შესაბამისად, ადგილობრივი ფირმები უმნიშვნელო სარგებელს იღებენ პუი-სგან. მეორე შემთხვევაში, პარტნიორი იძულებულია, იმპორტი მოახდინოს, რადგან მასპინძელი ქვეყნის ტექნოლოგიური შესაძლებლობანი არ არის საკმარისად კონკურენტუნარიანი, კარგი პროდუქციის დასამზადებლად. სტრატეგიული ქცევის მესამე სახედ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ პარტნიორი აღიარებს ადგილობრივი ფირმების პოტენციალს (გრძელვადიანს) და თანამშრომლობს მათთან. პარტნიორის სურვილი, კავშირი ჰქონდეს ადგილობრივ მომწოდებლებთან, გააუმჯობესოს მიწოდებისუნარიანობა და წახალისოს მაღალი სტანდარტები, შეიძლება ადგილობრივი სიტუაციის გაუმჯობესების, გადახალისების საუკეთესო გზად მივიჩნიოთ. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (United Nations Conference on Trade and Development - UNCTAD) კვლევების მიხედვით⁵⁴, ინვესტორების მხრიდან ადგილობრივ კომპანიებთან ინტეგრაციის ხარისხი საკმაოდ დაბალია. მაგალითად, ბაკლი აღნიშნავს, რომ ირლანდიაში შესულმა მრავალმა კომპიუტერულმა ფირმამ, რომლებიც 1990-იან წლებში განმავითარებელ აქტივობებში ჩაერთვნენ, მაინც ვერ დაამყარეს მნიშვნელოვანი კავშირები ადგილობრივ ფირმებთან⁵⁵, იმიტომ რომ მაღალი დონის კვლევითი და განმავითარებელი აქტივობები ზოგადად, მასპინძელ ქვეყანაში მაღალი დონის მწარმოებლურ ოპერაციებს ვერ განაპირობებს. ეს მაგალითი ხაზს

⁵⁴ UNCTAD. (1994). World investment report 1994: Transnational corporations, employment and the workplace. New York: United Nations.

⁵⁵ Buckley, R. (2004). Multinational enterprises (MNEs) and productivity improvements to domestic firms through worker mobility: An empirical model of the Irish software industry. Paper presented to the Department of Economics, Waikato Management School, University of Waikato, Hamilton, New Zealand, August, 20th, 2004.

უსვამს იმას, რომ ინფორმაციულად მდიდარ დარგებს აქვთ მნიშვნელოვანი ცოდნა⁵⁶, რომელიც უფრო მეტად სასარგებლოა, როცა ორგანიზაციის შიგნით არის დაცული⁵⁷.

ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზა

საინვესტიციო განვითარების გზის (IDP-ს) კონცეფციის მიხედვით⁵⁸ მულტინაციონალური კომპანიების საკუთრებასთან დაკავშირებული

⁵⁶ Boyd-Barret, O. (1989). Multinational news agencies. In P. Enderwick (Ed.), *Multinational service firms*. London: Routledge.

⁵⁷ Fernández, M. T. (2001). Performance of business services multinationals in host countries: Contrasting different patterns of behaviour between foreign affiliates and national enterprises. *The Service Industries Journal*, 21(1), 5-18.

⁵⁸ Scott-Kennel, J., & Enderwick, P. (2005). Foreign direct investment and inter-firm linkages: Exploring the black box of the investment development path. *Transnational Corporations*, 14(1), 105-137.

უპირატესობების დანერგვით შვილობილ კომპანიაში ძლიერდება ადგილობრივი ფირმების ეკონომიკური საქმიანობა (Dunning, 1993), რაც ხელს უწყობს წარმოების განახლებასა და განვითარებას.

IDP კონცეფციის მიხედვით ქვეყნებმა შესაძლოა განვითარების ხუთი მთავარი სტადია განვლონ. ამ სტადიათა ზოგიერთი მთავარი მახასიათებელი განხილულია ცხრილ 1-ში. ზოგადად, ადრეულ სტადიებზე ქვეყნის ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიური შესაძლებლობები დაბალ დონეზეა განვითარებული. მეორე სტადიაზე ქვეყნები უკვე აღწევენ ტექნოლოგიური განვითარების საჭირო დონეს თუმცა, ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გარე ინვესტიციები განახორციელონ. მესამე სტადიაზე ქვეყნებს უკვე აქვთ შედარებით კარგი ტექნოლოგიური მიღწევები. ბაზრისა და ეფექტიანობის მიებაში პუი ყველაზე მიმზიდველი ხდება, რადგანაც ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები აქტივებითაა გამყარებული. ამ ეტაპზე შიდა და გარე პუი-ები იზრდება. მეოთხე და მეხუთე სტადიებზე ქვეყნები შემოსავლებზე არიან ორიენტირებულნი და მათი განვითარების სტრატეგიებიც აქტივებზეა დაფუძნებული. ამ სტადიებზე ქვეყნებს ინვესტიციების წმინდა გადინების (Net Outward Investment - NOI) მაჩვენებლის მდგომარეობით განასხვავებენ, რომელიც დადებითისა და ნულის გარშემო მერყეობს.

ქვეყნის განვითარების სტადია განისაზღვრება მისი მიდრეკილებით, იყოს შიდა ან/და გარე ინვესტიციების განმახორციელებელი. ეს უკანასკნელი კი წმინდა გარე ინვესტიციების (NOI) მდგომარეობის მიხედვით ფასდება. OLI პარადიგმის მიხედვით, ქვეყნის განვითარების სტადიაზე გავლენას ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები,⁵⁹ (ინტერნალიზაციასთან დაკავშირებული უპირატესობები). (Dunning, 1993) (Narula, 1996) ნარულას თანახმად, მასპინძელი ეკონომიკის სტრუქტურა გავლენას ახდენს

⁵⁹ Narula, R. (1996). Multinational investment and economic structure: Globalisation and competitiveness. London: Routledge.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე, ისევე, როგორც ეს უკანასკნელი ზემოქმედებს მასპინძელი ეკონომიკის განვითარებაზე. მართლაც, ჩვენთვის ხელმისაწვდომი შესაბამისი ლიტერატურა ცხადყოფს, რომ ადგილმდებარეობასა და საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები მასპინძელი ეკონომიკის წინსვლის მხრივ IDP-ს სხვადასხვა სტადიაზე საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. პირველ და მეორე სტადიაზე, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები - როგორცაა მთავრობის ხელშემწყობი პოლიტიკა და ინფრასტრუქტურა - ძალზე მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. IDP-ს პირველ და მეორე სტადიაზე მიღწეული პროგრესის შემდგომი წახალისება ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობებით⁶⁰.

სქემა 1 გვიჩვენებს, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინონ მასპინძელ ქვეყანაზე პუი-სგან დამოუკიდებელმა ცვლილებებმა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია განხორციელებული ინვესტიციის მოტივზე⁶¹, ისევე, როგორც ფირმების OLI კონფიგურაციაზე⁶². მაგალითად, ფირმის O - საკუთრების უპირატესობები $t+1$ პერიოდისთვის შესაძლებელია დამოკიდებული იყოს მისი აქტივების გეოგრაფიულ მდებარეობაზე t დროში, მაშინ, როდესაც ფირმის L - ადგილმდებარეობის უპირატესობები $t+1$ დროში შეიძლება გამოწვეული იყოს მისი შესაძლებლობით რომ მოიზიდოს O-საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები t დროში. ეს საკითხები ემყარება მასპინძელი ეკონომიკის ადგილმდებარეობის უპირატესობებს (ცვლილება არ არის განპირობებული პუი-თ). მასპინძელი ქვეყნის ადგილმდებარეობის დადებითი მხარეები მნიშვნელოვან როლს თამაშობს შვილობილი კომპანიის ჩართულობაზე⁶³, რაც უპირველესად,

⁶⁰ Scott-Kennel, J., & Enderwick, P. (2005). Foreign direct investment and inter-firm linkages: Exploring the black box of the investment development path. *Transnational Corporations*, 14(1), 105-137.

⁶¹ Narula, R., & Portelli, B. (2004). Foreign direct investment through acquisitions and implications for technological upgrading: Case evidence from Tanzania. Research Memoranda 008, Maastricht: MERIT, Maastricht Economic Research Institute on Innovation and Tec

⁶² Scott-Kennel, J. (2001). The impact of foreign direct investment on New Zealand industry. Unpublished PhD Thesis, New Zealand: University of Waikato.


⁶³ Benito, G., Grogaard, B., & Narula, R. (2003). Environmental issues on MNE subsidiary roles: Economic integration and the Nordic countries. *Journal of International Business Studies*, 34(5), 443-456.

განსაზღვრავს პუი-ს შემდგომ გავლენას ადგილობრივი ბაზრის დარგის განვითარებაზე. (Claramunt, 2010).

ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზის (IDP) ეტაპები

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	ეტაპი 4	ეტაპი 5
NOI პოზიცია	მცირე ან არაა შემომავალი პუი; არაა გამავალი პუი; NOI ნეგატიური;	იზრდება შემომავალი პუი; მცირე გამავალი პუი; NOI უფრო ნეგატიური;	კვლავ მზარდია შემომავალი პუი; იზრდება გამავალი პუი; NOI იწყებს გაუმჯობესებას (მცირედ ნეგატიური);	მნიშვნელოვნად იზრდება გამავალი პუი - იგი მეტია შემომავალ პუი-ზე. NOI პოზიტიურია	შემომავალი და გამავალი პუი დაახლოებით ერთნაირია და პუი გადადის ქვეყნებს შორის ურთიერთჩამთრევე პოზიიაზე. NOI მერყეობს ნოლთან.
ეკონომიკის სტრუქტურა	<p>პირველადი სექტორი $\xrightarrow{\text{მცირდება}}$</p> <p>$\xrightarrow{\text{იზრდება}}$ წარმოების სექტორი $\xrightarrow{\text{მცირდება}}$</p> <p>მომსახურების სექტორი $\xrightarrow{\text{იზრდება}}$</p>				
დარგობრივი განვითარება ადგილობრივი ბაზრდის გათვალისწინებით	ფაქტორებზე ორიენტ. განვითარება L უპირატესობა შემოიფარგლება ბუნებრივ რესურსებზე ორიენტ. პუი-თ. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი ბაზრის O-უპირა არაა საკმარისი პუი-ს მზარდასაჭერად;	საინვესტიციო განვითარებაზე ორიენტ. ყალიბდება L უპირატესობა (განათლების დონის ამაღლება, ტექნოლოგიების განვითარება) და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება	ინოვაციების განვითარებაზე ორიენტ. აქტივებთან დაკავშირებული L უპირატესობების განვითარება	სიმდიდრის განვითარებაზე ორიენტ. ძლიერი L უპირატესობა; ძლიერი O უპირატესობა;	
ინვესტიციების მოტივაციები	რესურსების მაძიებელი პუი;	რესურსების მაძიებელი პუი; იზრდება ბაზრის ათვისებაზე ორიენტ. პუი;	განვითარებულია ბაზრის ათვისებაზე ორიენტ. პუი და ვითარდება ეფექტიანობის მაძიებელი პუი. წარმოებაში;	ეფექტიანობაზე ორიენტ. პუი. ბაზრის ათვისებაზე ორიენტ. პუი აქტივების მაძიებელი	

წყარო: (Claramunt, 2010) Narula & Dunning (2000); Scott-Kennel & Enderwick (2005)



წყარო: (Claramunt, 2010) გვ. 36; (Dunning, Multinational enterprises and the global economy, 1993) გვ. 278

სკოტ-კენელი აღნიშნავს, რომ უცხოური შვილობილი კომპანიის გავლენა მასპინძელ ეკონომიკაზე დიდწილად დამოკიდებულია საკუთრებასთან დაკავშირებულ უპირატესობებზე, რომელსაც დიდი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი ბაზრის დარგობრივ განახლებასა და განვითარებაზე. დანიინგის თანახმად⁶⁴, პუი-ს წვლილი მასპინძელი ქვეყნის რესურსებისა და ფირმების განახლება-პროდუქტიულობის საქმეში განპირობებულია: ინვესტიციის მოტივით; ინვესტორი კომპანიებს მასშტაბითა და მრავალეროვნულობით; ქვეყნის ადამიანური რესურსებითა და ინსფრასტრუქტურით; ბაზრის სტრუქტურით, უცხოური შვილობილის/პარტნიორის შემოსვლის ფორმით, პროდუქციის ბუნებით; ურთიერთდაკავშირებული კომპანიების მახასიათებლებითა და მასპინძელ ქვეყანაში საინვესტიციო კომპანიებისა და ადგილობრივი ფირმების მეწარმული უნარითა და სტრატეგიებით. მაშასადამე, ეს ვარაუდი გვეუბნება, რომ უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირი დამოკიდებულია ცვლად მოვლენებზე/მონაცემებზე. ფაქტორები, რომლებიც აღიარებულია, როგორც გავლენის მომხდენი უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირის ჩამოყალიბებაზე უკავშირდება ან უცხოურ კომპანიას (პუი-ით გამოწვეული ცვლილება) ან მასპინძელ ქვეყანას (პუი-ის გარეშე გამოწვეული ცვლილება).

პირდაპირი უცხოური ინვესტირების მოტივაციები

⁶⁴ Dunning, J. (1998). American investment in British manufacturing industry. London: Routledge.
Dunning, J. (2002). Theories and paradigms of international business activity. Cheltenham, England: Edward Elgar.

პუი-ის მოტივაციები ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა: *ბუნებრივი რესურსების მაძიებელი, ბაზრის მაძიებელი, ეფექტიანობის მაძიებელი და სტრატეგიული აქტივების მაძიებელი*⁶⁵ ⁶⁶. ბუნებრივი რესურსის მაძიებელი პუი გულისხმობს ისეთ ინვესტიციას, რომელიც დაინტერესებულია ბუნებრივი რესურსებით. მაგალითად მინერალები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი მოიცავს უცხოური ბაზრის ათვისებას/მომსახურებას. მას სხვაგვარად მოთხოვნაზე ორიენტირებულსაც უწოდებენ. ეფექტიანობაზე ორიენტირებულ პუის რაციონალურსაც უწოდებენ, იგი ცდილობს არსებული რესურსებით უფრო მეტის მიღწევას, მაგალითად კვალიფიციური კადრებით. სტრატეგიული აქტივების მაძიებელი პუი ცდილობს დაიცვას ან გაზარდოს არსებული საკუთრების უპირატესობები ან შეუმციროს კონკურენტებს⁶⁷.

ინვესტიციის თითოეული ტიპი ასოცირდება საკუთრებასთან, ადგილმდებარეობასთან და ინტერნალიზაციასთან დაკავშირებულ უპირატესობებსა და საქმიანობასთან. მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ ინვესტიციის ყოველ ტიპთან დაკავშირებულმა OLI-ს კონფიგურაციამ გავლენა მოახდინოს მნკ-ს შვილობილი კომპანიის კავშირზე ადგილობრივ წარმოებასთან ⁶⁸. ცხრილი 2 გვიჩვენებს ინვესტიციის ოთხ მთავარ მოტივს, რომელიც დანინგმა შეადგინა (1993 წლის ნაშრომი, იხ. სქოლიო). ის წარმოგვიდგენს მოსალოდნელ პოზიტიურ და ნეგატიურ გავლენებს ადგილობრივ ეკონომიკაზე, როგორც OLI კონფიგურაციის შედეგს. სკოტ-კენელი (2001 წლის ნაშრომი, იხ. სქოლიო) ამ შეჯამებაზე დაყრდნობით გვთავაზობს ისეთი ხარისხის კავშირს, რომელიც თითოეულ მოტივსა და OLI კონფიგურაციასთან ასოცირდება.

⁶⁵ Dunning, J., & Narula, R. (1996) (Eds.). Foreign direct investment and governments: Catalysts for economic restructuring. London and New York: Routledge.

⁶⁶ Narula, R., & Dunning, J. (2000). Industrial development, globalization and multinational enterprises: New realities for developing countries. Oxford Development Studies, 28(2), 141-167.

⁶⁷ John H. Dunning, The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, International Business Review 9 (2000) 163-190

⁶⁸ Scott-Kennel, J. (2001). The impact of foreign direct investment on New Zealand industry. Unpublished PhD Thesis, New Zealand: University of Waikato.

პუი-ს მოტივაცია	O	L	I	მოსალოდნელი შედეგები ადგილობრივ ეკონომიკასთან ინტეგრაციის დონე
რესურსების მაძიებელი	კაპიტალი, ტექნოლოგია, ბაზრის ხელმისაწვდომობა; დამატებითი აქტივები, მოლაპარაკებები	ბუნებრივი რესურსების, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, წახალისება	მიწოდების სტაბილურობა ბაზარზე, ფასების და ბაზრის კონტროლი	დადებითი: O-უპირატესობების დანერგვა, დასაქმების, ექსპორტის ზრდა, სარგებელი ბუნებრივი რესურსებიდან, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ექსპორტი უარყოფითი: კონტროლის ზრდა რესურსებზე, ბაზრის კონცენტრაცია ინტეგრაციის დონე: დაბალი-საშუალო
ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული	კაპიტალი, ტექნოლოგიები, ინფორმაცია, მენეჯმენტი და ორგანიზაციული უნარ- ჩვევები, კვლევები და განვითარება; ბრენდის ერთგულება	მატერიალური და საკადრო ხარჯები, ბაზრის მოცულობა ან მახასიათებლები, მთავრობის პოლიტიკა (რეგულაციები, იმპორტი, წახალისება).	საოპერაციო ან ინფორმაციითან დაკავშირებული ხარჯების შემცირება, მყიდველის იგნორირება ან გაურკვევლობა, საკუთრების უფლების დაცვა	დადებითი: O-უპირატესობების გავრცელების შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე, კვლავები და განვითარება(პროდუქციის მოდიფიცირება), იმპორტის შემცირება, დასაქმება, ფასების გაუმჯობესება ბაზარზე. უარყოფითი: ბაზრის კონცენტრირება და კონკურენცია ადგილობრივ ბაზართან ინტეგრაციის დონე: საშუალო
ეფექტიანობაზე ორიენტირებული ა) პროდუქტი ბ) პროცესი	ზემოთჩამოთვლილს პლუს ბაზრის ხელმისაწვდომობა, მოქმედების არეალი, გეოგრაფიული დივერსიფიცირება, დაქირავების საშუალებები	ა) პროდუქტის ვიწრო სპეციალიზაცია ბ) დაბალი საკადრო ხარჯები, წახალისება	ა) მეორე კატეგორიისთვის დამახასიათებელი, მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურების წყალობით მიღებული შემოსავლები ბ) ვერტიკალური ინტეგრაციის და ჰორიზონტალური დივერსიფიკაციის ეკ.	დადებითი: ზემოხსენებულს პლუს ექსპორტის ზრდა, გაზრდილი სარგებელი, უკეთესი ეკონომიკა უარყოფითი: შვილობილ კომპანიაზე ორიენტაციამ შეიძლება შეამციროს O-უპირატესობის გადაცემის / გავრცელების შესაძლებლობები ინტეგრაციის დონე: დაბალი - ზომიერი
სტრატეგიული აქტივების მაძიებელი	ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი სამი კომპონენტიდან, რომელიც სთავაზობს არსებულ აქტივებთან სინერჯიას	ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი, რომელიც სთავაზობს ტექნოლოგიებს, ბაზრებს ან აქტივებს, სფეროში, რომელიც ნაკლებადაა განვითარებული	მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურების წყალობით მიღებული შემოსავლები; კონკურენტული ან სტრატეგიული უიურატესობა; რისკების შემცირება	დადებითი: ზემოხსენებულს პლუს O-უპირატესობების გადაცემის შესაძლებლობები თანამშრომლობის გზით უარყოფითი: ადგილობრივი შესაძლებლობების გადაფარვა ინტეგრაციის დონე: ზომიერი - მაღალი

წყარო: (Claramunt, 2010), Scott-Kennel (2001, p. 25) (დანინგის ნაშრომზე დაყრდნობით 1993, გვ. 82-83).

უილიამსის მიხედვით ბუნებრივი რესურსებისა და ბაზრის მაძიებელმა ინვესტიციებმა, შესაძლოა, კონცენტრირება მოახდინონ დაბალი ღირებულების მომტან აქტივობებზე და დაეყრდნონ სათავო კომპანიის მითითებებს, რადგანაც ორივე დაბალი ღირებულების რესურსებისა და ახალ ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობის გამო მოქმედებს⁶⁹. თუმცა, წინასწარი კავშირების შექმნა შესაძლებელია მაშინ, როდესაც უცხოური შვილობილი კომპანიები გააცნობიერებენ, რომ უფრო მეტი სარგებელის მიღება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ადგილობრივი ფირმები პასუხისმგებლობას იღებენ მარკეტინგულ და დისტრიბუციის საქმიანობაზე. ასევე, კავშირები იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, თუ შვილობილი კომპანია ჩაერთვება წარმოებაში ბაზრის მაძიებელ ინვესტიციასთან ერთად.

ბაზრის მაძიებელი მნკ-ები ძირითადად დაფინანსების ადგილობრივ წყაროებს იყენებენ⁷⁰. მომსახურების მნკ-ები ცდილობენ ახალი ბაზრები მოიძიონ და შეინარჩუნონ უკვე არსებული კლიენტები (ბერკლი, 1994, გროსე, 2000, UNCTAD, 2004, ფერნანდესი, 2001; კუნდუ, კუმარი და პეტერსი, 2008; კუნდუ და მერჩანტი, 2008; ლი, 1994, (UNCTAD, 2004). მაშასადამე, პუი მომსახურების სფეროში, ჩვეულებრივ, ფოკუსირებას ახდენს ადგილობრივი ბაზრის მომსახურებაზე⁷¹. ამ ტიპის პუი-ს გააჩნია პოტენციალი, რომ მასპინძელ ეკონომიკაში წინასწარი კავშირების მეშვეობით ჩაერთოს.

ზოგადად, მომსახურება არამატერიალურია და გარკვეულწილად, მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობაზეა დამოკიდებული. მაშასადამე, ეს გულისხმობს, რომ კლიენტი ფირმას გარკვეული სახის დახმარების გაუწევს. ამისგან განსხვავებით, ექსპორტზე ორიენტირებულ

⁶⁹ Williams, D. (1997). Strategies of multinational enterprises and the development of the Central and Eastern European economies. *European Business Review*, 97(3), 134-138.

⁷⁰ Kiyota, K., Matsuura, T., Urata, S., & Wei, Y. (2005). Reconsidering the backward vertical linkage of foreign affiliates: Evidence from Japanese multinationals.

⁷¹ Enderwick, P. (1989). *Multinational service firms*. London: Routledge.

საქმიანობაში ჩართული უცხოელი პარტნიორები/შვილობილი კომპანიები, რომლებიც მომსახურებას უცხოურ ბაზრებზე ეძებენ, მიდრეკილნი არიან ადგილობრივ ფირმებთან კავშირების დამყარებაზე (ფერნანდესი 2001; გროსი 2000; მორტიმორი და სხვ., 2001).

მნკ-ები ეფექტიანობის მაძიებლები არიან, როდესაც მათი მიმდინარე საქმიანობა არ არის საკმარისად მომგებიანი, ნაკლებად პროდუქტიულია სატრანსპორტო, კომუნიკაციის, საოპერაციო და აქტივების ხარჯები სხვადასხვა გარე ფაქტორების გამო, ამიტომ ცდილობენ საერთაშორისო ბაზარზე გავიდნენ. ეფექტიანობის მაძიებელი პუი მიზნად ისახავს, გაზარდოს ფირმის პროდუქტიულობა გლობალიზებული ოპერაციების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებს ა) დაბალი ღირებულების წარმოების ფაქტორებს (პროდუქტი) ან/და ბ) წარმოების მასშტაბზე სურს ეკონომიის მიღება და შრომის საერთაშორისო განაწილება (პროცესი), რაც იმას გულისხმობს, რომ უცხოურმა კომპანიებმა, შესაძლოა, კავშირები ადგილობრივ ფირმებთან იმ მიზნით ჩამოაყალიბონ, დაბალ ფასად ხარისხიანი პროდუქტის შექმნა სურთ (მორტიმორი და სხვ., 2001).

ტერმინი **სტრატეგიული აქტივების** მაძიებელი პუი გულისხმობს ინვესტიციას, რომელიც უცხოურ სტრატეგიულ აქტივებს უკავშირდება. უცხოური შვილობილი კომპანიები ადგილობრივ ფირმებთან ერთობლივ შეთანხმებებში ერთვებიან, რომლებიც ავსებენ და სრულყოფენ კომპანიის საკუთრებასთან დაკავშირებულ რესურსებს. ამ ტიპის პუი-ს შედეგად მაღალი დონის კავშირები მოაქვს ⁷². ამის მიუხედავად, თუ უცხოური შვილობილი კომპანია ისურვებს, რომ ფირმის დამატებითი აქტივების მფლობელი იყოს, ეს ნაბიჯი ადგილობრივი O-სთან დაკავშირებული

⁷² Chen, H., & Chen, T. J. (1998a). Foreign direct investment as a strategic linkage. *Thunderbird International Business Review*, 40(1), 13-31.
Chen, H., & Chen, T.J. (1998b). Network linkages and location choice in foreign direct investment. *Journal of International Business Studies*, 29(3), 445-467.

უპირატესობების სრულად ათვისებით დასრულდება, რომელიც თავის მხრივ, ახალ ფორმაზე უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე დარგზე⁷³.

ადგილობრივი დარგის განახლების პროცესი, სკოტ კენელის მოდელი

I ეტაპი - ბაზარზე შესვლა შვილობილი კომპანიის მიერ

ბაზარზე შესვლის დროს შვილობილი კომპანიის საკუთრების უპირატესობები ნაკლებად მისაწვდომია ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის, რადგან ეს არის უნიკალური უპირატესობა, რომელსაც სათაო კომპანია ფლობს. საკუთრების უპირატესობების გავრცელება ადგილობრივი ფირმებისთვის დამოკიდებულია ინვესტიციების მოტივაციასა და მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობებზე. საწყისი ფაზა არის ანკლავური, მხოლოდ შვილობილი კომპანია იღებს სარგებელს საკუთრების უპირატესობების რეალიზებით და არ ამყარებს კავშირებს ადგილობრივ ეკონომიკასთან.

II ეტაპი - კავშირების ფორმირება

ბაზარზე შესვლის შემდეგ ხდება კავშირების დამყარება ადგილობრივ ფირმებთან. სკოტ კენელი გამოყოფს კავშირების ფორმირების ხუთ ტიპს:

- არაპირდაპირი კავშირები ადგილობრივ კონკურენტებთან;
- პირდაპირი დინების მიმართულების კავშირები ადგილობრივ აგენტებთან და/ან მომხმარებლებთან;
- პირდაპირი დინების საწინააღმდეგო კავშირები ადგილობრივ მომწოდებლებთან და სუბკონტრაქტორებთან;
- პირდაპირი კავშირები, ლიცენზიების ან/და ფრანჩაიზინგის გადაცემით;

⁷³ Scott-Kennel, J. (2001). The impact of foreign direct investment on New Zealand industry. Unpublished PhD Thesis, New Zealand: University of Waikato.

- პირდაპირი ერთობლივი კავშირები ადგილობრივ საერთო პარტნიორებთან.

კავშირების ფორმირების შედეგად წარმოქმნილი არაპირდაპირი ეფექტები/შედეგები წარმოჩინდება მესამე და მეოთხე ეტაპზე. ამ ეტაპებამდე მისასვლელად საჭიროა მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და გაფართოება მულტინაციონალურ კომპანიასა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის.

III ეტაპი - საკუთრების უპირატესობების გავრცელება

მესამე ეტაპზე კავშირების ფორმირების შედეგი შვილობილ კომპანიასა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თვალსაჩინო ხდება. რაც უფრო მეტი კავშირი აქვთ უცხოურ ფილიალებს ადგილობრივ ეკონომიკასთან, მით მეტია ინტეგრაციის ხარისხი.

IV ეტაპი - საკუთრების უპირატესობების გაზრდა

ბოლო ეტაპია ადგილობრივი ან/და უცხოური შვილობილი კომპანიების მიერ საკუთრების უპირატესობების გაზრდა, როგორც სათაო კომპანიასთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირების შედეგი.

მოდელის აღსაწერად სკოტ კენელმა გამოიყენა სქემა, სადაც წარმოდგენილია ზემოაღნიშნული პროცესი - კავშირების ხარისხი ადგილობრივ ეკონომიკასთან უცხოური შვილობილი კომპანიების მიერ (სქემა 2), სადაც:

Oh - მიმღები ქვეყნის საკუთრების უპირატესობები (Ownership-specific advantages of host county firms)

Of - უცხოური ფილიალების საკუთრების უპირატესობები (Ownership-specific advantages of foreign affiliates)

Lh - მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობები (Location-specific advantages of host country)

If - უცხოური ფილიალების ინტერნალიზაციის უპირატესობები (Internalization-specific advantages of foreign affiliates)

Ih - მიღები ქვეყნის ინტერნალიზაციის უპირატესობები (Internalization-specific advantages of host country firms)

DOL - კავშირების ხარისხი (degree of linkage)

სქემა 2-ზე გამოსახულია კავშირების ფორმირების მოდელი, ერთ მხარეს ანკლავური, ხოლო მეორე მხარეს ადგილობრივ ბაზართან ინტეგრირებული პუი. ანკლავური პუი-ს ქვემოთ წარმოდგენილია სიტუაცია, სადაც უცხოური ფილიალი საკუთრების უპირატესობების სრულ ინტერნალიზებას ახდენს და არ ამყარებს პირდაპირ კავშირებს ადგილობრივ კომპანიებთან.

სქემაში, როდესაც კავშირების ხარისხი საშუალოა, იგი უფრო მაღალია, ვიდრე ანკლავურ სცენარში, მაგრამ უფრო დაბალია, ვიდრე ინტეგრირებულ სცენარში. კავშირების რაოდენობა და ხარისხი შესაძლებელია მაღალი იყოს ინვესტირების საწყის ეტაპზე იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოური შვილობილი კომპანია ცდილობს გამოცდილება მიიღოს ადგილობრივი განვითარებული და გამოცდილი კომპანიებისგან.

როდესაც კავშირების ხარისხი მაღალია, სქემაზე გამოსახულია ადგილობრივ ბაზართან ინტეგრირებული პუი მარჯვენა მხარეს. ამ შემთხვევაში კავშირები არის მაღალი ხარისხის და საკუთრების უპირატესობები ნაწილობრივ ინტერნალიზებულია და ორმხრივია უცხოურ შვილობილ კომპანიასა და ადგილობრივ ორგანიზაციას შორის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სქემაზე წარმოდგენილია ადგილობრივ და უცხოურ შვილობილ კომპანიებს შორის კავშირების ხარისხის სამი შესაძლო სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია კავშირების სამ სახეობასთან: დაბალი, საშუალო და მაღალი.

დაბალი კავშირების ხარისხი - როდესაც უცხოური შვილობილი კომპანია საკუთრების უპირატესობების სრულ ინტერნალიზებას ახდენს.

საშუალო კავშირების ხარისხი - როდესაც უცხოურ შვილობილ კომპანიას ადგილობრივ ორგანიზაციებთან აქვს როგორც დინების მიმართულების ისე დინების საწინააღმდეგო მიმართულების კავშირები (Forward linkages; Backward linkages). ამ ეტაპზე კავშირების რაოდენობა იზრდება ადგილობრივ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან.

მაღალი კავშირების ხარისხი - როდესაც უცხოურ შვილობილ კომპანიებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის არის ერთობლივი, სტრატეგიულ განვითარებაზე ორიენტირებული შეთანხმებები. ამ შემთხვევაში შესაძლებელია საკუთრების უპირატესობების ორმხრივი ტრანსფერი.

თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ტენდენციები და საქართველო

თანამედროვე პირობებში გლობალიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის, რასაც დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. გლობალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებს და დააჩქარა ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა⁷⁵. ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების და საზღვრების გახსნის შემდეგ ეს პროცესები დიდ გავლენას ახდენენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზეც, მათ შორის საქართველოზე⁷⁶. შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტი (KOF Swiss Economic Institute) ყოველწლიურად (2002 წლიდან) აქვეყნებს ანგარიშს მსოფლიოს გლობალიზაციის ინდექსის შესახებ (ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია 1970-2014 პერიოდის მონაცემები), რომელიც 207 ქვეყნის მონაცემებს ეყრდნობა და სამ ძირითად საკითხს მოიცავს: ეკონომიკურს, სოციალურს და პოლიტიკურს.

ამ ინდექსის შესახებ ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს დრეიერს, გასტონს და მარტენსს 2008 წელს - გლობალიზაციის გაზომვა და მისი შედეგები⁷⁷. გლობალიზაცია განმარტებულია როგორც სხვადასხვა კონტინენტებს შორის კავშირების დამყარების პროცესი, რომლის განმახორციელებლები არიან ადამიანები, ინფორმაცია და იდეები, კაპიტალი და აქტივები; იგი არღვევს საზღვრებს, აერთიანებს კულტურას, ტექნოლოგიებს და მენეჯმენტს⁷⁸. თავის მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაცია განმარტებულია

⁷⁵ კასრამე, თ (2009) ტრანსნაციონალიზაცია - მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა, ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, #4

⁷⁶ კასრამე, თ (2014) განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოყენებული ძირითადი პოლიტიკები, ჟურნალი "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე", #6.

⁷⁷ Dreher, Axel; Noel Gaston and Pim Martens, 2008, *Measuring Globalization - Gauging its Consequence*, New York: Springer.

⁷⁸ Clark, William C., 2000, Environmental Globalization, in: Joseph S. Nye and John D. Donahue (eds.), *Governance in a Globalizing World*, Brookings Institution Press, Washington, D.C.: 86-108.

Norris, Pippa, 2000, Global Governance and Cosmopolitan Citizens, in: Joseph S. Nye and John D. Donahue (eds.), *Governance in a Globalizing World*, Brookings Institution Press, Washington, D.C.: 155-177.

Keohane, Robert O. and Joseph S. Nye, 2000, Introduction, in: Joseph S. Nye and John D. Donahue (eds.), *Governance in a Globalizing World*, Brookings Institution Press, Washington, D.C.: 1-44.

როგორც საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტი ეკონომიკური გლობალიზაციის ორი მიმართულებით აქვეყნებს ანგარიშს: ფაქტობრივი ეკონომიკური ნაკადების და ეკონომიკური შეზღუდვების შესახებ.


ფაქტობრივი ეკონომიკური ნაკადების ინდექსი ეფუძნება ინფორმაციას ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და პორტფელური ინვესტიციების შესახებ. 2016 წელს ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულია მსოფლიო ბანკის მონაცემები (2014), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ UNCTAD STAT-ის (ნორმალიზებული მშპ-დან, (2014)), ხოლო პორტფელური ინვესტიციების შესახებ საერთაშორისო მონეტარული ფონდის ფინანსური სტატისტიკური მონაცემები (2014 - IMF's International Financial Statistics). ვაჭრობაში იგულისხმება ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის ჯამი, ხოლო პორტფელური ინვესტიციებში ქვეყნის საფონდო აქტივების და ვალდებულებების ჯამი (ნორმალიზებული მშპ-დან).

ეკონომიკური შეზღუდვების შესახებ ინდექსი გამოითვლება ფარული საიმპორტო გადასახადების, არაეფექტიანი და არასამართლიანი სატარიფო განაკვეთების, გადასახადების, რომლებიც ზღუდავს საერთაშორისო ვაჭრობას და კაპიტალის კონტროლის მაჩვენებლით. აქედან გამომდინარე, ქვეყანა, რომელიც მაღალი ტარიფებით ცდილობს შემოსავლის მიღებას, ნაკლებად გლობალურია ⁷⁹.

⁷⁹ 2016 KOF Index of Globalization, method 2016.

დიაგრამა 3

ეკონომიკის გლობალიზაცია საქართველოში 1997-2014 წლებში



წყარო: KOF Index of Globalization

ამ ინდექსის მიხედვით, საქართველოში ეკონომიკური გლობალიზაცია სტაბილურად იზრდებოდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. საქართველო ეკონომიკურად გლობალიზებულად ითვლება და ევროპის ბევრ ქვეყანაზე მაღალი მაჩვენებელიც აქვს. საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას მოწმობს ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიც. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ (World Bank – Doing business 2017), საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ და მე-16 ადგილს იკავებს შეფასებულ 190 ქვეყანას შორის (წინა წელთან შედარებით 8 პოზიციით დაწინაურდა); თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებლები დაკავშირებულია რეგულაციების და ბიუროკრატიული პროცედურების შემსუბუქებასთან, რის შედეგადაც ბიზნესის დაწყება (იურიდიული რეგისტრაცია) მნიშვნელოვნადაა გამარტივებული (ყოველ 1000 კაცზე 5,65 ბიზნესია დარეგისტრირებული) (ცხრილი 3). ბოლო 12 წლის მანძილზე საქართველო

უკვე მეოთხედ შევიდა ტოპ ქვეყნების სიაში, სიახლეების დანერგვის კუთხით ⁸⁰.

ცხრილი 3 ბიზნესის კეთების სიმარტივის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს პოზიცია 10 კრიტერიუმის მიხედვით

	კრიტერიუმები	დაკავებული ადგილი	გაუმჯობესებული კრიტერიუმი 2017 წელს
1	ბიზნესის დაწყება	8	
2	სამშენებლო ნებართვის აღება	8	
3	ელექტროენერჯის მიწოდება	39	✓
4	უძრავი ქონების რეგისტრაცია	3	✓
5	კრედიტის აღება	7	
6	მინორიტარი აქციონერების უფლებები	7	✓
7	საგადასახადო სისტემა	22	✓
8	საგარეო ვაჭრობის სიმარტივე	54	✓
9	ხელშეკრულების აღსრულება	16	
10	გადახდისუნარობის საქმის წარმოება	106	

წყარო: World Bank – Doing business 2017

⁸⁰ Doing Business Comparing Business Regulation for Domestic Firms in 190 Economies 2017, A World Bank Group Flagship Report

გაუმჯობესებული კრიტერიუმების მოკლე შინაარსი ⁸¹

ელექტროენერჯის მიწოდება- დაწესდა საჯარიმო სანქციები ელექტროენერჯის მიწოდება შეწყვეტის ხანგრძლივობის (SAIDI) და ელექტროენერჯის შეწყვეტის სიხშირის დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებისთვის(SAIFI). ასევე გაუმჯობესდა მომხმარებლის ინფორმირების მექანიზმები ელექტროენერჯის დაგეგმილი გათიშვის შესახებ.

უძრავი ქონების რეგისტრაცია - მოხდა კერძო მფლობელების მიწის ნაკვეთების რუკაზე დატანა. ამის შედეგად საქართველო მე-3 ადგილზე გავიდა.

მინორიტარ ინვესტორთა უფლებების დაცვა - გაიზარდა მინორიტარ აქციონერთა უფლებები და როლი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღების დროს. განისაზღვრა საკუთრების და მაკონტროლებელი სტრუქტურები.

ვაჭრობა საზღვრებს შორის - გაუმჯობესდა ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული დოკუმენტების ელექტრონულად წარმოების სისტემა.

საგადასახადო სისტემა - გამარტივდა გადასახადების გადახდა, გაუქმდა მოგების გადასახადის დეკლარაციის დამატებითი დანართი და გააუმჯობესა დღგ-ის დეკლარაციების წარსადგენად გამოყენებული ონლაინ სისტემის ეფექტიანობა.

⁸¹ Doing Business Comparing Business Regulation for Domestic Firms in 190 Economies 2017, A World Bank Group Flagship Report

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სომხეთი	63.5	60.95	59.33	63.49	65.04	64.16	63.62	67.67	68.21
აზერბაიჯანი	64.55	65.54	62.56	58.97	59.05	60.71	62.09	61.37	59.14
ბელგია	90.49	90.82	90.12	90.08	89.94	89.08	87.72	86.05	90.08
ბულგარეთი	72.22	80.24	75.62	72.89	73.08	73.24	72.58	76.49	77.18
ჩეხეთი	84.39	86.41	83.6	84.31	84.35	82.67	83.86	82.28	86.9
გერმანია	82.28	82.93	80.58	78.65	78.97	78.48	77.28	74.64	78.06
დანია	86.98	88.45	86.92	84.25	84.99	84.47	82.79	82.61	85.76
ესტონეთი	88.9	90.05	88	86.8	88.47	87.18	86.86	85.71	87.54
ფინეთი	85.34	86.27	84.81	82	83.37	85.54	85.25	81.47	84.2
საფრანგეთი	80.92	82.09	80.02	78.57	78.94	77.8	78.18	75.85	79.41
საქართველო	63.85	75.51	77.96	76.68	79.51	80.11	81.36	82.2	83.01
საბერძნეთი	73.53	75.84	75.09	73.34	72.94	71.9	69.33	70.56	72.13
ირლანდია	93.54	94.29	93.14	93.98	94.93	93.79	92.5	92.62	94.65
მოლდოვა	65.82	68.82	66.91	62.89	62.33	64.06	61.16	61.53	61.96
ნიდერლანდები	92.53	93.24	92.1	91.9	92.8	92.87	92.25	91.24	93.06
ნორვეგია	75.92	77.07	75.08	76.09	74.59	74.09	76.74	76.63	73.39
პოლონეთი	70.09	74.22	70.14	72.31	72.66	70.13	72.1	74.48	77.06
რუმინეთი	60.58	70.95	67.62	66.77	65.8	63.46	65.93	68.58	71.94
შვედეთი	86.51	87.29	86.34	86.16	86.47	84.51	83.12	80.42	85.48
შვეიცარია	50.65	49.78	50.8	58.88	57.18	57.22	58.42	59.67	60.72
თურქეთი	58.15	59.36	54.54	58.27	55.73	52.73	55.26	54.67	58.61
უკრაინა	55.57	58.72	60.37	66.02	63.5	64.48	65.79	67.82	68.42


წყარო: KOF Index of Globalization

2015 წელს გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) 38% -ით გაიზარდა და მიაღწია \$1,76 ტრილიონს, რაც არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ, ხოლო 10%-ით დაბალი ვიდრე ეს იყო 2007 წელს. ყოველივე ეს განაპირობა 2014 წელს კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმის და გრინფილდ ინვესტიციებმა, რომელიც გაიზარდა \$432 მილიარდიდან \$721 მილიარდამდე. აღნიშნული ოპერაციების დიდ ნაწილს მულტინაციონალური კორპორაციები (მნკ) ახორციელებენ.

ზემოთაღნიშნული საშუალოდ გამოიწვევს გლობალური პუის 15 %-იან ზრდას 2017-2018 წლებისთვის. გრინფილდ ინვესტიციები კვლავ რჩება საკმაოდ მაღალ ნიშნულზე, \$766 მილიარდზე⁸².

2016 წელს ნავარაუდები იყო პუი-ს ნაკადების შემცირება 10-15%-ით გლობალური ეკონომიკური ვარდნის, ერთობლივი მოთხოვნის კლების და მწკ-ების მოგების შემცირების გამო. პუი-ს ნაკადების შემცირება ნავარაუდებია როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში, რაც ასევე შეამცირებს კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმის და გრინფილდ ინვესტიციებს. საშუალოვადიან პერიოდში გლობალური პუი-ს ზრდა ნავარაუდებია 2017 წლიდან, რომელიც მიაღწევს \$1.8 ტრილიონს 2018 წლისთვის (UNCTAD, 2016)(დიაგრამა 1).

დიაგრამა 4 პუი-ს ნაკადები სხვადასხვა ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფებისთვის 2005-2015 წწ, პროგნოზი 2016-2018 წწ (მლრდ აშშ დოლარი)



*პროგნოზი 2016-2018 წწ


წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

⁸² UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

პუი რეგიონების და სექტორების მიხედვით

დღესდღეობით, მომსახურების სექტორი გლობალური ინვესტიციების დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს. 2014 წლის მონაცემებით, მომსახურების სექტორი, მსოფლიოს პუი-ს ნაკადების 64 %-ს შეადგენდა, მას მოჰყვება წარმოება - 27 %, პირველადი სექტორი - 7 % და სხვადასხვა - 2 %- (UNCTAD, 2016)(დიაგრამა 2).

დიაგრამა 5 გლობალური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სექტორების მიხედვით 2014 წ (ტრილიონი დოლარი და პროცენტები)




წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

შემომავალი ინვესტიციების მხრივ მდგომარეობა სექტორების მიხედვით მსგავსია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ თავად განვითარებად რეგიონებს შორის არის აშკარა სხვაობა (დიაგრამა 3). პირველადი სექტორის პუი-მ, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში (კარიბის რეგიონის ჩათვლით) შესაბამისად 28% და 22 % შეადგინა, რაც გაცილებით მაღალი მაჩვენებელია ვიდრე განვითარებად აზიაში - 2 %. აღნიშნული განაპირობა მომპოვებითი მრეწველობის დიდმა მოცულობამ. განვითარებად აზიაში ასევე აღსანიშნავია პუი-ს მაღალი მაჩვენებელი

მომსახურების სფეროს მიმართულებით, რასაც ძირითადად განაპირობებს ჰონგ-კონგი (ჩინეთი). რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შემავალ პუი-ს (მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნები), აქაც ძირითადად მომსახურების სფერო სჭარბობს, რასაც თანაბარი მაჩვენებლებით მიჰყვება ინვესტიციები პირველად და წარმოების სფეროებში (UNCTAD, 2016).

დიაგრამა 6 გლობალური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა პროცენტულად, სექტორების და რეგიონების მიხედვით 2014 წ




წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

ბოლო მონაცემებით (2014 და 2015) პუი-ს ნაკადების ზრდა განვითარებადი ქვეყნების მიმართულებით გამოწვეული იყო კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმების ზრდით. გარიგებების ღირებულება გაიზარდა 109 %-ით და მიაღწია \$ 631 მილიარდს, უმაღლეს დონეს 2007 წლის შემდეგ. ძირითადი აქტივობა იყო აშშ-ში - წმინდა გაყიდვები გაიზარდა \$ 17 მილიარდით 2014 წელს და მიაღწია \$ 299 მილიარდს. გარიგებების

რაოდენობა ევროპაში ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა (36 %). პუი-ს მნიშვნელოვანი ნაკადები არის აზიაში, განსხვავებით სხვა განვითარებადი ქვეყნებისგან. პუი განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში 6 %-ით არის გაზრდილი. თუმცა აღსანიშნავია, რომ პუი-ს მნიშვნელოვანმა ზრდამ აზიის ქვეყნებში უახლოეს მომავალში შესაძლოა შეამციროს ინვესტიციები სხვა განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში. საინვესტიციო ნაკადები დაეცა აფრიკაში (7 %-ით - \$ 54 მილიარდამდე), ლათინური ამერიკისა და კარიბის რეგიონის (დაეცა 2 %-ით \$ 168 მილიარდამდე) და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების (დაეცა 38 %-ით \$ 35 მილიარდამდე). მიუხედავად ამ ტენდენციებისა, მსოფლიოს 10 უმსხვილესი პუი-ს მიმღები ქვეყნის ნახევარი განვითარებადი ქვეყნებიდანაა (დიაგრამა 4) (UNCTAD, 2016).

დიაგრამა 7 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტოპ 20 მიმღები ქვეყნის მიხედვით 2014 და 2015 წლების მიხედვით (მლრდ დოლარი)



* ქვეყნის დასახელების შემდეგ ფრჩხილებში ჩასმული რიცხვი (x) არის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის ადგილი

წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

მთავარი ფაქტორი, რის გამოც შემცირდა პუი-ს ნაკადები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იყო სასაქონლო ფასების შემცირების

ტენდენცია, განსაკუთრებით კი ნედლე ნავთობზე, ლითონებსა და მინერალებზე. 2014 წლის მეორე ნახევარში, ნავთობის ფასების მკვეთრმა ვარდნამ დიდი გავლენა იქონია პუი-ს ნაკადებზე ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებში - აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. პუი-ს შემცირებამ ნავთობმომპოვებელი ქვეყნებში არა მხოლოდ კაპიტალური ხარჯების შემცირება გამოიწვია ფასების შემცირების საპასუხოდ, არამედ მკვეთრი შემცირება რეინვესტირებული კაპიტალის, რადგან შემცირდა მოგება. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო შედარებით ნელი ზრდა განვითარებად ბაზრებზე. BRICS⁸³ შორის, რომელიც პუი-ს ნაკადების მიხედვით მესამეა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ბრაზილიამ და რუსეთმა განიცადა რეცესია. ნელი ზრდა იყო სამხრეთ აფრიკასა და ჩინეთში, შედარებით სტაბილური კი ინდოეთში. თავის მხრივ უფასურდება ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში, რამაც მოგების რეინვესტირების შემცირების ტენდენცია გამოიწვია (UNCTAD, 2016).

გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2016 წლის მონაცემების მიხედვით მნკ-ების ინვესტიციები განვითარებული ქვეყნებიდან გაიზარდა. გამავალი ინვესტიციების თვალსაზრისით, ევროპა გადაიქცა უმსხვილეს რეგიონად. 2015 წელს მნკ-ებმა განვითარებული ქვეყნებიდან, მათ შორის ევროპიდან და იაპონიიდან, \$1,1 ტრილიონის ინვესტირება მოახდინეს საზღვარგარეთ, რაც წინა წელთან შედარებით 33 %-იან ზრდას წარმოადგენს. ამ ზრდის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი 40 %-ით დაბალია 2007 წლის პიკთან შედარებით. მნკ-ებმა შეამცირეს თავისი ინვესტიციები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ამ ტენდენციებმა გამოიწვია მსოფლიოს გამავალ პუის ნაკადებში განვითარებული ქვეყნების წილის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც 2015 წელს წინა წელთან შედარებით 11 %-ით გაიზარდა. პუი ჩრდილოეთ

⁸³ ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა.


ამერიკის მნკ-ებიდან შემცირდა 1 %-ით - კანადაში გაიზარდა 21 %-ით ხოლო აშშ-ში შემცირდა 5 %-ით. იაპონია ზრდის ინვესტირებს 114-დან 129 მლრდ დოლარამდე და 2015 წლის რეიტინგში მეორე ადგილზეა აშშ-ს შემდეგ.

განსხვავებით ზემოთჩამოთვლილისგან, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან ინვესტიციების გადინება შემცირდა. განვითარებად აზიაში, რომელიც 2014 წელს იყო ყველაზე დიდი რეგიონი გამავალი პუი-ს მიხედვით, კომპანიებმა შეამცირეს ინვესტირება 17 %-ით, \$332 მლრდ-მდე. აღნიშნული ვარდნა გამოწვეული იყო ჰონგ-კონგის მიერ პუის შემცირებით 56 %-ით, რაც \$70 მლრდ-ს შეადგენდა.

ერთობლივი მოთხოვნის შესუსტებამ და სასაქონლო ფასების შემცირებამ, რომელსაც თან ახლდა ეროვნული ვალუტის გაუფასურება, გავლენა მოახდინა გამავალ პუი-ზე განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან. აღსანიშნავია ქვეყნის გეოპოლიტიკური მაჩვენებლებიც. მაგალითად, რუსულმა მნკ-ებმა გამავალი პუი შეამცირეს, რაც ნაწილობრივ ასახავს მათ შემცირებულ წვდომას საერთაშორისო ბაზრებზე. რეგიონულმა კონფლიქტებმა თავისებური გავლენა მოახდინა დასავლეთ აზიის მნკ-ებზე. ამ ტენდენციების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე განვითარებადმა ქვეყანამ გაზარდა გამავალი პუი (ლათინური ამერიკის ქვეყნები, ტაილანდი), ხოლო ჩინეთი (\$123 მლრდ-დან \$128 მლრდ-მდე), კვლავ რჩება მე-3 ადგილზე 2015 წელს, აშშ-ს და იაპონიის შემდეგ ⁸⁴.

⁸⁴ http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2016_en.pdf (ბოლოს ნანახია 25.02.2018)

დიაგრამა 8 გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტოპ 20 ქვეყნის მიხედვით 2014 და 2015 წლებში (მლრდ დოლარი)



წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

პუის სამომავლო ნაკადებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები

2016 წლის ხმაურიანი დასაწყისი სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე, ამასთან ფასების ვარდნა ნავთობზე ეკონომიკურ რისკებს ზრდის მსოფლიოში. განვითარებად ქვეყნებში დაცემულია ერთობლივი მოთხოვნა, სასაქონლო ფასები, მზარდი ფისკალური და მიმდინარე ანგარიშის დისბალანსი შეამცირებს ზრდის პერსპექტივებს ექსპორტიორი ქვეყნებიდან. გეოპოლიტიკური რისკები და სხვადასხვა რეგიონებს შორის დამაბულობა კი კიდევ უფრო ზრდის კრიზისის ალბათობას. ორწლიანი კრიზისის შემდეგ, უმსხვილესი 5000 მნკ-ების მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა 2015 წელს, პირველად, 2008-2009 წლის მსოფლიოს ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის შემდეგ ⁸⁵(UNCTAD, 2016).

ცხრილი 5 მშპ-ს რეალური ზრდა და ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (GFCF)* 2014-2017 წლები (პროცენტული მაჩვენებლები)

რეგიონი		2014	2015	2016	2017
მშპ-ს ზრდის ტემპი	მსოფლიო	2,6	2,4	2,4	2,8
	განვითარებული ქვეყნები	1,7	1,9	1,8	1,9
	განვითარებადი ქვეყნები	4,4	3,8	3,8	4,4
	გარდამავალი ეკ. მქონე ქვეყნები	0,9	-2,8	-1,2	1,1
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება ზრდის ტემპი	მსოფლიო	3,8	2,2	3,2	4,2
	მაღალგანვითარებული ქვეყნები**	2,8	2,5	2,5	3,2
	გარდამავალი და განვითარებადი	4,5	2	3,8	4,8

⁸⁵ http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2016_en.pdf (ბოლოს ნანახია 25.02.2018)

ქვეყნები**					
------------	--	--	--	--	--

წყარო: UNCTAD, *World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016*; UNCTAD, *მშპ-United Nations (2016)* და *ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება - IMF (2016)*.

* *Gross Fixed Capital Formation (GFCF)*

** IMF-ის ქვეყნების კლასიფიკაცია არ ემთხვევა UNCTAD-ის კლასიფიკაციას.

პუი-ს შემცირება 2016 წელს გამომდინარეობდა კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმის გარიგებების რაოდენობის ზრდით, 2016 წლის დასაწყისში. პირველი ოთხი თვის განმავლობაში, კომპანიების საერთაშორისო შერწყმა შთანთქმების გარიგებებმა (მათ შორის ლიკვიდაციის) დაახლოებით \$ 350 მილიარდი შეადგინა, 32 %-ით ნაკლები, ვიდრე იყო 2015 წლის იგივე პერიოდში. საშუალოვადიან პერიოდში, მოსალოდნელია პუი-ს ზრდა 5-10 %-ით 2017 წელს რომელიც გადააჭარბებს \$1,8 ტრილიონს 2018 წელს, რომელიც ასახავს პროგნოზირებულ გლობალურ ზრდას (UNCTAD, 2016).


ამ წლის მწკ-ების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც UNCTAD-მა ჩაატარა⁸⁶ პუი-ს ზრდას უნდა ველოდოთ 2018 წლიდან. ტოპ 50 მწკ-დან, მხოლოდ 41 %-ი ელის ინვესტიციების ზრდას. მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორებიცაა გეოპოლიტიკური რისკები, გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ტერორიზმი და სხვა ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ მომავალ პუი-ს ნაკადებზე. თუმცა არსებობს განსხვავებები სხვადასხვა სექტორებსა და ეკონომიკურ ჯგუფებს შორის. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მოღვაწე ინვესტორების პასუხები ბევრად უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე მათი, რომელთა სათავო ოფისი მდებარეობს განვითარებულ ქვეყნებში. სასაქონლო ფასების შემცირების გათვალისწინებით, მწკ-ები პირველადი სექტორიდან უფრო

⁸⁶ http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2016_en.pdf (ბოლოს ნანახია 25.02.2018)

პესიმისტურად გამოიყურება ვიდრე წარმოების და მით უმეტეს მომსახურების სექტორში.


ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მომავალი პუი-ს ნაკადებზე დიაგრამა 6, დიაგრამა 7, (გამოკითხულ ბიზნესმენტა პროცენტული მაჩვენებლები).

დიაგრამა 9 მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები (ინვესტორების გამოკითხვის შედეგები)



წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016


დიაგრამა 10 მნიშვნელოვანი კორპორატიული და სხვა გარე ფაქტორები (ინვესტორების გამოკითხვის შედეგები)



წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

როგორც დიაგრამა 8-ზე ვხედავთ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სხვადასხვა საინვესტიციო სააგენტოების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სოფლის მეურნეობა, საკვები და ენერგომომსახურებაა პუი-ს მოზიდვის ყველაზე მიმზიდველი მიმართულება, მაშინ როდესაც, განვითარებულ ქვეყნებში პირველ ადგილზე ინფორმაცია და კომუნიკაცია, მაღალი დონის სერვისი და კომპიუტერი და ელექტრონიკაა. ნიშანდობლივია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისგან განსხვავებით, სხვა განვითარებად რეგიონებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფერო განვითარების საწყის ეტაპზეა.

დიაგრამა 11 პუი-ს მოზიდვის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები რეგიონების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები, ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტოების გამოკითხვა)




წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

მნკ-ების ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (დიაგრამა 9), პუი-ს ყველაზე პერსპექტიულ მიმღებ ქვეყნებში, არცერთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა არ დასახელდა, მათ შორის არც საქართველო. აღნიშნულ საკითხის შესახებ, მოცემულია მე-3 თავში პოსტსაბჭოთა ქვეყნების შესახებ (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები)

ჩატარებული კვლევა და საქართველოში შემომავალი პუი-ს ტენდენციები წლების მიხედვით.

დიაგრამა 12 მკ-ების ხელმძღვანელების აზრით, პუი-ს ყველაზე პერსპექტიული მიმღები ქვეყნები



წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016. UNCTAD-ის ბიზნესის გამოკითხვა

შენიშვნა: რესპოდენტების პროცენტული მაჩვენებლები, რომლებმაც აირჩიეს ქვეყანა (თითოეულს უნდა დაესახელებინა მათი აზრით, სამი ყველაზე პერსპექტიული მიმღები ქვეყანა)

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, შეინიშნება მუშახელის პროდუქტიულობის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით ისეთ დარგებში როგორებიცაა: ელექტრონიკა, ელექტრონული და კომპიუტერული აღჭურვილობა, ტანსაცმელი და ქსოვილები, მშენებლობა და ვაჭრობა. აღნიშნულ დარგებში ადამიანური რესურსების პროდუქტიულობის ზრდა განსაკუთრებული სარგებლის მომტანია

როგორც კომპანიებისთვის ასევე ქვეყნებისთვის. მულტინაციონალური კომპანიები არიან მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციური პროცესების წარმმართველები, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო ვაჭრობასა და კავშირების ფორმირებაში. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნული ხდება ტექნოლოგიური, ნოუ-ჰაუს და გამოცდილების გაზიარების წინაპირობა ადგილობრივი ეკონომიკისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სარგებლის შთანთქმა მაქსიმალური შესაძლებლობა უცხოური მნკ-ებისგან.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით (შემდგომში საქსტატი), უცხოური ინვესტიციები იყოფა სამ ძირითად ნაწილად: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები. საქართველოში მისი გაანგარიშება 1997 წლიდან ხორციელდება. საქსტატის განსაზღვრების მიხედვით - „FDI საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის. პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 %-ს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები“.

საქსტატში, 2007 წლამდე მონაცემები მუშავდებოდა მხოლოდ ქვეყნების ჭრილში, 2007 წლიდან შესაძლებელი გახდა საწარმოები დაყოფილიყო საქმიანობის სფეროების მიხედვით, ხოლო 2009 წლიდან ხელმისაწვდომია ინფორმაცია რეგიონების შესახებაც.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში ადგილმდებარეობითა და იაფი მუშახელით გამოირჩეოდა. შესაბამისად, საქართველოში ინვესტიციები თითქმის მთლიანად რეგიონული მნიშვნელობის გაზსადენებსა თუ მილსადენებში ხორციელდებოდა, რის შედეგადაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაქსიმალურად გამოიყენეს საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა. მომდევნო ეტაპზე, უცხოურმა კომპანიებმა საქართველოში საკუთრების უპირატესობის გამოყენებაც შეძლეს, ზემო ორი უპირატესობის მოპოვების გზით კი მათ ინტერნალიზაციის უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს რამაც, თავის მხრივ, სხვადასხვა დარგებში, უფრო მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა განაპირობა⁸⁷.


საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა 2007 წელს დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს იყო მსოფლიოს საინვესტიციო ნაკადების ყველაზე დიდი მაჩვენებელი⁸⁸. 2008 წლიდან 2013 წლის ჩათვლით შესამჩნევია პუი-ს აშკარა ვარდნა. ხოლო 2014 წლიდან კვლავ იზრდება.

⁸⁷ ჭარაია ვ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე). ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, დისერტაცია.

⁸⁸ UNCTAD, მსოფლიოს საინვესტიციო ანგარიში 2016

დიაგრამა 13 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა საქართველოში 1997-2017 წლებში

მლნ. აშშ დოლარი



*წინასწარი მონაცემები.

2017 წლის მონაცემი არის მხოლოდ პირველი კვარტალის.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადი 2015 წელს ტრანსპორტის სფეროში შეინიშნება, მას მოჰყვება საფინანსო სექტორი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, სასტუმროები და რესტორნები, ენერჯეტიკა და მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ენერჯეტიკის სფეროში პუი-ს რაოდენობა 2011-2014 წლებში გაცილებით მეტი იყო 2015 წელთან შედარებით. მშენებლობა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით მკვეთრად შემცირებული, თუმცა 2011-2013 წლების ჩათვლით პერიოდს თუ შევადარებთ, საკმაოდ მაღალია. პუი სასტუმროებსა და რესტორნებში 2014 წლიდან დიდი რაოდენობით გაიზარდა, ასევე საფინანსო სექტორიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელში ინვესტირებული თანხების

რაოდენობა წლების მიხედვით ერთსადაიმავე დიაპაზონში მერყეობს და არ აქვს მკვეთრი ცვლილებები (თუ არ ჩავთვლით 2015 წელსა და 2014 წელს შორის პუის რაოდენობის სხვაობას). რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სექტორს, წინა წლებთან შედარებით ინვესტირებული თანხების რაოდენობა 2015 წელს საკმაოდ მაღალია.

ცხრილი 6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით

ათასი აშშ დოლარი

	2011	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	1,117,244.1	911,564.3	941,902.6	1,758,422.9	1,564,499.8	1,645,368.6
მათ შორის:						
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	14,907.6	16,119.3	11,857.4	12,290.3	14,577.6	9,982.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	40,219.6	4,862.2	43,704.9	42,781.5	88,027.8	38,076.5
დამამუშავებელი მრეწველობა	120,339.7	167,906.5	99,765.1	205,417.4	67,174.6	120,381.3
ენერგეტიკა	203,951.6	179,402.6	244,745.1	189,945.0	123,663.8	202,739.4
მშენებლობა	48,112.2	41,839.2	49,847.5	316,588.1	110,678.4	163,499.0
სასტუმროები და რესტორნები	22,705.6	17,652.3	-13,360.1	124,851.8	138,815.3	110,835.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	126,517.2	72,828.9	140,104.4	433,654.7	584,648.7	645,002.8
მათ შორის:						
ტრანსპორტი	605,297.6	657,812.5
კავშირგაბმულობა	-20,648.8	-12,809.7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	16,827.0	17,550.8	720.0	-9,507.6	140,325.6	27,151.3
უძრავი ქონება ¹	224,776.3	52,805.6	42,294.6	138,654.8	89,940.4	69,738.6
საფინანსო	167,701.8	162,552.2	166,386.3	115,322.6	178,553.5	135,808.1

სექტორი ²						
დანარჩენი სექტორები ³	131,185.5	178,044.8	155,837.4	188,424.2	28,094.1	122,154.2

* წინასწარი მონაცემები.

¹ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;

²საფინანსო სექტორის მონაცემები 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც.


³ ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება;

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აზერბაიჯანმა 2014 წლიდან დაახლოებით ოთხჯერ გაზარდა ინვესტიციების რაოდენობა საქართველოში, წინა წლებთან შედარებით. გაერთიანებულმა სამეფომ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით გააორმაგა ხოლო 2015 წელს წინა წელთან შედარებით გაასამმაგა პუის რაოდენობა. ნიდერლანდების შემთხვევაში ბოლო წლების განმავლობაში პუი-ს რაოდენობა საკმაოდ მერყევია თუმცა გრძელვადიან პერიოდში მზარდია. ლუქსემბურგი 2013 წლიდან მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოში პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს. რაც შეეხება თურქეთს, შემომავალი ინვესტიციების რაოდენობა დაახლოებით ერთ დიაპაზონში მერყეობს.

დიაგრამა 14 ტოპ 20 ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
სიდიდის მიხედვით საქართველოში, 2015 წელს

ათასი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ არათანაბრად ნაწილდება საქართველოს რეგიონების მიხედვით, ძირითადი ნაწილი მოდის თბილისზე, რაც არაა გასაკვირი, რადგან თბილისში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედი. განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, თბილისის შემდეგ მოდის აჭარა. რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, წლების განმავლობაში განსაკუთრებული ცვლილება არ შეინიშნება და რიგ შემთხვევებში ვხვდებით სხვა წლებთან შედარებით დიდი რაოდენობით ინვესტიციას, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია იმ წელს კონკრეტულ ოპერაციასთან და

არ გვაძლევს რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის ვარაუდის საფუძველს.

ცხრილი 7 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით
ათასი აშშ დოლარი

რეგიონი	2011	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	1,117,244.1	911,564.3	941,902.6	1,758,422.9	1,564,499.8	1,645,368.6
მათ შორის:						
ქ. თბილისი	805,228.2	693,433.8	688,367.7	1,326,936.6	1,234,657.0	1,275,857.0
აკარა	93,868.0	39,105.4	61,544.3	159,275.1	204,531.0	160,976.9
კახეთი	352.4	15,088.0	9,892.7	10,530.4	16,118.6	962.2
სამცხე-ჯავახეთი	4,547.0	21,251.3	51,732.6	74,040.7	28,099.3	50,180.6
ქვემო ქართლი	146,882.6	41,648.3	14,430.2	55,083.4	21,159.8	77,478.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	66,326.5	55,278.2	57,229.8	93,648.2	49,822.3	52,614.5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-14,714.5	37,773.2	58,882.0	26,363.7	25,701.8	26,584.1
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	14,754.0	7,986.0	-176.5	12,544.8	-15,590.1	714.7

* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით წარმოებს საწარმოთა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის" სტატისტიკური გამოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შერჩეული საწარმოების ფაქტიური მისამართების მიხედვით. რაც შეეხება საფინანსო სექტორს (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები), მონაცემები მიკუთვნებულია მთლიანად თბილისში.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2007 წლამდე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში ინფორმაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი განაწილების შესახებ არ მოიპოვება. თუმცა არსებობს ა.

კუდინასა და მ. ჯაკუბიაკის კვლევა, რომელშიც ასევე განხილულია ოთხმოცდაათიანი წლების სხვა ავტორების ნაშრომები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი - ბუნებრივი რესურსების სიმრავლე, პუი-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში⁸⁹. დაახლოებით თვრამეტი-ოცი წლის წინ პუი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძირითადად ორიენტირებული იყო ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე^{90,91} (კუდინა და ჯაკუბიაკი, 2008).

2006 წლამდე განხორციელებული ინვესტიციები საქართველოში დაკავშირებული იყო ბუნებრივ რესურსებთან (მილსადენით ნავთობისა და გაზის ტრანზიტთან). ყაზახეთსა და რუსეთშიც ანალოგიური სიტუაცია გვხვდება, რუსეთში პუი-ს ძირითადი მოტივაცია სწორედ ბუნებრივი რესურსებია⁹². 1998 წლის რუსეთის ფინანსური კრიზისის შემდეგ, გაზსა და ნავთობზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა, მაშინ როდესაც საზღვაო პორტებისა და პოლიტიკური რისკების მნიშვნელობა შემცირდა⁹³.

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუის მთავარი მიზანია ადგილობრივი ბაზრის (რეგიონის) ათვისება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ⁹⁴, ყოფილი სსრკ-ს წევრები განსაკუთრებით მიმზიდველები იყვნენ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი-ს მოზიდვის თვალსაზრისით. უცხოელი ინვესტორები ბაზრის ათვისების თვალსაზრისით ევროპულ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დაახლოებით თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული პუი-ს თვალსაზრისით

⁸⁹ Kudina, A., & Jakubiak, M. (2008). The Motives and Impediments to FDI in the CIS.

⁹⁰ Shiells, C. (2003), FDI and the Investment Climate in the CIS Countries. IMF Policy Discussion Paper PDP/03/5, November 2003.

⁹¹ Campos, N. and Kinoshita, Y. (2003), Why Does FDI Go Where It Goes? New Evidence from the Transition Economies. IMF WP/03/228.

⁹² Ledayeva, S. (2007), Spatial Econometric Analysis of Determinants and Strategies of FDI in Russian Regions in Pre- and Post-1998 Financial Crisis Periods, Bank of Finland, BOFIT, Institute for Economies in Transition, Sep. 2007.

⁹³ Rogacheva E., Mikerova, J. (2003), European FDI in Russia: Corporate Strategy and the Effectiveness of Government Promotion and Facilitation, OCO Consulting, September 2003

⁹⁴ Kudina, A., & Jakubiak, M. (2008). The Motives and Impediments to FDI in the CIS.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები ლიდერობდნენ, ხოლო შრომითი ბაზრის ეფექტიანობის თვალსაზრისით ევროკავშირის წევრი ქვეყნები. ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუის შემთხვევაში, ინვესტორი ცდილობს გამოიყენოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც მას სხვა ინვესტორებთან შედარებით აშკარა პრივილეგიას მიანიჭებს. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ყველაზე ნაკლებად ამ სახის პუი-ს იზიდავენ (კუდინა და ჯაკუბიაკი, 2008).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 2000-2006 წლებში საშუალოდ 19 მილიარდ დოლარს შეადგენდა წელიწადში (კუდინა და ჯაკუბიაკი, 2008), რომელიც ძირითადად მიმართული იყო ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და ტრანსპორტირებასთან. მათგან ნახევარზე მეტი მიმართული იყო რუსეთში (საშუალოდ 11 მლრდ წელიწადში). დანარჩენმა ორმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, უხვი ბუნებრივი რესურსებით, ყაზახეთმა და აზერბაიჯანმა, 2000-2006 წლებში საშუალოდ მოიზიდეს შესაბამისად 3 და 1 მლრდ. აშშ დოლარი. თუ შევადარებთ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რვა მათგანში, რომლებიც ევროკავშირს შეუერთდა 2004 წელს 2000-2006 წლებში 25 მლრდ აშშ დოლარი შევიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით. მათგან პოლონეთმა მოიზიდა საშუალოდ 9 მლრდ აშშ დოლარი წელიწადში, რაც ფინანსური შუამავლებისა და წარმოების სექტორის განვითარებასთანაა დაკავშირებული. პოლონეთის შემდეგ არის ჩეხეთი, საშუალოდ 6 მლრდ აშშ დოლარი წელიწადში. 1997-2006 წლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, პუი-მ განსაკუთრებით იმატა წარმოების სფეროში. 2006 წელს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების 16% განხორციელდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (კუდინა და ჯაკუბიაკი, 2008) (UNCTAD).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ნაკლებად შემოედინება პუი, ვიდრე ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. 2000-2006 წლებში საშუალოდ მთლიანი ინვესტიციებიდან 23% სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და 26% ცენტრალური ევროპაში პუი-ს

სახით შევიდა. ეს ფაქტები, 2016 წლის მსოფლიოს ინვესტიციების ანგარიშთან ერთად (UNCTAD, 2016) ადასტურებს რომ ამ ეტაპზე პოსტსაბჭოთა ქვეყნები ნაკლებად არიან მზად ევროპის ქვეყნებთან შედარებით, რომ მოიზიდონ პუი.

დიაგრამა 15 პრობლემები, რომლებსაც ინვესტორები ხვდებიან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში*

პრობლემა	უკრაინა	მოლდოვა	ყირგიზეთი	საქართველო	ჯამი (საშუალოდ)
არასტაბილური პოლიტიკური გარემო	3.4	3.3	4.5	2.8	3.5
გაურკვეველი ეკონომიკური გარემო	3.3	3.4	4.4	2.9	3.5
სამართლებრივი სისტემის ბუნდოვანება	3.9	3.5	3.5	2.7	3.4
კორუფცია	4.0	3.9	3.1	2.1	3.3
ბიუროკრატია	3.9	3.9	3.1	2.0	3.2
არასაკმარისი ინფრასტრუქტურა	2.5	2.8	3.9	2.9	3.0
მომველევი ტექნოლოგიები	2.4	2.9	3.1	2.4	2.7
მეწარმული უნარების ნაკლებობა	2.4	2.6	3.1	2.7	2.7
შესაბამისი პარტნიორის პოვნა	2.5	2.9	2.3	2.8	2.6
პრობლემები საკუთრების პირობებში	3.2	2.9	1.7	2.4	2.6

* 5 ბალანი შეფასება. 1 უმნიშვნელო, 5 ძალიან მნიშვნელოვანი.

წყარო: Kudina, A., & Jakubiak, M. (2008). ცხრილი 5;

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2007-2008 წლებში, საქართველო ჩამოთვლილი პრობლემების უმრავლესობაში ყველაზე დაბალი ქულით არის შეფასებული. ამ მიმართულებით მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ არის

შეცვლილი ბოლო წლებშიც. ამაში უდიდესი როლი არასტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ/ფინანსურ გარემოს მიუძღვის⁹⁵, რაც სხვა ჩამოთვლილ ფაქტორებზე პირდაპირ თუ ირიბად საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს.

⁹⁵ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველო-რუსეთს შორის;

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენის კვლევა ეკონომიკაზე, საქართველოს მაგალითზე

კვლევის მეთოდოლოგია

პირდაპირი უცხოური მოტივაციების გავლენის შესაფასებლად ადგილობრივ ეკონომიკაზე, ჩატარდა საქართველოში მოღვაწე იმ კომპანიების გამოკითხვა, სადაც განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009-2016 წლებში. ფირმების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ (შემდგომში საქსტატი). გარდა ამისა, გვქონდა ასევე, 2015 წელს საქსტატის მიერ გადმოცემული ტოპ 50 კომპანიის სია განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის მიხედვით 2009-2015 წლებში. მონაცემთა შეგროვების დროს გამოყენებულია ონლაინ, სატელეფონო და პირისპირ გამოკითხვის მეთოდები. კომპანიების გენერალური ერთობლიობა არის 2500-მდე. სულ გამოიკითხა 97 ორგანიზაცია, 95%-იანი ნდობის ინტერვალია 10%. კითხვარი შედგება 33 შეკითხვისგან, რომელიც გადანაწილებულია 4 სექციად - ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის და მისი საქმიანობის შესახებ; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მასზე მოქმედი ფაქტორები; კავშირები მულტინაციონალურ კომპანიებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის; ინოვაციების დანერგვა⁹⁶. შეკითხვების უმრავლესობა იყო დახურული ტიპის. რესპოდენტებს გაეგზავნათ კითხვარის ბმული ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც თან ახლდა შეკითხვების განმარტებები და დოქტორანტის საკონტაქტო ინფორმაცია. 60-მდე ორგანიზაციის ხელმძღვანელთან შედგა სატელეფონო ინტერვიუ, რომლებსაც დახმარება გაეწიათ კითხვარის შევსებაში. დაახლოებით 650-

⁹⁶ კითხვარი წარმოდგენილია დანართში

700 ელექტრონულ ფოსტაზე წერილი არ მივიდა. დამატებით, რესპოდენტებს დაეგზავნათ შეტყობინებები მობილურ ტელეფონზე, სადაც ვთხოვდით კვლევაში მონაწილეობის მიღებას. აღნიშნული მიზნით ვრეკავდით მათ ნომერზეც. ზოგიერთი მათგანი უარს აცხადებდა ელექტრონული კითხვარის შევსებაზე, თუმცა სატელეფონო ინტერვიუზე თანახმა იყო. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მონაცემები არის ჯვარედინი, რადგან შეგროვდა დროის დაახლოებით ერთ პერიოდში (2016 წლის დეკემბერი - 2017 წლის მარტი).

მონაცემთა შეგროვებისას გამოყენებულია კატეგორიული (გაზომვის ნომინალური და ორდინალური სკალები) და რაოდენობრივი მონაცემები (ინტერვალური და ფარდობითი სკალები)⁹⁷. კერძოდ, ნომინალურ სკალაში აღნიშნულია კომპანიების სექტორული განაწილება. ორდინალურ სკალაში მოცემულია შეკითხვების დიდი ნაწილი, სადაც რესპოდენტები 0-დან 4 ქულამდე აფასებენ სხვადასხვა საკითხის მნიშვნელოვნების ხარისხს, როგორებიცაა სამთავრობო რეგულაციების გავლენა მათ საქმიანობაზე, კავშირების ფორმირება ადგილობრივ ფირმებთან, სხვადასხვა პრობლემების გავლენის ხარისხი მათ სექტორთან და სხვა. ინტერვალურ სკალაში მოცემულია ისეთი მონაცემები, როგორებიცაა ბაზრის წილი საქართველოში, ექსპორტი და იმპორტი (ასარჩევი პასუხები გამოსახულია პროცენტებში, საშუალოდ 20 %-იანი ინტერვალით).

მონაცემთა შეგროვების შემდეგ მოხდა მათი სიხშირული განაწილება სვეტებიანი და წრიული დიაგრამების მეშვეობით, ასევე ზოგიერთი საკითხის საშუალო მაჩვენებლების გამოთვლა. ვინაიდან, მონაცემები, რომელთა გავლენის ხარისხის შესწავლა ერთმანეთზე გამოსახულია სხვადასხვა გაზომვის სკალით (არის როგორც ბინარული (იღებს სავარაუდო პასუხების მხოლოდ ორ მნიშვნელობას), ასევე ორდინალური)

⁹⁷კისი ჰ. (2008), *სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ანალიზისთვის შევარჩიეთ probit მოდელი. მონაცემთა დამუშავებისთვის გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამა stata.

საკვლევი საკითხები:

1. რამდენად არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინტეგრირებული ადგილობრივ ეკონომიკასთან პუი-ს მოტივაციების მიხედვით?
2. უწყობს თუ არა ხელს პუი ექსპორტის სტიმულირებას?
3. უწყობს თუ არა ხელს პუი ახალი ცოდნის გავრცელებას?
4. არის თუ არა დადებითად დაკავშირებული უცხოური კომპანიების საქმიანობის ხანგრძლივობა ადგილობრივ ბაზართან ინტეგრაციის ხარისხზე?
5. რამდენად დიდი გავლენა აქვს ადგილობრივი კომპანიების კომპეტენციებს მულტინაციონალურ კომპანიებთან კავშირების დამყარებაზე?
6. რომელია ქვეყნის მახასიათებლები, რომელიც ხელს უწყობს პუი-სგან სარგებლის მიღების შესაძლებლობების ზრდას?
7. უწყობს თუ არა ხელს უცხოური კომპანიების მიდრეკილება ინოვაციების დანერგვისკენ მულტინაციონალურ და ადგილობრივ კომპანიებს შორის კავშირების ფორმირებას?
8. როგორი ეფექტი აქვთ პუი-ებს საქართველოს ბაზარზე (ჩათრევის, გამოდევნის, ნეიტრალური)?

სიხშირული და საშუალო მაჩვენებლების ანალიზი

გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა ვაჭრობის და მშენებლობის სფეროებიდანაა წარმოდგენილი, მათ მოსდევს საფინანსო და შემდეგ ჯანდაცვის სექტორი. საერთო ჯამში გამოყენებულია 97 კომპანიის მიერ შევსებული ანკეტა.

ცხრილი 8 გამოკითხული კომპანიების განაწილება სექტორების მიხედვით

სექტორი		გამოკითხული კომპანიების რაოდენობა
1	ვაჭრობა	22
2	მშენებლობა	16
3	საფინანსო სექტორი	13
4	ჯანდაცვა	8
5	უძრავი ქონება	7
6	სასტუმროები და რესტორნები	7
7	წარმოება	7
8	ენერგეტიკა	3
9	სოფლის მეურნეობა	2
10	არქიტექტურა	2
11	განათლება	2
12	სამთომომპოვებითი მრეწველობა	2
13	პროგრამული უზრუნველყოფა	2

14	სხვა	4
	ჯამი	97

გამოკითხული კომპანიები საქართველოს ბაზარზე საშუალოდ 7 წელია მოღვაწეობენ. შედარებით ახალი შემოსულები არიან ბაზარზე პროგრამული უზრუნველყოფის, სამთომომპოვებითი მრეწველობის, ჯანდაცვის, სასტუმროების და რესტორნების წარმომადგენლები.

ცხრილი 9 გამოკითხული კომპანიების საქართველოში მოღვაწეობის წლების საშუალო მაჩვენებელი სექტორების მიხედვით

სექტორი		საქართველოში მოღვაწეობის წლების რაოდენობა საშუალოდ
1	ვაჭრობა	7
2	მშენებლობა	8
3	საფინანსო სექტორი	6
4	ჯანდაცვა	5
5	უძრავი ქონება	7,5
6	სასტუმროები და რესტორნები	3,5
7	წარმოება	7
8	ენერგეტიკა	6,3
9	სოფლის მეურნეობა	8
10	არქიტექტურა	6,5

11	განათლება	6,5
12	სამთომომპოვებითი მრეწველობა	3,5
13	პროგრამული უზრუნველყოფა	3
14	სხვა	15
15	სულ საშუალო მაშვენებელი	7

ცხრილი 10 გამოკითხულ კომპანიებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა სექტორების მიხედვით

სექტორი	დასაქმებული ადამიანების რაოდენობა ჯამში	დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა	
1	ვაჭრობა	65	61
2	მშენებლობა	7997	4585
3	საფინანსო სექტორი	307	287
4	ჯანდაცვა	92	92
5	უძრავი ქონება	175	167
6	სასტუმროები და რესტორნები	535	484
7	წარმოება	642	628
8	ენერგეტიკა	68	68
9	სოფლის მეურნეობა	160	158


10	არქიტექტურა	65	61
11	განათლება	116	116
12	სამთომომპოვებითი მრეწველობა	41	31
13	პროგრამული უზრუნველყოფა	96	87
14	სხვა	456	456
	ჯამი	10815	7281

როგორც ცხრილიდან ჩანს, მშენებლობის სექტორში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს მოქალაქეებს ნაკლებად ასაქმებენ და ძირითადად იყენებენ უცხოელ მუშახელს, რაც ერთი მხრივ, მიანიშნებს იმას, რომ აღნიშნული სექტორი დადებით გავლენას არ ახდენს დასაქმების მაჩვენებელზე, თუმცა მეორე მხრივ, ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს კადრების დაბალკვალიფიციურობით. ეს მოსაზრება დადასტურებულია ჩვენი კვლევის სხვადასხვა ნაწილშიც, მაგალითად მულტინაციონალური კომპანიები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამაბრკოლებელ ფაქტორად საქართველოში ინვესტირების დროს სწორედ არაკვალიფიციურ კადრებს მიიჩნევენ.

გამოკითხული კომპანიების უმეტესობა თურქეთიდანაა, მას მოჰყვება აშშ-ს, გერმანული, ჰოლანდიური, აზერბაიჯანული და რუსული კომპანიები.

დიაგრამა 16

გამოკითხული კომპანიები ქვეყნების მიხედვით



კვლევის შედეგები და ანალიზი

საშუალო მაჩვენებლების ანალიზი

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირების ფორმირება უცხოელი კომპანიების მიერ. ამისათვის ინვესტორებს დავუსვით ორი განსხვავებული შინაარსის შეკითხვა, რომელთაგან პირველი ეხებოდა ადგილობრივ ფირმებთან კავშირების რაოდენობას, ხოლო მეორე მათთან თანამშრომლობის ხარისხს.

შეკითხვაზე, თუ დაახლოებით რამდენ ადგილობრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ მულტინაციონალური კომპანიები და რამდენად მჭიდრო კავშირი აქვთ მათთან, სავარაუდო პასუხები დავაჯგუფეთ შემდეგნაირად: მომწოდებლები; დისტრიბუტორები; ფინანსური შუამავლები; კვლევითი ცენტრები; უნივერსიტეტები; მარკეტინგული ორგანიზაციები; სოციალური ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები; სხვა.

სავარაუდო პასუხები გამოვსახეთ ორდინალური სკალით, 5 ბალიანი სისტემით (0-დან 4 ქულამდე), სადაც:

0 ქულა - არცერთი

1 ქულა - 1-დან 5-მდე

2 ქულა - 6-დან 10-მდე

3 ქულა - 11-დან 30-მდე

4 ქულა - 31 და მეტი

გარდა ამისა, ასევე 0-დან 4 ქულამდე უნდა მოენიშნათ არსებული სიმჭიდროვის ხარისხი შესაბამის კომპანიებთან, სადაც:

0- არ ვთანამშრომლობ;

- 1- იშვიათად;
- 2- საშუალო სიხშირით;
- 3- ხშირად;
- 4- ძალიან ხშირად

მიღებული პასუხების საშუალო მაჩვენებლების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მულტინაციონალური კომპანიები ძირითადად თანამშრომლობენ მომწოდებლებთან და დისტრიბუტორებთან. მჭიდრო კავშირი აქვთ ასევე მომწოდებლების, დისტრიბუტორების და საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან. ნიშანდობლივია, რომ მიღებული შედეგი საკმაოდ პესიმისტურად გამოიყურება, რადგან მნკ-ები თანამშრომლობენ მხოლოდ იმ ტიპის ორგანიზაციებთან, რომელიც აუცილებელია საოპერაციო საქმიანობაში, თუმცა არ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის გავრცელებასა და დანერგვას საქართველოში მოღვაწე ორგანიზაციებისთვის (ცხრილი 12).

ცხრილი 11 ადგილობრივ ეკონომიკასთან კავშირების ფორმირება რაოდენობისა და სიხშირის მიხედვით

	Mean*	Std. Err.	[95% Conf.	Interval]
რაოდენობა				
მომწოდებლები	2.4	.2201398	1.954725	2.845275
დისტრიბუტორები	1.05	.1959526	.6536484	1.446352
საფინანსო სექტორი	0.75	.0930261	.5618371	.9381629
კვლევითი ცენტრები	0.65	.1216869	.4038651	.8961349
უნივერსიტეტები	0.55	.1599279	.2265154	.8734846
მარკეტინგული ორგანიზაციები	0.55	.1129443	.3215486	.7784514
სოციალური ორგანიზაციები	0.4	.1120897	.1732772	.6267228
არასამთავრობო ორგანიზაციები	0.2	.0733799	.0515751	.3484249
სხვა	1.125	.1900995	.7404875	1.509513
სიხშირე				
მომწოდებლები	2.65	.2073953	2.230503	3.069497
დისტრიბუტორები	1.50	.2581989	.9777435	2.022257
საფინანსო სექტორი	1.45	.2319096	.9809186	1.919081
კვლევითი ცენტრები	0.85	.1662173	.5137937	1.186206
უნივერსიტეტები	0.75	.1985525	.3483898	1.15161
მარკეტინგული	0.85	.1879375	.4698605	1.23014


ორგანიზაციები				
სოციალური ორგანიზაციები	0.6	.1593255	.2777338	.9222662
არასამტავრობო ორგანიზაციები	0.3	.1198289	.0576231	.5423769
სხვა	1.075	.2159876	.6381239	1.511876

* საშუალო მაჩვენებლები

იმისათვის, რომ შეგვეფასებინა რა ძირითად პრობლემებს აწყდებიან ინვესტორები საქართველოში, განვსაზღვრეთ ძირითადი პრობლემების ჩამონათვალი გაზომვის ორდინალური სკალით 0-დან 4 ქულამდე, სადაც მინიმალური - 0 ნიშნავს უმნიშვნელო პრობლემას ხოლო მაქსიმალური 4 ნიშნავს ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას. მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ მნკ-ებისთვის ძირითად პრობლემურ საკითხს გაცვლითი კურსის არასტაბილურობა და ინფლაცია წარმოადგენს⁹⁸, მას მოჰყვება არასტაბილური პოლიტიკური გარემო, არასტაბილური ეკონომიკური გარემო, არაკვალიფიციური კადრები და არადახვეწილი კანონმდებლობა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ მე-2 თავში განხილული პუი-ს გლობალური ტენდენციების თანახმად, გაცვლითი კურსის არასტაბილურობა და ინფლაცია ასევე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებადაა დასახელებული. ჩვენს შემთხვევაში საყურადღებოა არაკვალიფიციური კადრები, ვინაიდან იგი ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ს შემოსვლას უშლის ხელს, რაც ვერ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის გავრცელებას, რაც ამ ტიპის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს თან სდევს ხოლმე.

⁹⁸ აღსანიშნავია, რომ UNCTAD-ის 2016 წლის გამოკითხვის მიხედვითაც, ინვესტორები ამ ორ პრობლემას საკმაოდ მნიშვნელოვნად აფასებენ, რაც აღნიშნულია მსოფლიოს საინვესტიციო ტენდენციების ანალიზის თავში.



საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების დასადგენად განვსაზღვრეთ ძირითადი ჩამონათვალი და გამოვიყენეთ გაზომვის ბინარული სკალა სადაც 0-ნიშნავს რომ კონკრეტული მოტივაცია არ არის მნკ-ს საქმიანობის განმსაზღვრელი, ხოლო 1 ნიშნავს რომ არის. მიღებული პასუხების საშუალო მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ლიდერობს აუთვისებელიზაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი. მას მოჰყვება დაბალი გადასახადები, ნოუ-ჰაუ და ხარისხის კონტროლის მეტი შესაძლებლობა.

ცხრილი 12 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების საშუალო მაჩვენებლები, ინვესტორების შეფასებების მიხედვით

Mean estimation	Number of obs	97		
	Mean	Std. Err.	[95% Conf. Interval]	
ბუნებრივი რესურსები	.0927835	.0296111	.0340058	.1515612
იაფი მუშახელი	.1237113	.0336041	.0570077	.190415
კვალიფიციური მუშახელი	.1340206	.0347699	.0650028	.2030384
გაზრდილი მოთხოვნა მიმწოდებლებისგან და მომხმარებლებისგან	.3298969	.0479871	.2346433	.4251505
აუთვისებელი ბაზარი	.3402062	.0483548	.2442227	.4361897
კონკურენტების მიზაძვა	.0824742	.0280758	.0267441	.1382043
მასშტაბის ეკონომია	.1030928	.031035	.0414887	.1646968
სტრატეგიული აქტივები	.1134021	.0323622	.0491636	.1776405
ნოუ-ჰაუ	.1649485	.0378787	.0897598	.2401371
ნაკლები სატრანსპორტო ხარჯები	.0309278	.0176692	-.0041453	.0660009
იაფი წარმოების ფაქტორები	.0412371	.0202938	.0009542	.0815201
იაფი ენერგორესურსები	.0206186	.0145034	-.0081704	.0494076
გაზრდილი მოთხოვნა ქართველი მომხმარებლების მხრიდან	.257732	.0446405	.1691213	.3463426
იაფი გადასახადები	.1958763	.0405058	.115473	.2762796

ნაკლები საბაჟო ტარიფები	.1340206	.0347699	.0650028	.2030384
ხარისხის კონტროლის მეტი შესაძლებლობა	.1443299	.0358671	.0731344	.2155254

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ კვალიფიციური მუშახელი საქართველოში არ არის მწკ-ებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მნიშვნელოვანი მოტივაცია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სარგებლის შთანთქმის დიდი შესაძლებლობა არ გააჩნია პუი-სგან, ვინაიდან ბევრი მეცნიერის აზრით ადგილობრივი ადამიანური რესურსების კვალიფიკაციაზე დიდწილადაა დამოკიდებული დარგთან დაკავშირებული ცოდნის ათვისება მწკ-ებისგან⁹⁹ ¹⁰⁰. ზემოხსენებულის თანახმად, განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც დაბალკვალიფიციური მუშახელი ჰყავთ, ნაკლებ სარგებელს იღებენ პუი-სგან, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსებით გამოირჩევიან.

Probit მოდელი ბინარული და ორდინალური ცვლადებისთვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევაში გამოყენებული გაზომვის სკალები ძირითადად ბინარული და ორდინალურია. ბინარული რეაქციის

⁹⁹ Lall, S. (1996). The investment development path: Some conclusions. In J. Dunning & R. Narula (Eds.), Foreign direct investment and governments: Catalysts for economic restructuring (pp. 423-441). London: Routledge.

¹⁰⁰ Borensztein, E., De Gregorio, J., & Lee, J-W (1998). How does foreign investment affect economic growth?. Journal of International Economics, 45(1), 115-135.

ცვლადისთვის წრფივი ალბათობის მოდელს გარკვეული ნაკლოვანებები აქვს¹⁰¹, რომელიც დაძლეულია probit მოდელში, თუმცა ამ მოდელის უარყოფითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მათი ინტერპრეტაცია უფრო რთულია. თანამედროვე კომპიუტერების შესაძლებლობების გათვალისწინებით, probit მოდელების ყველაზე რთული ასპექტი შედეგების წარდგენასა და ინტერპრეტაციასთან არის დაკავშირებული. probit მოდელის ყველა პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის საშუალებით შესაძლებელია კოეფიციენტების შეფასებების, მათი სტანდარტული შეცდომების და ლოგდასაჯერებლობის ფუნქციის მნიშვნელობების გამოთვლა, რის შემდეგაც ყველა ეს მაჩვენებელი საშედეგო ანგარიშში უნდა აისახოს¹⁰². მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგად მიღებული ცვლადების ნაწილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, კოეფიციენტების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენა შეგვიქმნათ თუ რა მიმართულებით შეიძლება მოახდინონ მათ გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე.

probit რეგრესიული ანალიზი ჩატარდა კომპიუტერული პროგრამა stata-ს გამოყენებით, იმ შემთხვევებისთვის, როდესაც დამოკიდებული ცვლადი ბინარულია, ხოლო ორდინალური probit რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ გაზომვის ორდინალური სკალის შემთხვევაში, ასევე დამოკიდებული ცვლადის დროს. მაჩვენებლები, რომლებიც მიიღება აღნიშნული მეთოდის დროს stata-ს გამოყენებით მიღებულ შედეგში, შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

ცხრილი 13 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა ექსპორტზე

Ordered probit regression			
---------------------------	--	--	--

¹⁰¹ პროგნოზირებული ალბათობები შეიძლება ნულზე ნაკლები ან ერთზე მეტი იყოს; ნებისმიერი ამხსნელი ცვლადის კერძო ეფექტი მუდმივია.
¹⁰² ვულდრიჯი, ჯ.მ (2016), შესავალი ეკონომეტრიკაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ექსპორტი	Coef.	Std. Err.	P>z
ბუნებრივი რესურსები (NR)	1.371533	.6363213	0.031
იაფი მუშახელი (CHL)	1.365003	.7931201	0.085
მაღალკვალიფიციური მუშახელი (HQL)	.9043415	.5299922	0.088
აუთვისებელი ბაზარი (UTM)	.1673893	.3894507	0.667
სტრატეგიული აქტივები (SA)	-.65432	.6185188	0.290
იაფი ენერჯია (CHE)	-1.365003	815.1518	0.999
დაბალი გადასახადები (LT)	-3.997866	576.3991	0.994
მცირე საბაჟო ტარიფები (LCT)	3.920873	576.3993	0.995
LR chi2(8)	16.68		
Pseudo R2	0.1681		
Number of obs	68		

მოცემული განტოლება შედგება ერთი დამოკიდებელი ცვლადისგან (ექსპორტი) და იგი განისაზღვრება 0-4 მდე სკალით. როგორც ვხედავთ ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი პოზიტიურ გავლენას ახდენს ექსპორტის ზრდაზე, რაც ამტკიცებს მოსაზრებას, რომ ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ იგი ინტეგრირებულია ადგილობრივ ეკონომიკასთან. ამას დავინახავთ, რეგრესულ განტოლებაში, სადაც ასახულია მოტივაციის გავლენა ადგილობრივ ეკონომიკასთან კავშირების ფორმირებაზე. რაც შეეხება ეფექტიანობის მაძიებელ პუი-ს (იაფი მუშახელი, კვალიფიციური მუშახელი) იგი დადებით გავლენას ახდენს საექსპორტო საქმიანობაზე, რაც ადასტურებს ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას. მნკ-ები რომელთა

ძირითადი მოტივაცია მცირე გადასახადებია, არ არიან ორიენტირებული ექსპორტზე. სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებულ პუის გავლენა არის უმნიშვნელო, რაც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ადგილმდებარეობის უპირატესობა ხელს არ უწყობს სტრატეგიული აქტივების მამიებელ პუის ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი საკუთრების უპირატესობა.

ცხრილი 14 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა იმპორტზე

Ordered probit regression			
იმპორტი	Coef.	Std. Err.	P>z
ბუნებრივი რესურსები	-.5893072	.5280135	0.264
იაფი მუშახელი	.0537496	.4778145	0.910
კვალიფიციური მუშახელი	-.3842724	.3839488	0.317
აუთვისებელი ბაზარი	-.0253609	.2804112	0.928
სტრატეგიული აქტივები	.3883621	.5198193	0.455
იაფი ენერჯია	-.0537496	430.4847	1.000
მცირე გადასახადები	-5.624596	304.3985	0.985
მცირე საბაჟო ტარიფები	5.982198	304.3987	0.984

LR chi2(8)	42837.00		
Pseudo R2	0.0593		
Number of obs	70		

ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი არ ახდენს გავლენას იმპორტზე, რაც შეიძლება ავხსნათ, იმით რომ ძირითადად ადგილობრივ რესურსებს იყენებენ (არ შეესაბამება თეორიას), ამავე დროს ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ს გავლენა იმპორტზე არის უმნიშვნელო, ასევეა ბაზრის მაძიებელი პუი-ც, რაც ბუნებრივია რადგან ბაზრის მაძიებელი პუი თავისი არსიდან გამომდინარე ხელს არ უწყობს საერთაშორისო ვაჭრობას, თუმცა ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ აუცილებელ რესურსებს იძენენ ადგილობრივი ეკონომიკისგან. სტრატეგიული აქტივების მაძიებელი პუი დადებით გავლენას ახდენს იმპორტზე, რადგან იგი თავისი არსიდან გამომდინარე ფოკუსირებულია მაღალტექნოლოგიურ დარგებში, შესაბამისად მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება არ ხდება ადგილობრივად და შემოდის საზღვარგარეთიდან. ამ შემთხვევაშიც გადასახადები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს საიმპორტო საქმიანობაზე, ხოლო საბაჟო ტარიფები პოზიტიურ გავლენას ახდენს მასზე.

ცხრილი 15 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა ინოვაციებზე

Probit regression			
-------------------	--	--	--

ინოვაციები	Coef.	Std. Err.	P>z
ბუნებრივი რესურსები	.8410434	.5926749	0.156
იაფი მუშახელი	-1.476423	.6615065	0.026
კვალიფიციური მუშახელი	.1488448	.521075	0.775
აუთვისებელი ბაზარი	.6133413	.3606247	0.089
სტრატეგიული აქტივები	-1.266789	.7129983	0.076
მოთხოვნის ზრდა	.2138837	.3961029	0.589
დაბალი გადასახადები	.9372068	.8888305	0.292
დაბალი საბაჟო გადასახადები	-2.086887	1.050461	0.047
LR chi2(8)	18.57		
Pseudo R2	0.1533		
Number of obs	90		

მოცემული განტოლების საშუალებით ვაფასებთ პუის მოტივაციების გავლენას ინოვაციურ საქმიანობაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი დადებით გავლენას ახდენს ინოვაციების დანერგვაზე, ასევე დადებით გავლენას ახდენს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული და ეფექტიანობის მაძიებელი პუი, რომელიც ფოკუსირებულია კვალიფიციურ კადრებზე. თუმცა, აღნიშნული გავლენის ხარისხი უმნიშვნელოა.

კავშირების სიხშირე ადგილობრივ ორგანიზაციებთან

ცხრილი 16 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა მომწოდებლებთან კავშირების რაოდენობაზე

Ordered regression	probit			
კავშირების რაოდენობა მომწოდებლებთან	Coef.	Std. Err.	P>z	
ბუნებრივი რესურსები	.7248722	.4245344	0.088	
იაფი მუშახელი	.7680726	.4123739	0.063	
კვალიფიციური მუშახელი	.0450123	.3605062	0.901	
აუთვისებელი ბაზარი	-.4794413	.2581782	0.063	
სტრატეგიული აქტივები	-.2199877	.3864765	0.569	
იაფი ენერჯია	-1.152369	.9449799	0.223	
დაბალი გადასახადები	-.9972867	.5584999	0.074	
მცირე ტარიფები	საბაჟო .7626909	.6251746	0.222	
LR chi2(8)	14.19			
Pseudo R2	0.0558			

Number of obs	84.00		
---------------	-------	--	--

მოცემული რეგრესიული განტოლებით ვაფასებთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენას ადგილობრივი დარგების განვითარებაზე უცხოური ფირმების ადგილობრივ ეკონომიკასთან ინტეგრირების შეფასებით. ამ რეგრესიის მიზანია განსაზღვროს თითოეული მოტივაციის გავლენა ადგილობრივ მომწოდებლებთან კავშირების ფორმირებაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივი კავშირების ფორმირებაზე, რაც კიდევ ამყარებს ჩვენს მიერ ცხრილში - „პუის გავლენის შეფასება იმპორტზე“ მოცემულ მოსაზრებას, რომ ბუნებრივი რესურსების მაძიებელი კომპანიები წარმოებაში იყენებენ ადგილობრივ რესურსებს, რაც გამოიხატება მათი კავშირებით ადგილობრივ მომწოდებლებთან. რაც შეეხება ეფექტიანობის მაძიებელ პუი-ს ისინიც დადებით გავლენას ახდენენ მომწოდებლებთან კავშირების ფორმირებაზე, თუმცა ეფექტიანობის მაძიებელი პუის გავლენა (რომელიც ფოკუსირებულია კვალიფიციური კადრების გამოყენებაზე), ადგილობრივ მომწოდებლებთან კავშირების დამყარებაზე უმნიშვნელოა. სტრატეგიული აქტივების მოძიება, იაფი ენერჯის გამოყენება, მცირე გადასახადები, არ წარმოადგენს მთავარ ფაქტორს მომწოდებლებთან კავშირების ფორმირებისათვის.

ცხრილი 17 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა დისტრიბუტორებთან კავშირების რაოდენობაზე

კავშირების რაოდენობა დისტრიბუტორებთან	Coef.	Std. Err.
ბუნებრივი რესურსები	.5857651	.4933559
იაფი მუშახელი	.7711078	.4976571
კვალიფიციური მუშახელი	-.035912	.3967361
აუთვისებელი ბაზარი	.1507752	.2697134
სტრატეგიული აქტივები	-.3627903	.5001028
იაფი ენერჯია	-.7728181	.9895725
დაბალი გადასახადები	-.4580866	.6000776
დაბალი საბაჟო ტარიფები	-.5672569	.6591848
LR chi2(8)	9.86	
Pseudo R square	0.0436	
Number of obs	74.00	

მოცემული რეგრესიული განტოლებით ვაფასებთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენას დისტრიბუტორებთან კავშირების ფორმირებაზე. მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივ დისტრიბუტორებთან კავშირების დამყარებაზე, ასევე მნიშვნელოვანი გავლენით გამოირჩევა იაფ სამუშაო ძალაზე ორიენტირებული ეფექტიანობის მაძიებელი პუი, მაშინ როდესაც კვალიფიციურ კადრების მაძიებელი პუი-ს გავლენა დისტრიბუტორებთან კავშირების ფორმირებაზე არის უმნიშვნელო. ასევე უმნიშვნელოა ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუის გავლენა, თუმცა მისი გავლენა არის დადებითი. რაც

შეეხება დანარჩენ მოტივაციებს, მათ უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნიათ დისტრიბუტორებთან კავშირების ფორმირებზე.

ცხრილი 18 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა ფინანსურ შუამავლებთან კავშირების რაოდენობაზე

Ordered regression	probit			
კავშირების რაოდენობა ფინანსურ შუამავლებთან	Coef.	Std. Err.	P>z	
ბუნებრივი რესურსები	.7961061	.5878188	0.176	
იაფი მუშახელი	1.152239	.6456979	0.074	
მაღალკვალიფიციური მუშახელი	.4593807	.5245539	0.381	
აუთვისებელი ბაზარი	.173559	.3436294	0.614	
სტრატეგიული აქტივები	-.2355804	.5940559	0.692	
იაფი ენერჯია	-8.264089	410.0874	0.984	
დაბალი გადასახადები	1.449252***	.7129127	0.042	
დაბალი საბაჟო გადასახადი	-2.485982***	.7917309	0.002	
LR chi2(8)	19.52			
Pseudo R2	0.1675			
Number of obs	54			

მოცემული რეგრესიული განტოლებით ჩვენ ვაფასებთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა მოტივაციების გავლენას ფინანსურ შუამალეებთან კავშირების ფორმირებაზე, ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც დანარჩენ შემთხვევაში, ბუნებრივი რესურსების მაძებელი და ეფექტიანობის მაძებელი პუი დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებზე. ასევე, დადებით გავლენას ახდენს ბაზრის მაძებელი პუი, თუმცა მისი მაჩვენებელი უმნიშვნელოა. რაც შეეხება სხვა დანარჩენ მოტივაციებს, მათი გავლენა ფინანსურ ინსტიტუტებთან კავშირების ფორმირებაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 19 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა კვლევით ცენტრებთან კავშირების რაოდენობაზე

Ordered probit regression			
კავშირების რაოდენობა კვლევით ცენტრებთან	Coef.	Std. Err.	P>z
ბუნებრივი რესურსები	.787603	.6441995	0.221
იაფი მუშახელი	-.4885487	.9436205	0.605
მაღალკვალიფიციური მუშახელი	.0289065	.5319789	0.957
აუთვისებელი ბაზარი	1.742425	.4106436	0.000
სტრატეგიული აქტივები	-.6208371	.6990468	0.374
იაფი ენერჯია	1.542336	1.200585	0.199
დაბალი გადასახადები	.4572525	.88796	0.607

დაბალი გადასახადი	საბაჟო	-.2692545	.8806885	0.760
LR chi2(8)		23.26		
Pseudo R2		0.2329		
Number of obs		50		

ადგილობრივ ეკონომიკაზე კავშირების ფორმირებისას ასევე მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, თუ როგორ არის ინტეგრირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან. მათთან თანამშრომლობა ხელს უწყობს ცოდნის დიფუზიას და ტექნოლოგიების გადაცემის ეფექტს. როგორც ცხრილიდან ჩანს, ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან დადებით კავშირში იმყოფება ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი, თუმცა როგორც ცხრილიდან ჩანს, ეფექტიანობის მაძიებელი პუი დადებით გავლენას არ ახდენს ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან კავშირების ფორმირებაზე. აქ ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტრატეგიული აქტივების მაძიებელი პუის გავლენა უმნიშვნელოა ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან კავშირების ფორმირებაზე რაც აიხსნება იმით, რომ სტრატეგიული აქტივების მაძიებელი ინვესტიციები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ადგილობრივი კვლევითი ცენტრებით ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხარისხის კვლევითი ცენტრები.

ცხრილი 20 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების გავლენა უნივერსიტეტებთან კავშირების რაოდენობაზე

Ordered probit regression			
კავშირების რაოდენობა უნივერსიტეტებთან	Coef.	Std. Err.	P>z
ბუნებრივი რესურსები	.1405801	.7398654	0.849
იაფი მუშახელი	.0106416	.9405179	0.991
კვალიფიციური მუშახელი	-.6272531	.5861909	0.285
აუთვისებელი ბაზარი	.775756	.3778355	0.040
სტრატეგიული აქტივები	.0503096	.7569765	0.947
იაფი ენერჯია	4.711126	481.9968	0.992
დაბალი გადასახადები	-.0266939	.9070667	0.977
დაბალი საბაჟო გადასახადები	-.2839074	.9060966	0.754
LR chi2(8)	8.15		
Pseudo R2	0.0882		
Number of obs	49.00		

უნივერსიტეტებთან კავშირების რაოდენობის მიხედვით, სხვა ფაქტორებთან შედარებით ბუნებრივი რესურსები და აუთვისებელი ბაზარი გამოირჩევა, რაც შეეხება დანარჩენ მოტივაციებს, კოეფიციენტის ხარისხი უმნიშვნელო ან უარყოფითია.

პუი-ს მოტივაცია	მოსალოდნელი შედეგები ადგილობრივ ეკონომიკასთან ინტეგრაციის დონე
ბუნებრივი რესურსების მაძიებელი	დადებითი: O-უპირატესობების დანერგვა, დასაქმების ზრდა, ექსპორტის ზრდა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა. უარყოფითი: კონტროლის ზრდა ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე; ინტეგრაციის დონე: საშუალო
ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული	დადებითი: დასაქმების ზრდა, ფასების გაუმჯობესება ბაზარზე. უარყოფითი: იმპორტის ზრდა, კონკურენცია ადგილობრივ ბაზართან; ადგილობრივი ორგანიზაციების გამოდევნის შესაძლებლობა; O-უპირატესობების გავრცელების ნაკლები შესაძლებლობა; ინტეგრაციის დონე: დაბალი
ეფექტიანობაზე ორიენტირებული	დადებითი: დასაქმების ზრდა, ექსპორტის ზრდა, O-უპირატესობების დანერგვა და ცოდნის გავრცელება; სარგებლის მიღების მეტი შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე. უარყოფითი: გრძელვადიან პერსპექტივაში O უპირატესობების დანერგვა შეიძლება შემცირდეს; ინტეგრაციის დონე: ძალიან დაბალი

შედგენილია ავტორის კვლევის შედეგების მიხედვით, დანინგის ნაშრომზე დაყრდნობით 1993, გვ. 82-83

ადგილობრივ კომპანიების „ჩათრევის“ და „გამოდევნის“ ეფექტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაზე არაერთგვაროვან როლს შეიძლება ასრულებდნენ. პუი-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გავლენა მიმღებ ქვეყანაზე ადგილობრივი კომპანიებთან ინტეგრაციის (ჩათრევის) ან მათი ბაზრიდან გამოდევნის ეფექტია¹⁰³. ჩვენს მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით¹⁰⁴ (1996-2014 წლებამდე პერიოდზე), შესწავლილია პუი-სა და ადგილობრივ ინვესტიციას შორის კავშირი საქართველოს მაგალითზე. მონაცემებად აღებულია ქვეყანაში შემომავალი პუი-ს ნაკადები და ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება. ემპირიული მოდელი გამომდინარეობს მარტივი თეორიული საფუძვლებიდან¹⁰⁵ ¹⁰⁶, რომლის მიხედვითაც პუი შედის ბაზარზე და ხდება მიმღები ქვეყნის ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების ნაწილი. მოცემულ ქვეთავში მოკლედაა წარმოდგენილი კვლევის ძირითადი ნაწილი და მისი შედეგები, რომელიც უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ დანართში 5.

ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემთა ეკონომეტრიკული ანალიზი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ

$$I_t \cong I_{d,t} + I_{f,t} \quad (1)$$

სადაც, I_t , $I_{d,t}$ და $I_{f,t}$ არის მთლიანი ინვესტიცია - ადგილობრივი და უცხოური ინვესტიცია. $I_{f,t}$ არის პუი-ს ფუნქცია (F) მოდელში. პუი-ს ნაკადები მოკლე დროში არ გადაიქცევა რეალურ ინვესტიციებად.

¹⁰³ Agosin Manuel, M. R. (2005). Foreign Investment in Developing Countries: Does it Crowd in Domestic Investment? Taylor and Francis Journals, vol. 33(2), pp. 149-162.

¹⁰⁴ Sikharulidze D, Kurdadze S, Tordinava T. (2015) "The impacts of FDI on domestic investment (in case of Georgia)" - Faculty of Social and Economic Relations Alexander Dubček University of Trenčín. Social and Economic Review, 01.2015: 35-40; ISSN – 1336-3727

¹⁰⁵ Agosin, M. R. (2000). Foreign investment developing countries Does it Crowd in Domestic Investment? United Nations (UN) Conference on Trade and Development.

¹⁰⁶ Fry, M. (1993). Foreign Direct Investment in a Macroeconomic Framework: Finance, Efficiency, Incentives and Distortions. Policy Research Working Paper, No. 1141.

მეცნიერების მიერ მიჩნეულია, პუი-ს რეალურ ინვესტიციად გადასაქცევად დაახლოებით ორი წელი სჭირდება:

$$I_{f,t} = a_0 F_t + a_1 F_{t-1} + a_2 F_{t-2} \quad (2)$$

ადგილობრივი ინვესტიცია მოდელში წარმოდგენილია $K_{d,t}$ სახით ¹⁰⁷, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ინვესტიცია განსაზღვრულია როგორც კაპიტალის მოცულობის ცვლადი - გამოწვეული სასურველ და ფაქტობრივ კაპიტალის მარაგს შორის ცვლილებით. ადგილობრივი ბაზრის მოდელი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$I_{d,t} = \lambda(K_{d,t}^* - K_{d,t}) \quad (3)$$

სადაც, $K_{d,t}^*$ არის ადგილობრივი ინვესტორების სასურველი კაპიტალის მოცულობა და $\lambda < 1$

სასურველი კაპიტალი არის ეკონომიკის მოსალოდნელი ზრდის ფუნქცია G_t^e , გამოშვების გაპი (output gap) y_t . კაპიტალის რაოდენობის მოდელი გამოისახება შემდეგნაირად:

$$K_{d,t}^* = \phi_0 + \phi_1 G_t^e + \phi_2 y_t \quad (4)$$

$$\phi_1, \phi_2 > 0$$

განვიხილოთ მოდელის ბოლო კომპონენტი, რომელიც არის კაპიტალის მოძრაობის განტოლება.

¹⁰⁷ Rama, M. (1993). Empirical investment equations for developing countries. Striving for growth after adjustment: the role of capital formation. In W. Bank (Ed.), (pp. 107-143). Washington, DC,

$$K_{d,t} = (1-d)K_{d,t-1} + I_{d,t-1} \quad (5)$$

სადაც - d არის წლიური ცვეთის ნორმა

მე-3 და მე-5 გათვლებს შეჯერებით ვიღებთ შემდეგს:

$$K_{d,t}^* = \phi_0 + \phi_1 G_t^e + \phi_2 y + \lambda I_{d,t-1} + \lambda I_{d,t-2} \quad (6)$$

სადაც,

$$\phi_0 = \phi_0 + \lambda^2(1-d)^2 K_{d,t-2}$$

$$\phi_1 = \lambda \phi_1$$

$$\phi_2 = \lambda \phi_2$$

$$\lambda = \lambda^2(1-d)$$

ახლა ჩვენ შეგვიძლია გარდავქმნათ საერთო საინვესტიციო მოდელი განტოლებაში (1), (6) და (2) გათვლებს საშუალებით:

$$K_{d,t}^* = \phi_0 + \phi_1 G_t^e + \phi_2 y + \psi_0 F_t + \psi_1 F_{t-1} + \psi_2 F_{t-2} + \lambda I_{d,t-1} + \lambda I_{d,t-2} \quad (7)$$

სადაც,

$$\psi_1 = \psi_1 - \lambda$$

$$\psi_2 = [\psi_2 - \lambda^2(1-d)]$$

თუკი მოლოდინები რაციონალურია, მოსალოდნელი ზრდა არ უნდა ასცდეს ფაქტობრივ ზრდას. ამ მაგალითში $G_t^e = G_t$. ალტერნატივა არის შესაბამისი მოლოდინები:

$$G_t^e = \eta_1 G_{t-1} + \eta_2 G_{t-2} \quad (8)$$

პუი-ს გავლენების შესწავლა ადგილობრივ ინვესტიციებზე (საქართველოს მაგალითზე)

(7) და (8) გათვლები გამოყენებულია იმისათვის, რომ ნაჩვენები იყოს სრული საინვესტიციო მოდელი გათვლაში (9). ამ მოდელით ხორციელდება რეგრესული ანალიზი საქართველოს ეკონომიკისთვის.

$$I_{i,t} = \alpha_i + \beta_{1,i} F_{i,t} + \beta_{2,i} F_{i,t-1} + \beta_{3,i} F_{i,t-2} + \beta_4 I_{i,t-1} + \beta_5 I_{i,t-2} + \beta_6 G_{i,t-1} + \beta_7 G_{i,t-2} + \varepsilon_{i,t} \quad (9)$$

სადაც, $I_{i,t}$ არის შეფარდება - მთლიანი ინვესტიცია/მშპ, F არის შეფარდება - პუი/მშპ, G არის მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი, α არის კონსტანტა, β_j არის პარამეტრის კოეფიციენტები და ε არის შეცდომის წევრი. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ პუი-ს გავლენის ეფექტი გრძელვადიან პერიოდში, წარმოდგენილია ქვემოთმოცემული კოეფიციენტი:

პუის გავლენის ეფექტის გრძელვადიანი კოეფიციენტი

$$\hat{\beta}_{LT} = \frac{\sum_{j=1}^3 \hat{\beta}_j}{1 - \sum_{j=4}^5 \hat{\beta}_j} \quad (10)$$

ჩათრევის და გამოდევნის ეფექტი დამოკიდებულია $\hat{\beta}_{LT}$ -ის მნიშვნელოვნების მაჩვენებელზე. $\hat{\beta}_{LT}$ -ის მნიშვნელოვნების შესაფასებლად, ვალდის ტესტის (wald test) დახმარებით ჩამოყალიბდა სამი სავარაუდო შედეგი:

ა) ხი კვადრატის გამოყენებით, თუ ჩვენ ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, რომ $\hat{\beta}_{LT} = 1$, ეს გულისხმობს, რომ ჰუი-ს ნაკადების თითოეული დოლარისთვის საქართველოში, არსებობს ერთი დოლარის ნამატი მთლიან ინვესტიციაში.

ბ) თუ $\hat{\beta}_{LT} > 1$, გულისხმობს, რომ ჰუი-ს თითოეული დოლარისთვის, ეკონომიკის მთლიანი ინვესტიცია იზრდება ერთ დოლარზე მეტი რაოდენობით. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას რომ ჰუი-ს აქვს ადგილობრივი ინვესტიციის ჩათრევის ეფექტი.

გ) თუ $\hat{\beta}_{LT} < 1$, გულისხმობს, რომ ჰუი-ს თითოეული დოლარისთვის ეკონომიკის მთლიანი ინვესტიცია იზრდება ერთ დოლარზე ნაკლები რაოდენობით. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას რომ ჰუი-ს აქვს ადგილობრივი ინვესტიციის გამოდევნის ეფექტი.

მონაცემთა ანალიზი და შედეგები

ჩათრევის და გამოდევნის ეფექტის შესაფასებლად გამოყენებულია მსოფლიო ბანკის და მსოფლიოს ინვესტიციების ანგარიშის მონაცემები. აგოსინის და მეიერის (Agosin and Mayor) მოდელი გამოიყენება, რათა შეფასდეს ჰუი-ს გავლენა ადგილობრივ ინვესტიციაზე. აქედან გამომდინარე, რეგრესული ანალიზი ჩატარდა უმცირეს კვადრატთა მეთოდით გათვლაზე (9) იმისათვის რომ მიღებული ყოფილიყო β_i . შედეგები ასახულია ქვემოთმოცემულ ცხრილში.

ინვესტიციის მოდელების ანალიზი 1996-2013 წლების მონაცემების გამოყენებით (უმცირეს კვადრატთა მეთოდი; დამოკიდებული ცვლადი: I)

ცხრილი 21 ჰუი-ს გავლენა ადგილობრივ ინვესტიციებზე

განტოლება	Obs	Parms	RMSE	R-sq	chi2	P
	16	7	1.49894	0.9222	189.75	0.0000

ჯამური						
ინვესტიცია	Coef.	Std. err	z	P> z	[95% Conf. Interval]	
პუი_მშპ						
F	1.113261	0,174295	6,39	0,000	0,77165	1,454872
F(-1)	0.0901913	0,203134	0,44	0,657	-0,30794	0,488327
F(-2)	-0,69526	0,145578	-4,78	0,000	-0,98058	-0,40993
I_GDP						
I (-1)	0,318668	0,113961	2,80	0,005	0,095308	0,542028
I (-2)	-0,04906	0,124217	-0,39	0,693	-0,29252	0,194405
მშპ-ს ზრდა						
					-	
G (-1)	-0,21986	0,190074	-1,16	0,247	0,592397	0,1526795
					-	
G (-2)	0,073951	0,125702	0,59	0,556	0,172420	0,320323
_cons	21,39741	2,189709	9,77	0,000	17,10566	25,68916

წყარო: Sikharulidze D, Kurdadze S, Tordinava T. (2015) "The impacts of FDI on domestic investment (in case of Georgia)" - Faculty of Social and Economic Relations Alexander Dubček University of Trenčín. Social and Economic Revue, 01.2015: 35-40; ISSN – 1336-3727

როგორ მოვახდინოთ შედეგების ინტერპრეტაცია, როდესაც $\hat{\beta}_{LT} \neq 1$? თუ დაცულია სხვა თანაბარი პირობები, მულტინაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციები ერთი-ერთში ზრდის ადგილობრივ ინვესტიციებს და არ არსებობს რაიმე მაკროეკონომიკური ექსტერნალიები რომელიც მომდინარეობს პუი-სგან. თუ პუი-ს გრძელვადიანი ეფექტი არის ჩათრევის ეფექტი, გრძელვადიანი მაკროეკონომიკური ექსტერნალიები არის პოზიტიური. ხოლო თუ პუი გამოდევნის ეფექტით ხასიათდება ნიშნავს რომ პუი-ს აქვს ნეგატიური გრძელვადიანი გავლენა ადგილობრივ ინვესტიციებზე. ვალდის ტესტის შედეგები ჩვენი რეგრესული მოდელისთვის ნაჩვენებია ცხრილში.

ცხრილი 22 პუი-ს ეფექტი ადგილობრივ ინვესტიციებზე

	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიან ინვესტიციებთან დამაკავშირებელი გრძელვადიანი კოეფიციენტი	გრძელვადიანი ეფექტი
საქართველოს ეკონომიკა	0,7	გამოდევნა

წყარო: Sikharulidze D, Kurdadze S, Tordinava T. (2015) "The impacts of FDI on domestic investment (in case of Georgia)" - Faculty of Social and Economic Relations Alexander Dubček University of Trenčín. Social and Economic Revue, 01.2015: 35-40; ISSN – 1336-3727

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ $\hat{\beta}_{LT}$ კოეფიციენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთისგან. კოეფიციენტის მნიშვნელობა არის უარყოფითი (0,7), რაც მიანიშნებს იმას რომ პუი-ს ეფექტი გრძელვადიან პეროდში არის ადგილობრივი ინვესტიციის გამოდევნა ბაზრიდან. 1994-2014 წლების ჯამური ინვესტიციების მაჩვენებლების ეკონომეტრიკული ანალიზის მიხედვით პუი-ს აქვს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ბაზრიდან, რაც შესაძლებელია შემდეგი მიზეზების გამო ხდებოდეს: ძლიერი კონკურენცია ბაზარზე, მაღალი ტექნოლოგიები რაც უზრუნველყოფს წარმოების დანახარჯების შემცირებას, სხვა. ამდენად, შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (გამოდევნის ეფექტის გათვალისწინებით) შესაძლოა უბიძგებდეს ადგილობრივ კომპანიებს წარმოების ხარისხის გაზრდისკენ, თუმცა, ზოგიერთი მათგანისთვის ეს იმდენად დიდ ხარჯებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რომ ვერ გაუძლოს კონკურენციას და გავიდეს ბაზრიდან.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების და მათი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენების შესწავლის მიზნით სადისერტაციო ნაშრომში სიღრმისეულად გავაანალიზეთ საქართველოში მოღვაწე მულტინაციონალური კომპანიების, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომტანი მნიშვნელოვანი სუბიექტების, საქმიანობა, მათი ქცევები ბაზარზე და გავლენები ეროვნულ ეკონომიკაზე. აღნიშნული საკითხების შესასწავლად გამოვიყენეთ ჯოანა სკოტ კენელის დარგობრივი განვითარების მოდელი, რომელიც თავის მხრივ ჯონ დანინგის OLI პარადიგმიდან გამომდინარეობს.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ:

- საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ადგილობრივი ორგანიზაციების განვითარებასა და ინოვაციების დანერგვაზე არის უმნიშვნელო, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ ჩართვას კვლევისა და განვითარებაში. ადგილობრივი დარგების პროდუქტის/მომსახურების ხარისხი საშუალოზე უფრო ნაკლებად შეესაბამება მულტინაციონალური კომპანიებისთვის საჭირო სტანდარტებს. მულტინაციონალური კომპანიები შესაბამის პროდუქტს/მომსახურებას არ იძენენ ადგილობრივი ორგანიზაციებისგან და ძირითადად დამოკიდებულები არიან სათაო კომპანიისგან მოწოდებულ რესურსებზე. ემპირიული კვლევების მიხედვით პუი-ს უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, როდესაც უცხოური და ადგილობრივი ეკონომიკა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი ადგილობრივი ორგანიზაციების განვითარებისთვის მოძველებული ტექნოლოგიებია, რაც იწვევს იმას, რომ პუი-ს გავლენა ადგილობრივი კომპანიების განვითარებაზე შეიძლება იყოს უმნიშვნელო. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით კი საქართველოში მოღვაწე მულტინაციონალური კომპანიების ქვეყნების ბიზნეს გარემო

უმნიშვნელოდ მსგავსია საქართველოს ბიზნეს გარემოსთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივ ორგანიზაციებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან და შესაბამისად მულტინაციონალური კომპანიებისგან მიიღონ სარგებელი - ცოდნა და გამოცდილება დარგში არსებული სიახლეების შესახებ. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენი კვლევის შედეგი იმის თაობაზე ეხმარება თუ არა უცხოური შვილობილი კომპანია ქართულ საწარმო(ებ)ს პროდუქტის ან სერვისის გაუმჯობესებაში, ასევე, ნერგავს თუ არა ინოვაციებს საქართველოში, რაზეც უარყოფითი შედეგი მივიღეთ. აქედან გამომდინარე, ცხადია რომ ადგილობრივი ორგანიზაციები სარგებელს ვერ იღებენ მულტინაციონალური კომპანიების საკუთრების უპირატესობებისგან, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ უწყვეტ ჩართვას კვლევისა და განვითარებაში. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური გავლენისა ინოვაციების დანერგვაზე (ბუნებრივი რესურსების მაძიებელი და ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული, ეფექტიანობის მაძიებელი პუი - რომელიც ფოკუსირებულია კვალიფიციურ კადრებზე), აღნიშნული გავლენის ხარისხი უმნიშვნელოა.

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბაზარი მცირეა, ხოლო მოსახლეობა ნაკლებად მსყიდველობითუნარიანი, დომინირებს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე ორიენტირებულნი არიან მოემსახურონ ადგილობრივ ბაზარს და არ აქვთ პოზიტიური გავლენა ექსპორტზე. გამოკითხული კომპანიების უმრავლესობისთვის აუთვისებელი ბაზრის ათვისება მთავარი მოტივაციაა, საიდანაც გამომდინარეობს ის, რომ ბაზარზე შესვლის დროს ისინი ორიენტირებულნი არიან მოემსახურონ ადგილობრივ

ბაზარს და მათ თავდაპირველ გეგმებში არ შედის პროდუქციის ექსპორტი. ერთი მხრივ, ეს უზრუნველყოფს ახალი ბიზნეს მიმართულების დამკვიდრებას, კონკურენციის გაზრდას საქართველოში, რაც ძალიან კარგია. მეორე მხრივ, შესაძლებელია მოხდეს ადგილობრივი ორგანიზაციების ჩანაცვლება/გამოძევება ბაზრიდან და საგადამხდელო ბალანსის გაუარესება. ამ მოსაზრებას ამყარებს ინვესტორების მიერ ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირების რაოდენობის და სიხშირის საკითხიც, ვინაიდან ამ შეკითხვაზე ინვესტორებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი პარტნიორებისგან ძირითადად აუცილებელ მასალა/წედლეულს ან მომსახურებას იღებენ, ხოლო სტრატეგიული კავშირები არ აქვთ ან ის ძალიან სუსტია. ყოველივე ზემოაღიწერილი ასევე ცხადყოფს, რომ მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ახორციელებენ საქართველოში (გარდა ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი-სა), არ არიან ინტეგრირებული ადგილობრივ ბაზართან.

✚ ბუნებრივი რესურსების მაძიებელი კომპანიები წარმოებაში იყენებენ ადგილობრივ რესურსებს, რაც გამოიხატება მათი კავშირებით ადგილობრივ მომწოდებლებთან და დისტრიბუტორებთან. სტრატეგიული აქტივების მოძიება, იაფი ენერჯის გამოყენება, მცირე გადასახადები, არ წარმოადგენს მთავარ ფაქტორს მომწოდებლებთან კავშირების ფორმირებისათვის, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ სტრატეგიული აქტივების მაძიებელი პუი თავისი არსიდან გამომდინარე ფოკუსირებულია მაღალტექნოლოგიურ დარგებზე, ხოლო საქართველოში არ ხდება მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება და შემოდის საზღვარგარეთიდან.

✚ გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ინფლაცია, არასტაბილური პოლიტიკური გარემო, არასტაბილური ეკონომიკური გარემო, არაკვალიფიციური კადრები და დაუხვეწავი კანონმდებლობა - არის

პრობლემები, რომლებსაც საქართველოში მოღვაწე მწკ-ები ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ UNCTAD-ის მიერ მულტინაციონალური კომპანიების გამოკითხვის თანახმად (2016), გაცვლითი კურსის არასტაბილურობა და გეოპოლიტიკური სიტუაციის განუსაზღვრელობა ასევე დასახელებულია ერთ-ერთ მთავარ საკითხებად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ გლობალური პუი-ს ნაკადების შემცირება. ჩვენს შემთხვევაში, საყურადღებოა არაკვალიფიციური კადრები, რომელიც ხშირად განსაზღვრავს ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ს შემოდინებას ქვეყანაში. ჩვენი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ არაკვალიფიციური კადრები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს პუი-ს მოსაზიდად საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრია უმაღლესი განათლების მქონე პირი, უმრავლეს შემთხვევაში მათ არ აქვთ ვიწრო დარგის შესაბამისი განათლება, ხოლო მულტინაციონალური კომპანიებისთვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ინოვაციებზე, მაღალი ტექნოლოგიების წარმოებაზე, შესაბამისი განათლების და სპეციალობის მქონე კადრების გადამზადება საკმაოდ ძვირი ჯდება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული საკითხები განსაზღვრავს ადგილმდებარეობის უპირატესობის ნაკლებ მიმზიდველობას, რადგან მწკ-ებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი საკუთრების უპირატესობები. ყოველივე ეს ქვეყანას ნაკლებად მიმზიდველს ხდის ინვესტიციების განსახორციელებლად.

რეკომენდაციები

იმისათვის რომ ქვეყანამ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რომელი პუი-ს მოტივაციას შეუძლია ქვეყნისთვის ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მოხდენა და რომელი დარგებია პრიორიტეტული, რის შემდეგაც აუცილებელია გაიზარდოს დაფინანსება კვლევებისა და განვითარებისთვის როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. ბევრი მეცნიერის აზრით, რაც უფრო მეტი ინვესტიციაა ჩადებული კვლევებსა და განვითარებაში, მით მეტი ცოდნის მიღების შესაძლებლობა აქვთ მულტინაციონალური კომპანიებისგან მიმღები ქვეყნის ფირმებს. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე ჩატარებული ემპირიული კვლევებიც. ვფიქრობთ, ჩვენს დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებლებს, ქვეყნისთვის პრიორიტეტული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაზღვრის დროს, პუი-ს მოტივაციების შესაბამისად. ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციები.

რესურსების მაძიებელი და ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ს მოზიდვა ხელს უფრო მეტად შეუწყობს მულტინაციონალური კომპანიების საკუთრების უპირატესობების გავრცელებას, ვაჭრობის განვითარებას და პოზიტიურ გავლენას მოახდენს ექსპორტის ზრდაზე. აღნიშნული მოსაზრება ჩვენი კვლევის შედეგებმაც დაადასტურა, ვინაიდან საქართველოში მოღვაწე ბუნებრივი რესურსების მაძიებელი კომპანიები ძირითადად ადგილობრივ რესურსებს იყენებენ და ორიენტირებული არიან ექსპორტზე. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი, გარდა იმისა რომ არ არის დაინტერესებული საექსპორტო საქმიანობით, ზოგიერთი დარგის შემთხვევაში შეიძლება სრულიად უსარგებლო იყოს ქვეყნის ეკონომიკისთვის. მაგალითად, ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, სამშენებლო სექტორში მულტინაციონალური კომპანიების მიერ დასაქმებული პირებიდან, უმრავლესობა უცხოეთის მოქალაქეა. ამასთანავე

მულტინაციონალური კომპანიები არ არიან ორიენტირებულნი ადგილობრივი რესურსების გამოყენებაზე, გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებაზე და საქართველოში საშუალოდ ოთხი-ხუთი წელი მოღვაწეობენ, რაც იმას ნიშნავს რომ ასეთი ტიპის კომპანიების მიზნები მხოლოდ სპეკულაციური ხასიათისაა, დროებით შემოდის ადგილობრივ ბაზარზე, ორიენტირებულია იმპორტზე, ნაკლებად ასაქმებს ადგილობრივ მუშახელს და არ ამყარებს საქმიან კავშირებს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რაც არ უწყობს ხელს დარგთან დაკავშირებული ახალი ცოდნის გავრცელებას. თუმცა ამის საპირისპიროდ აღსანიშნავია, რომ კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა საქართველოს ბაზარზე წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის და შემდეგ მისგან სარგებლის მიღების მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორს. საქართველოს მთავრობის პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის მიხედვით¹⁰⁸ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან. თუმცა ბუნდოვანია როგორ განისაზღვრება სამომავლო მოთხოვნები. უმჯობესი იქნება, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის და განვითარების დროს მოხდება მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული მულტინაციონალური კომპანიების მოზიდვა მათთვის საჭირო სპეციალობის მქონე კადრების გადამზადების და პროფესიული პროგრამების შექმნის გზით. ვფიქრობთ ეს პროცესი უნდა იყოს კომპლექსური და მასში ჩართული უნდა იყოს რამდენიმე რგოლი: საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო და სხვა სამინისტროები შესაბამისი დარგის სპეციფიკის მიხედვით, განათლების სამინისტრო და მულტინაციონალური კომპანიები.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ მოქმედებს განსაკუთრებული ინვესტიციების ხელშეწყობის რეჟიმი -

¹⁰⁸ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები), საქართველოს მთავრობა. http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf - 3.02.2018

ინვესტორს, რომელიც გეგმავს, განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უფლება აქვს, საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვოს თავის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება. გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები (სამინისტროები, ადმინისტრაციული ორგანოები...). ვფიქრობთ მიზანშეწონილია გადაწყვეტილება განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსის მინიჭების შესახებ მიიღებოდეს არა მხოლოდ ინვესტირების მოცულობის, არამედ იმის მიხედვით თუ რა არის ინვესტიციის მოტივაცია, როგორია ადგილობრივ ბაზარზე მსგავს დარგში მოღვაწე კომპანიების მახასიათებლები, რამდენად არის ექსპორტზე ორიენტირებული კომპანია, შეუწყობს თუ არა ხელს ახალი ცოდნის გავრცელებას, ითანამშრომლებს თუ არა ადგილობრივ ორგანიზაციებთან, დაასაქმებს თუ არა ადგილობრივ კადრებს, რამდენად გრძელვადიანია მისი მიზნები და ა.შ. მგავსი საკითხების განხილვისას ჩვენს დისერტაციაში მიღებული დასკვნები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქართველოს მთავრობას ინვესტიციისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის განსაზღვრისას.

ნაშრომში მოცემული პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები გამომდინარეობს საქართველოში შემომავალი პუი-ს მოტივაციების და მილტინაციონალური კომპანიების ბაზარზე ქცევის ტენდენციებიდან. განხილული საკითხები მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავების და მულტინაციონალურ

კომპანიებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის კავშირების ფორმირების გაღრმავებისთვის.

ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენს როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაინტერესებული სამეცნიერო წრის, ასევე ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიის განმსაზღვრელი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთათვის. საქართველოს მაგალითზე განხორციელებული კვლევის შედეგები და დასკვნები თამამად შეიძლება განზოგადებული და გამოყენებული იქნეს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში.

1. ვულდრიჯი, ჯ.მ (2016), შესავალი ეკონომეტრიკაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge.
3. კასრაძე, თ (2009) ტრანსნაციონალიზაცია – მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა, ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, #4
4. კასრაძე, თ (2014) განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოყენებული ძირითადი პოლიტიკები, ჟურნალი "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე", #6.
5. კასრაძე, თ (2014) საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი, ჟურნალი ეკონომისტი, #5.
6. კისი ჰ. (2008), სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
7. სიხარულიძე, დ. (2012). Motivations for foreign direct investment and their impact on Georgia's economy. ეკონომიკა და ბიზნესი, 61-78.
8. ქურდაძე შ. (2016) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, #10 2016, გვ 69-79
9. ჭარაია ვ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე). ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, დისერტაცია.
10. Agosin, M. R. (2000). Foreign investment developing countries Does it Crowd in Domestic Investment? United Nations (UN) Conference on Trade and Development.
11. Aharoni, Y. & Nachum, L. (2000). Globalization of services: Some implications for theory and practice. London: Routledge.
12. Alvarez, R. (2003). Inversión extranjera directa en Chile y su impacto sobre la productividad. Departamento de Economía, Universidad de Chile. Retrieved

May 19, 2004 from

<http://www.personal.anderson.ucla.edu/roberto.alvarez/paperIED>

13. Barkley, D., & McNamara, K. (1994). Local input linkages: A comparison of foreign-owned and domestic manufacturers in Georgia and South Carolina. *Regional Studies*, 28(7), 725-737.
14. Basu, P., Chakraborty, C. & Reagle, D. (2003) Liberalization, FDI, and growth in developing countries: A panel cointegration approach. *Economic Inquiry*, 41, 510-516.
15. Batra, G., & Tan, H. W. (2002). Inter-firm linkages and productivity growth in Malaysian manufacturing. In *Malaysia: Technology development, inter-firm linkages and Productivity growth*. Washington, DC: World Bank.
16. Belderbos, R., Capannelli, G., & Fukao, K. (2001). Backward vertical linkages of foreign manufacturing affiliates: Evidence from Japanese multinationals. *World Development*, 2
17. Bhagwati, J. N. (1978). Anatomy and consequences of exchange control regimes. *Studies in International Economic Relations*, 1(10). New York: National Bureau of Economic Research.
18. Blomstrom, M., & Sjöholm, F. (1999). Technology transfer and spillovers: Does local participation with multinationals matter? *European Economic Review*, 43(4-6), 915-923.
19. Bloningen, B. (2005). A review of the empirical literature on FDI determinants. University of Oregon and NBER. ASSA Conference, Philadelphia, April 2005.
20. Borensztein, E., De Gregorio, J., & Lee, J-W (1998). How does foreign investment affect economic growth? *Journal of International Economics*, 45(1), 115-135.
21. Boyd-Barret, O. (1989). Multinational news agencies. In P. Enderwick (Ed.), *Multinational service firms*. London: Routledge.
22. Brown, R. (1998). Electronics foreign direct investment in Singapore: A study of local linkages in "Winchester City". *European Business Review*, 98(4), 196-210.

23. Buckley, P. J. (1990). Problems and developments in the core theory of international business. *Journal of International Business Studies*, 21(4), 657-665.
24. Buckley, P. J., & Casson, M. C. (1976). *The future of the multinational enterprise*. London: Mcmillan.
25. Buckley, P. J., & Casson, M. C. (1985). *The economic theory of the multinational enterprise*. London: Macmillan.
26. Buckley, P. J., & Casson, M. C. (2009). The internalisation theory of the multinational enterprise: A review of the progress of a research agenda after 30 years. *Journal of International Business Studies*, 40(1), 1-18.
27. Buckley, R. (2004). Multinational enterprises (MNEs) and productivity improvements to domestic firms through worker mobility: An empirical model of the Irish software industry. Paper presented to the Department of Economics, Waikato Management School, University of Waikato, Hamilton, New Zealand, August, 20th, 2004.
28. Campos, N. and Kinoshita, Y. (2003), *Why Does FDI Go Where It Goes? New Evidence from the Transition Economies*. IMF WP/03/228.
29. Cantwell, J. A. (1991). "The technological competence theory of international production and its implications". In D. McFetridge (Ed.), *Foreign investment, technology and economic growth*. Toronto, Canada: University of Toronto Press.
30. Carolina Del Pilar Salcedo Claramunt (2010). *The impact of foreign direct investment on the local Chilean industry*, The University of Waikato. p 30-71; 128-172
31. Chen, H., & Chen, T. J. (1998a). Foreign direct investment as a strategic linkage. *Thunderbird International Business Review*, 40(1), 13-31.
32. Chen, H., & Chen, T.J. (1998b). Network linkages and location choice in foreign direct investment. *Journal of International Business Studies*, 29(3), 445-467.
33. Child, J., Faulkner, D., & Pitkethly, R. (2000). Foreign direct investment in the UK 1985-1994: The impact on domestic management practice. *Journal of Management Studies*, 37(1), 141-166.

34. Chuang, Y-C., & Lin, C-M. (1999). FDI, R&D and spillover efficiency: Evidence from Taiwan's manufacturing firms. *Journal of Development Studies*, 35(4), 117-137.
35. Clark, William C., 2000, Environmental Globalization, in: Joseph S. Nye and John D. Donahue (eds.), *Governance in a Globalizing World*, Brookings Institution Press, Washington, D.C.: 86-108.
36. Doing Business Comparing Business Regulation for Domestic Firms in 190 Economies 2017, A World Bank Group Flagship Report
37. Dreher, Axel; Noel Gaston and Pim Martens, 2008, *Measuring Globalization - Gauging its Consequence*, New York: Springer.
38. Dunning, J. (1981). Explaining the international direct investment position of countries: Towards a dynamic or development approach. *Weltwirtschaftliches Archiv*, 117, 30-64.
39. Dunning, J. (1986). The investment development cycle revisited. *Weltwirtschaftliches Archiv*, 122, 667-677.
40. Dunning, J. (1993). *Multinational enterprises and the global economy*. Wokingham, England: Addison-Wesley Publishing Company.
41. Dunning, J. (1995). Reappraising the eclectic paradigm in an age of alliance capitalism. *Journal of International Business Studies*, 26(3), 461-491.
42. Dunning, J. (1998). *American investment in British manufacturing industry*. London: Routledge.
43. Dunning, J. The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, *International Business Review* 9 (2000) 163-190
44. Dunning, J. (2002). *Theories and paradigms of international business activity*. Cheltenham, England: Edward Elgar.
45. Dunning, J. & Narula, R. (1994). Transpacific direct investment and the investment development path: The record assessed. *Essays in International Business*, 10, 1-69.
46. Dunning, J., & Narula, R. (1996) (Eds.). *Foreign direct investment and governments: Catalysts for economic restructuring*. London and New York: Routledge.

47. Dunning, J., & Narula (2002). The investment development path revisited. In J. Dunning (Ed.), *Theories and paradigms of international business activity. The selected essays of John H. Dunning, Volume 1* (pp. 138-172). Cheltenham, UK: Edward Elgar.
48. Durán, J. J., & Úbeda, F. (2001). The investment development path: A new empirical approach. *Transnational Corporations*, 10(2), 1-34.
49. Durán, J. J., & Úbeda, F. (2005). The investment development path of newly developed countries. *International Journal of the Economics of Business*, 12(1), 123-137.
50. Enderwick, P. (1989). *Multinational service firms*. London: Routledge.
51. Fry, M. (1993). *Foreign Direct Investment in a Macroeconomic Framework: Finance, Efficiency, Incentives and Distortions*. Policy Research Working Paper, No. 1141.
52. Girma, S., Greenaway, D., & Wakelin, K. (2001). Who benefits from foreign direct investment in the UK?. *Scottish Journal of Political Economy*, 48(2), 119-133.
53. Grosse, R. (2000). Knowledge creation and transfer in global service firms. In Y. Aharoni, & L. Nachum (Eds.), *Globalization of services: Some implications for theory and practice* (pp. 217-232). London: Routledge.
54. Haddad, M., & Harrison, A. (1993). Are there positive spillovers from direct foreign investment? Evidence from panel data for Morocco. *Journal of Development Economics*, 42(1), 51-74.
55. Hennart, J.-F. (1989). Can the new forms of investment substitute for the old forms?: a transaction costs perspective. *Journal of International Business Studies*, 20(2), 211-234.
56. Hooley, G., Cox, T., Shipley, D. & Fahy, J. (1996). Foreign direct investment in Hungary: Resource acquisition and domestic competitive advantage. *Journal of International Business Studies*, 27(4), 683-709.
57. Hu, A., & Jefferson, G. (2002). FDI impact and spillover: Evidence from China's electronic and textile industries. *The World Economy*, 25(8), 1063-1076.

58. Keohane, Robert O. and Joseph S. Nye, 2000, Introduction, in: Joseph S. Nye and John D. Donahue (eds.), *Governance in a Globalizing World*, Brookings Institution Press, Washington, D.C.: 1-44.
59. Kathuria, V. (2002). Liberalization, FDI, and productivity spillovers: An analysis of Indian manufacturing firms. *Oxford Economic Papers*, 54, 688-718.
60. Kiyota, K., Matsuura, T., Urata, S., & Wei, Y. (2005). Reconsidering the backward vertical linkage of foreign affiliates: Evidence from Japanese multinationals.
61. Kokko, A. (1994). Technology, market characteristics, and spillovers. *Journal of Development Economics*, 43(2), 279-293.
62. Kokko, A., Tansini, R., & Zejan, M. (1996). Local technology capability and productivity spillovers from FDI in the Uruguayan manufacturing sector. *Journal of Development Studies*, 32(4), 602-612.
63. KOF Index of Globalization, method 2016.
64. Koopman, K. & Montias, J. M. (1971). On the description and comparison of economic systems. In A. Eckstein (Ed.), *Comparison of economic systems*. Berkeley, CA: University of California
65. Kurdadze S. (2016) FDI Motivations and their Impacts in Former Soviet Republics - The European Business & Management Conference 2016, Official Conference Proceedings pp. 123 - 128. ISSN: 2188-9651
66. Kundu, S. K., Kumar, V., & Peters, S. (2008). Impact of ownership and location factors on service multinationals' internalisation. *The Service Industries Journal*, 28(5), 567-580.
67. Kudina, A., & Jakubiak, M. (2008). *The Motives and Impediments to FDI in the CIS*.
68. Lall, S. (1996). The investment development path: Some conclusions. In J. Dunning & R. Narula (Eds.), *Foreign direct investment and governments: Catalysts for economic restructuring* (pp. 423-441). London: Routledge.
69. Lall, S., & Streeten, P. (1977). *Foreign investment, transnationals, and developing countries*. London: Macmillan.

70. Ledayeva, S. (2007), *Spatial Econometric Analysis of Determinants and Strategies of FDI in Russian Regions in Pre- and Post-1998 Financial Crisis Periods*, Bank of Finland, BOFIT, Institute for Economies in Transition, September, 2007.
71. Li, J. (1994). International strategies of service MNCs in the Asia-Pacific region. *The International Executive*, 36(3), 305-325.
72. Liu, X., Siler, P., Wang, C., & Wei, Y. (2000). Productivity spillovers from foreign direct investment: Evidence from UK industry level panel data. *Journal of International Business Studies*, 31(3), 407-424
73. Loungani, P. & Razin, A. (2001). How beneficial is foreign direct investment for developing countries? *Finance & Development*, 38(2), 6-9.
74. Magee, S. P. (1977). Information and the multinational corporation. An appropriability theory of foreign direct investment. In J. N. Bhagwati (Ed.), *The new international economic order*. Cambridge, MA: MIT Press.
75. Mallampally, P., & Zimny, Z. (2000). Foreign direct investment in services: Trends and patterns. In Y. Aharoni, & L. Nachum (Eds.), *Globalization of services: Some implications for theory and practice* (pp. 25-51). London: Routledge.
76. Marino, A. (2000). *The impact on FDI on developing countries growth: Trade policy matters*. ISTAT-CEMAFI, France.
77. Markusen, J. R. (1989). Service trade by the multinational enterprise. In P. Enderwick (Ed.), *Multinational service firms* (pp. 35-59). London: Routledge.
78. Narula, R. (1996). *Multinational investment and economic structure: Globalisation and competitiveness*. London: Routledge.
79. Narula, R. (2002). *The implications of growing cross-border interdependence for systems of innovation*. Research Memoranda 019, Maastricht: MERIT, Maastricht Economic Research Institute on Innovation and Technology.
80. Narula, R., & Dunning, J. (2000). Industrial development, globalization and multinational enterprises: New realities for developing countries. *Oxford Development Studies*, 28(2), 141-167.

81. Norris, Pippa, 2000, Global Governance and Cosmopolitan Citizens, in: Joseph S. Nye and John D. Donahue (eds.), *Governance in a Globalizing World*, Brookings Institution Press, Washington, D.C.: 155-177.
82. Olofsdotter, K. (1998). Foreign direct investment, country capabilities and economic growth. *Weltwirtschaftliches Archive*, 134(3), 534-547.
83. Ozawa, T. (1992). Foreign direct investment and economic development. *Transnational Corporations*, 1(1), 27-54.
84. Portelli, B. (2002). Coordination failures and the role of foreign direct investment in least developed countries: Exploring the dynamics of a virtuous process for industrial upgrading. Centre for Technology, Innovation and Culture, September 2002. Oslo, Norway: University of Oslo.
85. Porter, M. E. (1990). *The competitive advantage of nations*. New York: Free Press.
86. Posner, M. V. (1961). International trade and technical change. *Oxford Economic Papers*, 13(October), 323-341.
87. Rogacheva E., Mikerova, J. (2003), *European FDI in Russia: Corporate Strategy and the Effectiveness of Government Promotion and Facilitation*, OCO Consulting, September 2003
88. Rugman, A. M., & Verbeke, A. (2008). A new perspective on the regional and global strategies of multinational services firms. *Management International Review*, 48(4), 397-411.
89. Scott-Kennel, J. (2001). *The impact of foreign direct investment on New Zealand industry*. Unpublished PhD Thesis, New Zealand: University of Waikato.
90. Scott-Kennel, J., & Enderwick, P. (2005). Foreign direct investment and inter-firm linkages: Exploring the black box of the investment development path. *Transnational Corporations*, 14(1), 105-137.
91. Shiells, C. (2003), *FDI and the Investment Climate in the CIS Countries*. IMF Policy Discussion Paper PDP/03/5, November 2003.
92. Singh, H., & Jun, K. W. (1995). *Some new evidence on determinants of foreign direct investment in developing countries*. Washington, D.C.: World Bank, International Economics Dept., International Finance Division.

93. Teece, D. (1986). Profiting from technological innovation: Implications for integration, collaboration, licencing and public policy. *Research Policy*, 15, 285-305.
94. Tondel, L. (2001), *Foreign Direct Investment During Transition. Determinants and Patterns in Central and Eastern Europe and the Former Soviet Union*. Chr. Michelsen Institute. WP 2001:9.
95. UNCTAD (2004). *World investment report 2004: The shift towards services*. New York: United Nations.
96. UNCTAD. (2016). *WORLD INVESTMENT REPORT, Investor Nationality: Policy Challenges 2016*. Unated Nations
97. Vernon, R. (1966). International investment and international trade in the product cycle. *Quarterly Journal of Economics*, 80, 190-207.
98. Vernon, R. (1974). The location of economic activity. In J. H. Dunning (Ed.), *Economic analysis and multinational enterprise* (pp. 89-114). London: Allen and Unwin.
99. Wei, S-J. (2000a). How taxing is corruption on international investors? *Review of Economics and Statistics*, 82(1), 1-11.
100. Wei, S-J. (2000b). Local corruption and global capital flows. *Brookings Papers on Economic Activity*, 0(2), 303-346.
101. Williams, D. (1997). Strategies of multinational enterprises and the development of the Central and Eastern European economies. *European Business Review*, 97(3), 134-138.
102. Xu, B. (2000). Multinational enterprises, technology diffusion, and host country productivity growth. *Journal of Development Economics*, 62(2), 477-493.
103. Zarnadze, N, Kasradze T (2016)- *Features of Transnational Companies in Today's Economy, Theory and Practice of Institutional Reforms in Russia, Collection of Scientific Works – Moscow; CEMI Russian Academy of Sciences, P. 148-152, (RUS);*